ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა

№011 (12 081)

16 იანვარი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ლანჩხუთის გურიის ფეხბურთელები ტრაგიკულად დაიღუპნენ

4

რატომ ჭიანურდება გოგუას ტრანსფერი?

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ედინბურგშია, მაგრამ ჰართსთან ერთად ჯერ არ უვარჯიშია

პრობლემა:

გოგიტა გოგუას სატრანსფერო უფლებებს ვინმე ალექსანდრ ჩერვიჩენკო ფლობს

2

მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე



მზადება მეორე წრისთვის

დინამო აგებს, ამერიც...

ამგები თურქული შეკრებიდან 2

მეტოქე. შოტლანდია

ვინ იქნება ახალი ბოსი?

მოკლე სიაში ორი კანდიდატურა გამოიკვეთა. მაკლიში სერიოზულ ვარიანტად რჩება 5

სპორტი



ეროვნული

იქ, სლოვენიასა და აქ, საქართველოში

ავტორი ვლადიმერ სტეფანია

16

ფაბიო კაპელოს უხამსი ჟესტი, რომელიც ფანების მხრიდან მის შეურაცხყოფას მოჰყვა

კაპელო: მე მინდოდა ბექჰემთან სექსი?!

რეალის მწვრთნელს ჰომოსექსუალისტი უწოდეს

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება მეორე წრისთვის. დინამო

პირველ ტაიმშივე...

დინამო-ჟეზალურგი 1:2

0:1 კაბანოვი (24), 0:2 გოდინი (27), 1:2 იაშვილი (76).

დინამო: ლორია, ნოზაძე, გ. კაშია, კრშკო, გუგავა, ოდიკაძე, ხმალაძე, მერებაშვილი, კობახიძე, დვალი, კაკალაძე.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: აკობია, თომაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, ხუციშვილი, იაშვილი, ჯანაშია, ჩირიკაშვილი, გიგაური.

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. **დუშან უგრინის** გუნდი ამჯერად **დავით კვირკველიასა** და **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს "მეტალურგს" დაუპირისპირდა. როგორც წინა საკონტროლო თამაშზე, ამჯერადაც ინფორმაცია "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** მოგვაწოდა.

"ჩვენი გუნდის მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. მართალია, მოსამზადებელ პერიოდში, საკონტროლო მატჩში დაფიქსირებულ შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ტაიმი თანაბარ ორთაბრძოლაში მიიღია. თუმცა სამწუთიან ინტერვალში ორი გოლი მივიღეთ. შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა უკეთ ითამაშა, თამაში ძირითადად მეტოქის ნახევარზე მიმდინარეობდა. არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შევძელით...

ჩვენი გუნდის მწვრთნელთა აზრით, "დინამომ" ამ შეხვედრაში უკეთ ითამაშა, ვიდრე წინა მატჩში გროზნოს "ტერეკთან", - გვითხრა გიგა გვენცაძემ.

საგულისხმოა ისიც, რომ **სანდრო იაშვილმა** გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. კარგი საგოლე მომენტები ჰქონდათ **დავით ოდიკაძესა** და **მიხეილ ხუციშვილს**. გაცნობებთ იმასაც, რომ დავით კვირკველია ზაპოროჟიელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო. ირაკლი მოდებაძე კი ოპერაციის შემდეგ, სარეაბილიტაციო კურსს უკრაინაში გადის და ანთალიაში გუნდს არ ნაჰყოლია.

"დინამოს" შემადგენლობას თუ გადახედავთ, აშკარაა, რომ კრებულს სამი ფეხბურთელი აკლია. გვენცაძის ცნობით **სოსო გრიშიკაშვილმა, გიორგი ნერგაძემ** და **დავით დიღმელაშვილმა** ზაპოროჟიელთა წინააღმდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ ითამაშეს. თუმცა, როგორც ირკვევა, საგანგაშო არაფერია, ფეხბურთელებს მხოლოდ მიკროტრავმები აწუხებთ.

შევიტყვეთ ისიც, რომ სლოვაკი **მიროსლავ კრშკოს** გარდა, "დინამოში" ახალი ფეხბურთელი ჯერ არ გამოჩენილა. ანთალიაში მყოფი "დინამო" დასკვნით ამხანაგურ მატჩს 19 იანვარს უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე "ხარკოვთან" გამართავს, მერე კი სამშობლოში დაბრუნდება რამდენიმე დღით, რასაც მეორე შეკრება მოჰყვება.

დავით ცაბაძე

ამერი

ამერი 2:3 სპარტაკი

15 იანვარს თბილისის "ამერმა" თურქულ შეკრებაზე პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. მისი მეტოქე მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობა იყო, რომელმაც დუბლების ჩემპიონატზე პირველი ადგილი აიღო. თამაში მოსკოველთა გამარჯვებით 3:2 დამთავრდა. მატჩის დეტალები გუნდის ოფიციალური ვებგვერდიდან შევიტყვეთ.

ამერი: ნადირაშვილი, დიდავა, ჩიკვილაძე (52. კაკაშვილი), ელბაქიძე, ჯელაძე, დობროვოლსკი (46. ჩიმაკაძე), მესხი (75. გაბისკირია), დეკანოსიძე (46. მჭედლიშვილი), ბოლქვაძე, დავითაშვილი.

ანგარიში მე-16 წუთზე **ჯელაძემ** გახსნა. ფლანგზე **დავითაშვილი** გაექცა მეურვეებს, კარის გასწვრივ ჩააწოდა და შორეულ ძელთან მყოფმა ჯელაძემ ბურთი კარში შეაგდო 1:0.

რუსებმა მალევე გაათანაბრეს ანგარიში. 24-ე წუთზე **ჯიოევის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ბურთი ცხრიანში ჩაეშვა - 1:1.

32-ე წუთზე "ამერის" საჯარიმოსთან ახლოს **ჩიკვილაძე** წააქციეს, მსაჯმა კი თამაში გააგრძელა, რუსებმა ბურთი ჩაიგდეს და გაჩერებულ თბილისელებს გოლი გაუტანეს - 1:2. ბურთი **მალოიანმა** მიითვალა. პირველ ტაიმში საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა **დეკანოსიძემ**, მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ორი წუთში თურქმა მსაჯმა ჩიკვილაძე დააჯარიმა და "ამერის" კარში პენალტი დაინიშნა. საჯარიმო **ანდრეევმა** გოლად გარდასახა - 1:3.

ამერელები წაგებას არ აპირებდნენ, ახალგაზრდა სპარტაკელები გვარიანად ანერვიულეს და საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტიც შექმნეს. თუმცა მხოლოდ ერთხელ იხეირეს. ბადის შერხევა ვერც ორჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დავითაშვილმა მოახერხა და ვერც ჩიმაკაძემ გამოიჩინა თავი. მხოლოდ **მჭედლიშვილმა** შეძლო გოლის გატანა, რომელმაც **ელბაქიძის** დაწყებული და ჯელაძის გაგრძელებული კომბინაცია დაასრულა - 2:3.

მომენტები "სარტაკმაც" შექმნა, ერთხელ ელბაქიძემ ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია, ერთხელაც "ამერი" აშკარა გოლისგან მეკარე **ლადო ნადირაშვილმა** იხსნა.

"ამერმა" შეკრებაზე მხოლოდ ეს ერთი შეხვედრა ჩაატარა და 17 იანვარს თბილისში დაბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

იაშვილი: მხოლოდ ოთხნახევარი

ალექსანდრე იაშვილი

გერმანული პრესა ბოლო პერიოდში გამუდმებით განიხილავს "ფრაიბურგის" არადამაჯერებელ ასპარეზობას და ღიად ამბობს, რომ დღესდღეობით, **ფოლკერ ფინკეს** გუნდი გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება.

"ფრაიბურგი", რომლის ხელმძღვანელობამაც სეზონის წინ გუნდს მიზნად პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება დაუსახა, მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის და თუ ასეთივე პერიოდულობით გააგრძელა ქულების დაგროვება, შესაძლოა, რეგიონალიგაშიც ამოჰყოს თავი.

გერმანული სპორტული გამოცემები ფინკეს არასწორი საკადრო პოლიტიკის გამო აკრიტიკებენ. მედიელთა აზრით, "ფრაიბურგის" მწვრთნელმა შემადგენლობა კარდინალურად უნდა გადაახალისოს და ახალი ძალა ეძებოს. ამას გამოცდილი მწვრთნელი, ალბათ, ვეღარ მოასწრებს და ახალ "ფრაიბურგს" მისი მემკვიდრე ააშენებს. როგორც იცით, ფინკე თანამდებობას მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს.

ხაზს განსაკუთრებით გუნდის თავდასხმის სუსტ თამაშს უსვამენ, რაშიც ჟურნალისტთა აზრით, "ლომის წილი" **ალექსანდრე იაშვილს** მიუძღვის.

გერმანელებმა გამოთვალეს, რომ "ფრაიბურგში" ასპარეზობის პერიოდში (1997 წლიდან მოყოლებული) ქართველ თავდამსხმელს სეზონში საშუალოდ 4,5 ნახევარი გოლი გააქვს, რაც ბუნებრივია, ამ ამპლუის მოთამაშისთვის არცთუ სახარბიელო შედეგია. სხვათა შორის, "კიკერს" არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ **კლაუს ტოპმოლერმა** მას ბოლო სანაკრებო შეკრებაზე არ უხმო.

როცა იაშვილს ამ სტატისტიკური მაჩვენებლის შესახებ უთხრეს, მან ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა და მხოლოდ გუნდის ზოგად განწყობაზე თქვა ორიოდე სიტყვა. *"წინ 17 უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს. ჩვენი მიზანი კვლავ პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებაა და სანამ ამ მიზნის მიღწევის თეორიული შანსი მაინც გვექნება შერჩენილი, წარმატებისთვის თავს არ დავზოგავთ. მჯერა, ჩვენი ერთგული გულშემატკივრები კვლავინდებურად ამოგვიდგებიან მხარში და ერთობლივი ძალისხმევით, არაერთ შესანიშნავ თამაშს ჩავატარებთ"*, - განაცხადა იაშვილმა გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

შეგახსენებთ, იაშვილი, **ოთარ ხიზანეიშვილი** და მათი თანაგუნდელები სეზონის მეორე ნახევრისთვის პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ალბუფეირაში ემზადებოდნენ.

ლევან ჯანელიძაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს.

აპყევით ქართული ხმას!

პარიზში, ფეხბურთის სახლის პრეზენტაციის ცერემონიალის შემდეგ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** გერმანიას მიაშურა და როგორც შევიტყვეთ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მოინახულა. ახალკაცი გერმანიიდან მალე მოსკოვს გაეგზავრება, სადაც 20-21 იანვარს ფიფას ხელმძღვანელთა და დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა თავკაცების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ამ აუდიენციებს ახალკაცის გარდა ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავაც** დაესწრება:

"მერე და ნოდარ ახალკაცი მოსკოვის შეხვედრებში მივიღებთ მონაწილეობას. მერე კი 25-26 იანვარს დიუსელდორფში, უეფას კონგრესზე გავემგზავრებით და არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენი არჩევანის შესახებ თავის დროზე ღიად განვაცხადეთ - უეფას პრეზიდენტის არჩევნებში მხარს მიშელ პლატინის ვუჭერთ! იმედი გვაქვს, დიუსელდორფში ქართულ ხმას ბევრი აჰყვება და ის კანდიდატურა გაიმარჯვებს, რომელსაც ჩვენ ვუჭერთ მხარს", - გვითხრა უჩა უგულავამ.

დავით ცაბაძე

ვეტერინარები ანთალიაში

საგულოდ გადაწყდა, რომ თვის ბოლოს "ვიტ ჯორჯია" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ხმელთაშუაზღვისპირა კურორტზე ვეტერინარები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში იცხოვრებენ და ბუნებრივია, მზადებისთვის იდეალური პირობებიც ექნებათ შექმნილი.

"ჯორჯია" რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს თურქული და სხვა აღმოსავლეთევროპული კლუბების წინააღმდეგ. მეტოქეთა ვინაობა ანთალიაში გამგზავრებამდე დაზუსტდება.

მანამდე კი **ნესტორ მუმლაძე** შეგირდებსა და სავარაუდო ახალწეულებს კვლავ საქართველოში ავარჯიშებს. ჯერჯერობით, აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, ფეხბურთელები დღეში საშუალოდ 7 კილომეტრს დარბიან. ცხადია, არც ბურთის გორებას ივიწყებენ და საამისოდ მცხეთის "არმაზის" სტადიონზე იკრიბებიან ხოლმე.

ამ ეტაპისთვის ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც "ვიტ ჯორჯია" დატოვა, კაპიტანი **დავით დიღმელაშვილია**. როგორც იცით, უკრაინიდან დაბრუნდა **გიორგი ფეიქრიშვილი**, რომელიც საკუთარი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებას მალე მიიღებს.

ახალწვეულებს რაც შეეხება, გუნდს "ბორჯომიდან" ახალგაზრდა ნახევარმცველი **ირაკლი კიკნაძე** შეუერთდა. მუმლაძე "ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნებულ **ფარნაოზ კუსრაშვილსაც** აკვირდება.

ლევან ჯანელიძაშვილი

ნაკანი მერანში გადავიდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და მოსკოვის "ტორპედოს" თავდამსხმელი **დავით ნაკანი** ტრავმებმა ძალიან გაანაღვლა. შარშან ზაფხულს "ბორჯომში" ჩაირიცხა და ბოლო რვა ტური სწორედ ტრავმის მიზეზით გამოტოვა.

ახლა იგი გუნდს დაემშვიდობა და როგორც გვითხრა, თბილისის "მერანში" გააგრძელებს გამოსვლას:

"ძალიან დიდი დრო დავკარგე. ჯერ მოსკოვის "ტორპედომ" ტყუილად დამაკარგინა ორი წელი. "ბათუმშიც" ავადმყოფობამ არ მომცა თამაშის საშუალება, "ბორჯომში" კი – ტრავმებმა. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი კარგადაა, "მერანში" დავიწყე ვარჯიში და იმედი მაქვს, რომ მეორე წრის დაწყებამდე ფორმას აღვიდგენ. რაც მთავარია, ავადმყოფობა წარსულს ჩაბარდა"

"მერანში" ბევრი მოთამაშე ისინჯება. გუნდმა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება მოახერხა და ესეც საქმეა. სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნება საქართველოში პრობლემას წარმოადგენდა.

მთავარმა მწვრთნელმა **სერგო კუტივაძემ** სასელექციო მუშაობა დაიწყო – გასიჯვაზე მყოფი უამრავი ფეხბურთელიდან საუკეთესოების შერჩევას ცდილობს. გუნდის მეპატრონეებს სურთ "დინამოს" მცველის **რეზო ქემოკლიძის** მინვევაც, მაგრამ მოლაპარაკება ბრკოლდება.

არაა გამორიცხული, "მერანის" ფორმა მოირგოს "მცხეთისა" და "ლოკომოტივის" ყოფილმა ნახევარმცველმა **ლაშა ჩხაიძემ**. მას ფინეთის პირველი დივიზიონის კლუბში იწვევენ, ისევე როგორც მეკარე **გიორგი ნიკურაძეს**. თუკი ეს ვარიანტი არ გამოვიდა, მაშინ "მერანში" ითამაშებს.

მერაბ მამულაშვილი

მათე მარჯვნიდან შუაში გადასწიეს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "მიუნხენ 1860". მეორე წრისათვის მზადებას ესპანეთში განაგრძობს. ბავარიელები მორიგ ამხანაგურ მატჩში "ატლეტიკო გრანადილას" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ფრედ 3:3 დასრულდა. მიუნხენელთა გუნდის რიგებში ქართველი მცველი **მათე ღვინიანიძე** სასტარტო შემადგენლობაში იყო და თამაშიც ჩაამთავრა. შეხვედრა ესპანელთა უპირატესობით დაიწყო და პირველებმა **ხოსეს** სწრაფი გოლების ნყალობით 14 წუთში ორბურთიანი ფორა მოიპოვეს. მალევე **ბერპალტერმა** მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. მეორე ტაიმში ხოსემ ორბურთიანი ფორა აღადგინა, თუმცა, მატჩის დასრულებამდე **ადლერმა** და **ციგენბაინმა** თითო გაიტანეს და საბოლოო შედეგადაც ფრე დფიქსირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ შახნერმა** ღვინიანიძე წინა მატჩებისგან განსხვავებით, დაცვის მარჯვენა ფრთის ნაცვლად ცენტრში გაამწესა.

"მიუნხენ 1860-მა" ესპანური შეკრება უკვე დაამთავრა და შშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. მათე ღვინიანიძის გუნდი სეზონს 21 იანვარს "ფიურტთან" მატჩით განაახლებს.

მუჯირი კრილიას დღეს შეუერთდება

ახალი სეზონისთვის მზადებას **დავით მუჯირის** "კრილია" უკვე შეუდგა. თუმცა სამარელები დღემდე ქართველი ლეგიონერის გარეშე ემზადებოდნენ.

"სამარის "კრილია" უკვე ჩაფრინდა თურქეთში. გუნდი ბელეკში 5 ვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა. "კრილიას" თურქული შეკრება 30 იანვრამდე გასტანს და ამ ხნის განმავლობაში სამარელები 4-5 საკონტროლო მატჩს გამართავენ. გუნდში ძველების გარდა არაერთი ახალი ფეხბურთელია. სამარელთა რიგებში ჯერჯერობით არაა ქართველი ლეგიონერი დავით მუჯირი. როგორც ირკვევა გერმანიიდან თურქეთისკენ გაშგზავრებისას მუჯირს საავიზო პრობლემა შეექმნა და ამიტომ შეყოვნდა. როგორც ირკვევა, დავით მუჯირთან მიმართებაში საავიზო პრობლემა უკვე მოგვარებულია და ქართველი ნახევარმცველი გუნდს მალე შეუერთდება," - ნერენ რუსული საგენტოები.

გუშინ ღამით გავრცელებულ ცნობათა თანახმად დავით მუჯირი "კრილიას" უკვე შეუერთდა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ იყო მუჯირი გერმანიაში. "ლელომ" ამ კითხვაზე პასუხიც მოიძია - დათო გერმანიაში **ლევან კობიაშვილთან** სტუმრობდა. აი სულ ესაა და ეს.

დავით ცაბაძე

ყიფიანი ბაქიმ მიიწვია

აზერბაიჯანის ჩემპიონმა ბაქოს "ბაქიმ" ერთ-ერთი პოსტი კლუბის მმართველ სტრუქტურაში **ლევან ყიფიანს** შესთავაზა. აზერბაიჯანელთა სურვილია ყიფიანი გუნდს მოსკოვში, თანამეგობრობის ტურნირზეც გაჰყვეს. მან უკვე მიიღო ქვეყანაში შესასვლელი ვიზა და თუკი ისურვებს, ტურნირს "ბაქის" წარმომადგენლის სტატუსით დაესწრება.

თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, ახალგაზრდა ქართველი მენეჯერი ითანამშრომლებს თუ არა აზერბაიჯანის ჩემპიონთან. როგორც თავად გვითხრა, ჯერ კიდევ ფიქრობს, "ბაქიში" იმუშაოს თუ სხვა გზა აირჩიოს. არაა გამორიცხული, ფეხბურთს საერთოდ შეეშვას და ბიზნესს მიჰყოს ხელი.

დათო მეფარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაქტის მოლოდინში

რაზომ ჭიანურდება გოგუას ტრანსფერი?

გოგიტა გოგუა

საქართველოს ეროვნული გუნდის ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** ედინბურგშია, მაგრამ მისი და "ჰართსის" მომავალი თანამშრომლობის ოფიციალურად გაფორმება გაურკვეველ მიზეზთა გამო ყოვნდება.

გუშინ **ვალდას ივანაუსკასმა** ბიბი-სი-სთვის ქართველის შესახებ ისაუბრა:

"ჩვენ დიდი ხანია გოგუას ვაკვირდებით და დარწმუნებული ვართ, რომ იგი "ჰართსს" გააძლიერებს. ის ჩვენთან ჩემპიონატის მეორე ნაწილს ჩაატარებს. ამის შემდეგ მასთან ახალი კონტრაქტის მიზანშეწონილობაზე ვიფიქრებთ".

ივანაუსკის ნათქვამის წაკითხვის შემდეგ, კაცს ეჭვი არ გაგიჩნდება, რომ გოგუას ტრანსფერს შოტლანდიურ კლუბში, შესაძლოა, რაიმემ შეუშალოს ხელი. არადა საეჭვო მართლაც არის და აი რა – დღემდე ქართველ ნახევარმცველს გუნდთან ერთად არ უვარჯიშია.

გოგუათი თავდაპირველად მოსკოვის ცსკა იყო დაინტერესებული. **გაზაევმა** რამდენჯერმე კბილი მოსინჯა კიდეც, მაგრამ თავად ფეხბურთელმა იუარა ამ კლუბში თამაში. მიზეზი? გოგიტას პოზიციაზე გაზაევის ფავორიტი **ევგენი ალდონინი** თამაშობს. არმიელთა თავკაცი მას შვილივით ექცევა და ალბათ შემადგენლობიდან ვერ ამოაგდებდა. მეორე პოზიციაზე, რომელზეც გოგუას ასევე შეეძლო თამაში, **რახიმიჩი** ირჯებოდა. ანუ ქართველს ძირითადში მოსახვედრად დიდი ბრძოლა მოუწევდა.

ეს ვარიანტი გამოირიცხა.

მეორე ვარიანტი იყო მოსკოვის "ლოკომოტივი", რომელიც გოგიტას დიდი ინტერესით ეკიდებოდა, მაგრამ **ანატოლი ბიშოვეცს** ქართველი ახალგაზრდის გასინჯვა სურდა. ეს გოგუასთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მართლაც არაა ლოგიკა იმაში, რომ პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტს გასინჯვაზე იწვევდე. ასეთ პირობებზე შესაძლოა, გოგიტა შარშან წასულიყო, მაგრამ ბრწყინვალედ გატარებული სეზონისა და ტიტულის მოპოვების შემდეგ, ეს გამოირიცხა.

გოგიტას ადრეულ წლებში ისედაც ბევრი გაუცდა, მთელი ორი წელი დაკარგა და საკუთარ თავზე ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება აღარავის მისცა. მოკლედ, მან უკვე იცის საკუთარი თავის ფასი.

მას კარგად ახსოვს თბილისის "დინამოდან" გამოშვების ისტორია. **რეზო არველაძის** გუნდიდან წასვლის შემდეგ, დაითხოვეს როგორც უნიჭო ფეხბურთელი. ახლა მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და დაინტერესებულ გუნდებს უპირველესად სათამაშო პრაქტიკის გარანტიებს სთხოვდა და ამიტომ თქვა უარი ზემოთნახსენებ ორ გუნდზე.

ასეთი გუნდი ედინბურგის "ჰართსი" აღმოჩნდა. მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** დიდი ხანია ქართველით დაინტერესდა და მას შემადგენლობის გაძლიერების იმედსაც უკავშირებდა.

მთავარი კი ისაა, რომ გადაწყვეტილება **ალექსანდრ ჩერვიჩენკომ** უნდა მიიღოს. იგი "ხიმკის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია და რაც ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ქართველის იურიდიულ დოკუმენტაციას განკარგავს.

შოტლანდიური კლუბის რუს-ლიტველ მეპატრონესთან, **ვლადიმირ რომანოვთანაც** მოლაპარაკებებს ძირითადად ის აწარმოებდა. რა სტადიაშია ეს მოლაპარაკება ან რატომ გაიწელა ამდენ ხანს, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ფაქტი კი ისაა, რომ გოგუას "ჰართსში" გადასვლას სწორედ ჩერვიჩენკოს დასტური სჭირდება. ის კი ამ დასტურს ჯერ არ იძლევა.

არადა, ამ ნაბიჯით ჩერვიჩენკოს ქართველით დიდი ფულის გაკეთება სურს. საქმე ისაა, რომ გოგიტა გოგუას ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბი აკვირდება. ჩერვიჩენკომ ამტომაც ამჯობინა რუსულ ვარიანტებს, ფეხბურთელის შოტლანდიაში, ინგლისის ყურისძირში გაშვება. იქიდან დაინტერესებული კლუბი ქართველს უკეთ დააკვირდება.

საქართველოს ნაკრების წევრმა კი უნდა დაამტკიცოს, რომ ინგლისის პრემიერლიგაში გამოსვლა სურს.

მერაბ მამულაშვილი

ბორჯომი

კაიდარაშვილი დაბრუნდა

ალექსანდრე კაიდარაშვილი

ნახევარწლიანი იძულებითი უქმობის შემდეგ, ფეხბურთს **ალექსანდრე კაიდარაშვილი** უბრუნდება. სხვათა შორის, გამოცდილი ფორვარდი საყვარელ საქმეს ტრავმის გამო არ ყოფილა ჩამოშორებული. საქმე ისაა, რომ გასული სეზონის ბოლოს "ამერთან" გაწყვეტილი კონტრაქტის შემდეგ, მან სასურველი კლუბი ვერ იპოვა და ზაფხულის შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა.

კაიდარაშვილი "ბორჯომის" შემადგენლობაში ვარჯიშობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას იქვე გააგრძელებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე** მისი სათამაშო ფორმით უკმაყოფილო არაა და იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში კაიდარაშვილი ოპტიმალურ კონდიციებს მიუახლოვდება.

კაიდარაშვილის გარდა, სეზონის მეორე ნახევარს "ბორჯომში" ალბათ **რევაზ კვერნაძეც** გაატარებს. მან თავის ყოფილ კლუბ "ზესტაფონთან" კონტრაქტი გაწყვიტა. ხაჩიძეს კვერნაძისაც ძალიან ეიმედება.

წამსვლელებს რაც შეეხება, სადღეისოდ, გუნდი ხუთმა ფეხბურთელმა დატოვა: **მოდებაძემ**, **კიკნაძემ**, **ნაკანმა**, **ბენდელიანმა** და **ლაბაძემ**.

"ბორჯომის" ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება. როგორც იცით, პირველ წრეში კურორტელთა ღირსება არაერთმა ახალგაზრდა მოთამაშემ დაიცვა, რომელთა დიდმა ნაწილმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და რაც მთავარია, მათი პროგრესი გრძელდება. ასე რომ, სეზონის მეორე ნახევარიც მეტწილად მათ მხრებზე გადაივლის.

გუნდმა მზადება 10 იანვარს დაიწყო. ფეხბურთელები ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ორჯერად ვარჯიშებს ატარებენ, ცხოვრებით კი კეთილმოწყობილ სპორტკომპლექს "ოლიმპში" ცხოვრობენ, სადაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების წინ ჩვენი ძიუდოისტები და მოჭიდავეები ემზადებიან ხოლმე. იქვე სრულყოფილი სატრენაჟორო დარბაზიცაა და ფეხბურთელები იქაც ღვრიან ოფლს. ერთი სიტყვით, "ბორჯომის" შეკრება ერთობ მაღალ დონეზე მიმდინარეობს.

ხაჩიძე კიდევ ორი-სამი მაღალკვალიფიური მოთამაშის დამატებას გეგმავს და ამით გუნდის დაკომპლექტების პროცესიც დასრულდება. ბუნებრივია, დაგეგმილია საკონტროლო მატჩებიც. ბორჯომელებს რამდენიმე სავარაუდო მეტოქე უკვე შერჩეული ჰყავთ, მათ შორისაა "ვიტ ჯორჯიაც". ამხანაგურ შეხვედრებს ხაჩიძე და მისი შეგირდები 20 იანვრიდან დაიწყებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

ყენია ვიზას ელოდება

საქართველოს 17-ნლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი **ლევან ყენია** დეკემბერში ესპანეთში გაემგზავრა და პრიმერადივიზიონის "ლევანტეში" სინჯები წარმატებით გაიარა. ესპანელებმა 16 წლის ქართველს კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს.

ჩამოსვლის დროს ლევანს ინტერვიუ ჩამოვართვით და გვითხრა, რომ 10 იანვრისთვის ესპანეთში აპირებდა გამგზავრებაა. თუმცა, დღეს 16 იანვარია, ყენია კი თბილისშია და ისვენებს.

ვითარებაში გასარკვევად ახალგაზრდა ფეხბურთელს დავუკავშირდით.

"ვიზას ველოდები და დღე-დღეზე უნდა გავემგზავრო. ახლა მთავარია ჩემი თამაშის ლეგალიზაცია. იურიდიული საკითხები მალე მოგვარდება და ესეც არაა პრობლემა. "ლევანტესთან" წინასწარ შეთანხმებულია კონტრაქტი და ამ გუნდში ვითამაშებ. ასე რომ, შეთანხმება ძალაშია და არ ჩაშლილა" – გვითხრა ლევან ყენიამ.



ნედ ზელიჩი

ინტერვიუ ნედ ზელიჩთან

რატომაა ახალი წელი ორჯერ?

ახლა, როცა ამ ინტერვიუს კითხულობთ ნედ ზელიჩი თბილისის "დინამოში" ვარჯიშობს და გროზნოს "ტერეკთან" ამხანაგურ მატჩში, მისი არაოფიციალური დებიუტი შედგა. როგორ შეხვდა ზელიჩი ახალ წელს თბილისში. რატომაა მისთვის საქართველო რიგით მესამე ქვეყანა. რატომ სწავლობს ქართულ ენას...

- ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო ქართველთა დამოკიდებულება ახალი წლისადმი. საკუთარი თვალით ვნახე, განვიცადე და აღვიქვი თუ როგორი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ, ქართველები ერთმანეთს ახალ წელს. როგორც მითხრეს, საქართველოში ორჯერ აღნიშნავენ ახალ წელს. ისიც გავიგე, რომ პერიფერიებში 1 იანვარზე არანაკლები ზარ-ზეიმით 14 იანვარს ზეიმობენ ახალ წელს და მას ძველ ახალ წელს უწოდებენ. არ ვიცი რატომაა საქართველოში ორჯერ ახალი წელი, მაგრამ იმისი თქმა კი შემიძლია, რომ ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო, მსგავსი სხვაგან არ მსმენია. რაც უფრო მეტია დღესასწაული, მით უკეთესი და ამ მხრივ ქართული ტრადიციაც კარგია.

- წარმოშობით ხორვატი და ავსტრალიის მოქალაქე ხართ. გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში გითამაშიათ. ახალი წლის აღნიშვნის რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია ხომ არ დაგამახსოვრდათ?

- სადაც უნდა ვყოფილიყავი, ვცდილობდი შვებულებით მესარგებლა და ახალ წელს შინ, ოჯახის წევრებთან ერთად შევხვედროდი. საქართველო ავსტრალიისა და გერმანიის შემდეგ მესამე ქვეყანაა, სადაც ახალ წელს შევხვდი. ასე რომ ამ დღესასწაულის შეხვედრის დიდი და მრავალფეროვანი გამოცდილება ნამდვილად არ მაქვს. მხოლოდ ერთი შემიძლია გითხრათ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უფრო დიდხანს და უფრო ინტენსიურად აღნიშნავენ ახალ წელს.

- სხვადასხვა ქვეყანაში ახალი წლის შეხვედრის სხვადასხვა ტრადიციაა. ალბათ ავსტრალიაშიც იქნება რაიმე ტრადიცია...

- არა, რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია ავსტრალიაში ნამდვილად არ გვაქვს. ერთი ეგაა, რომ ავსტრალიელები ფეირვერკებზე გიჟდებიან. შეიძლება ითქვას, რომ ფეირვერკომანია სჭირთ (იცინის)... სხვათა შორის, მათ ეს საქმე საკმაო კარგადაც გამოსდით.

- ახალ წელს თბილისში შეხვდით და ამ დღესასწაულის აღნიშვნის ქართულ ვარიანტში ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

- ახალი წელი საქართველში მაინც განსხვავებულია. საერთოდ კი ერთი რამ უმალ შევნიშნე, ქართველები ძალიან მგრძნობიარეები, მოსიყვარულეები და ემოციურები ხართ. სიყვარულსა და პატივისცემას განსაკუთრებულად გამოხატავთ.

ახალ წელს მე და ჩემს აგენტ ალექს ტონიასთან ერთად რამდენიმე ოჯახში მიგვიწია მისვლა და ყველგან ისე თბილად და დიდი სიყვარულით დაგვხვდნენ, თითქოსდა დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

- ალბათ ქართულმა სუფრამ და ქართველების მადამაც გაგაოცათ...

- (იცინის) ეს მართლაც მომხვდა თვალში. მართალია, კარგი სმა-ჭამა სხვა ქვეყნებშიც არანაკლებ უყვართ, მაგრამ ქართული სუფრა თავისი მრავალფეროვნებით, ქართველების მადა და დღესასწაულების აღნიშვნით თქვენი ქვეყანა დანარჩენებზე ერთი საფეხურით მაღლა ნამდვილად დგას.

პროფესიონალი ვარ და დღესასწაულთან ერთად ფეხბურთიც არ მავიწყდება. ახალი წლის აღნიშვნის შემდეგ, 1 იანვარს საწვრთნელ ბაზაზე მივედი და ვივარჯიშე კიდეც.

- მეუღლის გარეშე პირველად შეხვდით ახალ წელს?

- დიახ, ასეა. თუმცა, მეუღლეს დავურეკე და ახალი წელი რამდენიმე ენაზე, მათ შორის ქართულადაც მივულოცე.

- ქართულსაც სწავლობთ?

- დიახ, რომელი ქვეყანაც მომწონს, ყოველთვის ვცდილობ ხოლმე იქაური ენა, ტრადიციები და კულტურა გარკვეულწილად მაინც ავითვისო. საქართველო და ქართველები უმალ მომეწონა და თქვენი ენის შესწავლაც ამიტომ დავიწყე. ალექს ტონიას დახმარებით რამდენიმე სიტყვა უკვე ვისწავლე - გამარჯობი, როგორა ჰარ, კარგად, გილოსავ აჰალ ცელს... (იცინის)... მგონი კარგად გამომდის, ასეა?

-ქართული სუფრა მოგწონებიათ, როგორც გვითხრეს...

- ვვარჯიშობ და მოსამზადებელი შეკრებისას რეჟიმს კვებაშიც ვიცავ. ამიტომ ქართული სამზარეულოს დაგემოვნება სრულად ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი. ისე კი, რაც გავსინჯე, ყველაზე უფრო მწვადი მომეწონა. როგორც მითხრეს, ქართველებს არაერთი გემრიელი კერძი გქონიათ, მათ შორის გამორჩეული კი ხინკალი და ხაჭაპური ყოფილა... ამ უკანასკნელზე მითხრეს ქართული პიცააო, ძალიან მაინტერესებს და გავსინჯავ კიდეც.

- ქართული ღვინო თუ გასინჯეთ?

- დიახ, მხოლოდ ცოტა. საერთოდ შავ ღვინოს ყველგან ვერიდები, აქაც თეთრი ღვინო გავსინჯე და და ძალიან მომეწონა.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ მამუკა ღონღაძესთან

კარგი მწვრთნელები მოგვიყვანეთ

ქუთაისის „ტორპედოში" ცოტა ხნის წინ დიდი ცვლილებები მოხდა. რევაზ ძოძუაშვილის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად გიორგი კიკნაძე დაინიშნა, რომელიც უკვე ორი კვირაა რაც გუნდს ავარჯიშებს. როგორი შთაბეჭდილებები მოახდინა მან „ტორპედოს" ფეხბურთელებზე და რა მდგომარეობაა ქუთაისურ გუნდში? ამის თაობაზე „ტორპედოს" ფორვარდი მამუკა ღონღაძე გვესაუბრება.

- თავდაპირველად გვითხარი, როგორი მდგომარეობაა „ტორპედოში"?

- ჩვეულებრივი, სავარჯიშო სიტუაციაა. დილით დავრბივართ, საღამოს კი ბურთით ვვარჯიშობთ. რამდენიმე დღეში თბილისში ჩავალთ და საკონტროლო მატჩებსაც გავმართავთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას მომზადებული შევხვდებით.

- „ტორპედოს" სპონსორებთან დაკავშირებით არაერთი ვერსია ვრცელდება, ამბობენ გუნდს „ვისოლი" დააფინანსებსო, ფეხბურთელებმა რა იცით ამის შესახებ?

- როგორც ვიცი, სპონსორის საკითხი ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ გვპირდებიან რომ ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენც იმედი გვაქვს, რომ „ტორპედოს" სოლიდური პატრონი ეყოლება და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

- როგორ ფიქრობ, რევაზ ძოძუაშვილისა და დავით გამეზარდაშვილის წასვლა „ტორპედოს" ხომ არ დაასუსტებს?

- მართალია გუნდისთვის ორივე უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, მაგრამ ცუდი შემადგენლობა ახლაც არა გვყავს. თანაც, გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის სახით ისეთი მწვრთნელები მოვიდნენ, რომლებსაც იმის უნარი შესწევთ, რომ „ტორპედო" ძლიერ კოლექტივად ჩამოაყალიბონ.

- ახალი მწვრთნელების მოსვლის შემდეგ გუნდში რა შეიცვალა?

- ვარჯიშები უფრო დინამიური და სახალისოა. ყველანი კმაყოფილები ვართ.

- ძოძუაშვილის მეთოდები არ მოგწონდათ?

- ბატონი რეზო თავისი საქმის პროფესიონალია და ვარჯიშებზეც მომთხოვნი იყო. სამსაათიანი დატვირთვები გვქონდა და ვარჯიშის შემდეგ ზოგჯერ სუნთქვაც გვიჭირდა. ამიტომ ზოგჯერ მატჩებს ძალიან გადაღლილი ვხვდებოდით. ახლა სულის მოთქმის საშუალება მაინც გვაქვს. გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე ძმაკაცებივით გვიდგანან მხარში. ჩვენც, თითოეული ფეხბურთელი ძალიან დიდ პატივს ვცემთ და ვცდილობთ, მათი იმედები გავამართლოთ.

- რევაზ ძოძუაშვილის დროს „ტორპედო" უფრო დაცვითი სტილით თამაშობდა, როგორ ფიქრობ, ახალი მწვრთნელები ამ მხრივ შეცვლიან რამეს?

- კი, წვრთნის პერიოდშიც კარგად ჩანს, რომ გიორგი კიკნაძე შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. ჩემთვის, როგორც თავდამსხმელისთვის ეს უკეთესია, რადგანაც გაცილებით მეტი მომენტი შემექმნება და გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა მომეცემა.

- კი, მაგრამ ბევრი ფიქრობს, „ტორპედოს" დაცვითი ფეხბურთი რომ არ ეთამაშა ახლა ცხრილის ქვედა საფეხურებზე იქნებოდაო...

- ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ამ მხრივ პრობლემა არ უნდა შეგვექმნეს.

- გუნდის ახალწვეულებზე რას იტყვი?

- ძირითადად ახალგაზრდა ბიჭები დაგვემატნენ, მონდომებული არიან და გუნდსაც უნდა გამოადგნენ.

- შენს შესახებ ხმები ვრცელდებოდა „ტორპედოდან" მიდისო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქუთაისის დატოვებას არ აპირებ.

- შესაძლებლობა მქონდა, რომ თბილისის „ლოკომოტივში" გადავსულიყავი, მაგრამ საბოლოოდ აქ დარჩენა ვამჯობინე. „ტორპედო" დიდი ტრადიციების მქონე გუნდია და ეს ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. თანაც თასის მეოთხედფინალში ვართ გასული, სადაც „ბათუმს" უნდა დავუპირისპირდეთ. ძირითადი აქცენტი სწორედ თასზე გვექნება დაგატანილი და იმედია, ნახევარფინალში გასვლას შევძლებთ. თავს არ ვზოგავთ და ყველა ამ მიზნისკენ ვისწრაფვით.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ლეგიონერი

ალადაშვილი ისევ ელის

მარცვალაძე 10 თებერვლიდან

კიევის "დინამო" დუბაიში პირველ შეკრებას ატარებს. ამასობაში კი უკრაინის დედაქალაქში ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრილი, ტრავმირებული და გასასხვისებლად გამზადებული ფეხბურთელები დარჩნენ. ზოგი მათგანი "დინამოში" ვარჯიშობს, ზოგი "დინამოს" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და ა.შ.

მათ შორის არიან **ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილი**. უკრაინული გაზეთების ინფორმაციით, ალადაშვილი კიევის "დინამომ" დაიბრუნა, მაგრამ ისინი მოვლენებს გვარიანად ჩამორჩნენ. საქმე ისაა, რომ კახა გუნდს აუცილებლად დატოვებს, მაგრამ სად ითამაშებს, ჯერაც უცნობია. ამჟამად კი კიეველთა დუბლებთან ერთად ვარჯიშობს.

როგორც შევიტყვეთ, კრასნოდარის "ყუბანში" მისი იჯარა საეჭვო გახდა. რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტის მთავარმა მწვრთნელმა **პაველ იაკოვენკომ** მარჯვენა მცველის პოზიციაზე კიევის "დინამოს" საკუთრებაში მყოფი **ალექსანდრ ეშჩენკო** მიიწვია.

კახას გუშინ დავუკავშირდით, გვსურდა ინფორმაციის გადამოწმება, თითქოს არა რუსეთში, არამედ ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში აპირებს კარიერის გაგრძელებას. როგორც გაირკვა, ჯერ თავად არაფერი იცის:

"ვვარჯიშობ დუბლებში და ვითარების გარკვევას ველოდები. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კრასნოდარის "ყუბანში" ჩემი გადასვლა გამოირიცხა. რატომ და რისთვის, არ ვიცი, მაგრამ ასეა. ჯერ ვერ გეტყვით, უკრაინაში დავრჩები თუ სხვა ქვეყანაში გადავალ. გაურკვევლობაში აღმოვჩნდი და მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავიწყო ვარჯიში".

რაც შეეხება ოთარ მარცვალაძეს, იგი უკვე ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ მხოლოდ მსუბუქად.

"ჩამოსვლის შემდეგ ექიმმა მსუბუქი დატვირთვის უფლება მომცა და ძუნძული დაივიწყე. ნელ-ნელა დატვირთვებსაც მომიმატებენ. როგორც მითხრეს 10 თებერვლიდან უკვე ძირითად გუნდს შევუერთდები. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ "დინამოს" მომზადების მესამე ეტაპს ემთხვევა", – გვითხრა მარცვალაძემ.

მერაბ მამულაშვილი

გურიის ფეხბურთელები ტრაგიკულად დაილუპნენ

გასულ უქმეებზე ლანჩხუთის „გურიამ" ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო. პირველი ვარჯიშის შემდეგ ქალაქის ცენტრში ტრაგედია დატრიალდა. 12.30 საათზე, მთავარ მაგისტრალზე ავტომანქანა „ოპელი", რომელსაც კლუბის 19 წლის თავდამსხმელი **თორნიკე იმნაიშვილი** მართავდა, კაკლის ხეს შეეჯახა. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდა სამი სასწრაფო დახმარების მანქანა. სამწუხაროდ, ავტოსაგზაო შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა. მანქანიდან სამი მგზავრის გადმოყვანა მოხერხდა, აქედან ერთი 15 წლის **ბექა ბზეკალავა** უკვე გარდაცვლილი წაიყვანეს საავადმყოფოში. თორნიკე ცოცხალი იყო მაგრამ მანქანის გაჭრის გარეშე მისი გადმოყვანა ვერ მოახერხეს. სამწუხაროდ, ისიც გარდაიცვალა. ავტოავარიაში მოხვედრილი კიდევ ორი ახალგაზრდა კი საავადმყოფოში ტრავმებით მიიყვანეს.



თორნიკე იმნაიშვილი

ბექა ბზეკალავა

თორნიკეს სპეციალისტები ბავშვობიდანვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თითქმის ყველა ტურნირზე სიგელებს იღებდა. „გურიამდე" თბილისის „სპარტაკში" გამოდიოდა. კლუბის პრეზიდენტი **როლანდ ჩხაიძე** მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და ფარმკლუბის ვარჯიშებს ესწრებოდა, რომ თორნიკეს თამაში ენახა. მისი ტალანტის დროულად გაფურჩქვნას ტრავმამ შეუშალა ხელი. თუმცა მისი ერთი გარბენი, ერთი ფინტიც მიანიშნებდა, რომ მართლაც ტალანტთან გქონდა საქმე. ახლა მის ძმასთან, ალექსანდრესთან ერთად (ის უმაღლესლიგელი „სპარტაკის" ძირითადი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მობურთალი გახლდათ) მშობლიური „გურიის" წარმატებებზე ოცნებობდა, მაგრამ... ასევე ფეხბურთელი გახლდათ ბექაც, ის თბილისის საფეხბურთო კლუბ „გურიაში" თამაშობდა და ჭაბუკთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი „გურია" დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაილუპნენ „გურიის" ფეხბურთელები

თორნიკე იმნაიშვილი და ბექა ბზეკალავა

და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს

„ლელო" დიდ გულისტკივილს გამოთქვამს მომხდარი ტრაგედიის გამო და თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე

შოტლანდიასთან ნაშუადღევს

ევრო 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს წელს მარტში განვაახლებთ. პირველი მატჩი 24 მარტს შოტლანდიასთან სტუმრად გველის. იქიდან 4 დღეში კი ფარერებს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ. შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციიდან თბილისში მოსული ფაქსის თანახმად, შოტლანდია-საქართველოს მატჩი 24 მარტს, გლაზგოს "ჰემპდენ პარკზე" ადგილობრივი დროით 15 საათზე (19 საათზე თბილისის დროით) დაიწყება.

დავით ცაბაძე

ვინ იქნება ახალი ბოსი?

კრეიგ ლივაინი

ალექს მაკლიში

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ სავარაუდო კანდიდატთა სია საიდუმლოდ შეინახა. პრესა ვარაუდობს, რომ ყველაზე მეტი შანსი კრეიგ ლივაინსა და ალექს მაკლიშს აქვთ...

გუშინ, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასკომი შეიკრიბა. მისია საგანგებო იყო. ახლო მომავალში **უოლტერ სმიტის** შემცვლელი უნდა მოიძებნოს. კანდიდატურების თაობაზე უკვე ვწერდით. მართალია, აღმასკომის სხდომიდან გამოსულმა **დევიდ ტეილორმა** (ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი) ჟურნალისტები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, მაგრამ ბი-ბი-სი-სთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ვაკანტურ პოსტზე ფავორიტები **კრეიგ ლივაინი** და **ალექს მაკლიში** არიან.

მისტერ ტეილორი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: *"სია მოკლეა. ახალი მწვრთნელის ვინაობას მომავალ კვირაში შეიტყობთ"*. ჩინოსნის სიტყვაძუნწობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მედიის ფსონს ლივაინსა და მაკლიშზე. თუმცა ვინ იცის...

ამ ორის გვერდით, უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ **ტომი ბერნსი**, რომელიც "სელტიკის" ახალგაზრდულ გუნდში მუშაობას სმიტისა და **ბერტი ფოგოსის** ასისტენტობასაც უთავსებდა. ლოგიკურად, ის ყველაზე წონადი კანდიდატი უნდა იყოს, რაკი სანაკრებო კლიმატი მისთვის უცხო არ არის...

თავის მხრივ, საკუთარ კანდიდატურებს არ გამორიცხავენ მაკლიში და ლივაინი. ეს უკანასკნელი ადრე "ჰარტისისა" და "ლესტერის" დამრიგებელი გახლდათ. აი, რას ამბობს ლივაინი: *"ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მწვრთნელი მუდამ მზად უნდა იყოს ნებისმიერი შეთავაზებისთვის და არასოდეს თქვას: არასოდეს! "ლესტერში" გატარებული წლები მკარნახობს, რომ ფეხბურთში, ძალიან მოკლედ დროში, შეიძლება, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს. ამიტომ, მზად ვარ, შეთავაზება მივიღო და განვიხილო. პირველ რიგში, უნდა ვნახო, რამდენადაა ესა თუ ის საქმე ჩემთვის საინტერესო. ნაკრების მწვრთნელის პოსტი ნებისმიერი შოტლანდიელისთვის მთავარი სამუშაოა"*.

დღესდღეობით, ლივაინი "დანდი იუნაიტედს" ავარჯიშებს. სხვა კანდიდატურები, რომლებიც ამჟამად საქმით არიან დაკავებულნი, **ჯიმ ჯეფერისი** და **ჯო ჯორდანი** არიან. პირველი "კილმარნოკს" ავარჯიშებს, წარმატებით მუშაობს შეზღუდული რესურსების პირობებში და სწორედ ამით დაიმსახურა ყურადღება. ჯორდანი კი "პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა და მისი დამსახურებაცაა, რომ მოკრძალებული კლუბი გრანდებს ეჭიდავება. თუმცა საფეხბურთო ასოციაციისთვის სწორედ ესაა შემაფერხებელი ფაქტორი. ერთ-ერთის დანიშვნის შემთხვევაში, ის იძულებული იქნება, ხსენებულ კლუბებს კომპენსაცია გადაუხადოს.

"ქოვენთრის" ყოფილმა დამრიგებელმა **გარი მაკალისტერმა** უკვე მიანიშნა ასოციაციას, რომ ორწლიანი პაუზის (რაც მეუღლის გარდაცვალებით იყო გამოწვეული) შემდეგ, მზადაა საქმეს დაუბრუნდეს. ახლო წარსულში შოტლანდიის ეროვნული გუნდის კაპიტნის კანდიდატურა მეტად მიმზიდველია ნაკრების დღევანდელი ბირთვისა და ექსპერტებისთვისაც.

რაც შეეხება მაკლიშს, "რეინჯერსიდან" წასვლის შემდეგ, ის ჯერაც უმუშევარია, რაც მისთვის ერთგვარი უპირატესობაა. ბი-ბი-სი-სთან კომენტარში ის ამბობს: *"ვიცი, რომ ასოციაციას სხვა მწვრთნელის დანიშვნა უნდა. უცხოელი ადრე უკვე გვყავდა, მაგრამ ამან შედეგი ვერ მოგვიტანა. ჩემი აზრით, ახალი მწვრთნელი შოტლანდიელი იქნება. ეს სამუშაო ჩემთვისაც დიდი პატივია, თუმცა გულწრფელად გეტყვით, რომ ჯერ არავინ დამკავშირება. დიახ, დაბრუნება ძალიან მინდა, მაგრამ უფრო საკლუბო ფეხბურთში. შეიძლება, ეს იყოს ინგლისის პრემიერლიგა, ან პირველი დივიზიონი... მოკლედ, არა მგონია, მე დამნიშნონ. შესაძლოა, ეს იყოს კიდეც უცხოეთში წასვლის მიზეზი"*.

სიტუაცია ქართულ კლუბებში

გუნდი	მიდიან	მოდიან	
ოლიმპი	**კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ისთვის)	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო)	თბილისი, თურქეთი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი (დინამო),**		თბილისი, ანტალია (თურქეთი)
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?), კაკაშვილი (რილსკი ბულგ.)	**მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე** (?)	**რ. ონიანი (ოლიმპი)**	თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები
დინამო	**ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) **ნავალოვსკი (ოლიმპი)**	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ვილინა)	ბაკურიანი, ანტალია
ტორპედო	**ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	**კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი)	—
სიონი	**სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი (ჩიხურა) ჭიჭვეიშვილი (?)**	**ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის	დსთ-ის თასი, იანვარი
ლოკომოტივი	ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?).	სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)	ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუუ, ნაკანი,**		10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო)	ორი შეკრება
ჩიხურა	**მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)**	ბათიაშვილი (სიონი), ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი),	შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	შეკრება ბათუმში
დიღა	**ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესნარაშვილი (მწვრთნელი)**	**ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)**	შეკრება გორში
ჭიათური	სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი)**	თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც

CDN საქართველოს ფიფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოლოდროინდელ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 345 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა ნებისმიერ გაუჩვეულად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ატარებს ფანკლუბის წევრების ტურნირს მინი ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და თბილისსა და ბათუმში ჩატარდება. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფანკლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფანკლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს. გუნდს აქვს უფლება, ფანკლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ პირად ხარჯებს (მოთამაშეების განევრიანებას, გადაადგილებას და ა.შ)

თბილისსა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერფინალში. ტურნირის მთავარი პრიზი საიდუმლოდ რჩება, ეს ჯილდო ნებისმიერი გულშემატკივარისთვის ძალიან სასურველი იქნება.

განცხადებები მიიღება დღეიდან 20 თებერვლამდე. დაგვიკავშირდით ნომერზე 542-542 ან მოგვწერეთ geo_fanclub@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიო კაპელოს ჟესტი სარაგოსასთან მატჩის შემდეგ

სკანდალი

ფაბიო კაპელო: მე მინდოდა ბექჰემთან სექსი?!

რა რეაქცია გექნებათ, როცა ჰომოსექსუალისტს გიწოდებენ?! კალდერონი: ბექჰემმა რეალი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა...

"დეპორტივოსთან" განცდილი მარცხის შემდეგ, "რეალში" მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ რონალდოსა და დევიდ ბექჰემს მალე სამეფო კლუბიდან წასვლა მოუწევთ. ფაბიო კაპელომ ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყო. იტალიელმა სპეციალისტმა არ დაახანა და "სარაგოსასთან" მატჩში რევოლუციური ცვლილებები განახორციელა. ფერნანდო გახო და გონსალო იგუაინი ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ. მწვრთნელი და დირექტორატის მაღალჩინოსნები მათი თამაშით კმაყოფილები დარჩნენ. "რეალმა" წინა ტურის შეხვედრისგან განსხვავებით, დამაჯერებლად იასპარეზა და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა. მადრიდული გიგანტი ახლა მეორე ადგილზე იმყოფება...

აშკარა ტრანსფორმაციით აღფრთოვანებულმა გულშემატკივრებმა გუნდს ოვაციები მოუწყვეს. "სანტიაგო ბერნაბეუმ" ფეხბურთელები და მთავარი მწვრთნელი აპლოდისმენტებით გააცილა. ამ დროს კი, შეკრებილი საზოგადოება შოკში ჩავარდა. გასახდელისკენ მიმავალმა **კაპელომ** ტრიბუნას შუა თითი უჩვენა. ინჩასებმა, რომლებმაც ეს ჟესტი შენიშნეს, კინაღამ წონასწორობა დაკარგეს და ტაშის დაკვრის ნაცვლად, იტალიელ სპეციალისტს გინება დაუწყეს. ჟურნალისტები გაოგნებულები დარჩნენ. ვიდეო და ფოტოკამერებმა სინიორ ფაბიოს საქციელი კარგად აღბეჭდეს. ბუნებრივია, პრესკონფერენცია ამ კითხვით დაიწყო. კაპელოს ერთობ უცნაური მიზეზი აღმოაჩნდა: *"პირველყოვლისა, უდანაშაულო ქომაგებს ბოდიში უნდა მოვუხადო. ეს ჟესტი მათი მისამართით არ გამიკეთებია. საქმე ორ ნაძირალას ეხება. მას შემდეგ, რაც მადრიდში ჩამოვედი და მუშაობა დავიწყე, ისინი სისტემატურად მლანძღავენ. ამჯერად კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს. შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ ეს ორი გარეწარი სამეფო კლუბში ჩემი პირველი მოღვაწეობის პერიოდშიც მლანძღავდა და მაგინებდა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, მაგრამ თავს არ მანებებენ. ვაღიარებ, შუა თითის ჩვენებით შეცდომა დავუშვი, რადგან სხვა გულშემატკივრებმა იფიქრეს, რომ მათ დავუპირისპირდი. მეც ადამიანი ვარ და ემოციები ვეღარ მოვთოკე. ასეთი ბილწი გინება არც კი გამიგია. თავმოყვარეობა უკიდურესად შემილახეს. ვეღარ მოვითმინე და პასუხი გავეცი. მიმაჩნია, რომ ხსენებული ორი დეგენერატი ყველაზე მკაცრ და საშინელ მოპყრობას იმსახურებს, მაგრამ მე მაინც არაფერი მამართლებს".*

"დიარიო ასის" კორესპონდენტმა დიდი უტაქტობა გამოიჩინა და კაპელოს დეტალების გამხელა მოსთხოვა. მწვრთნელს თავდაპირველად საუბარი არ სურდა, თუმცა ჩვენმა კოლეგამ განუმარტა, საზოგადოება მომხდარის დაკონკრეტების გარეშე შეურაცხყოფას ვერ მოინელებს, თქვენ ხალხს შუა თითი აჩვენეთ და ახლა ვალდებული ხართ, ყველაფერი დაწვრილებით განმარტოთო. სინიორ ფაბიოს ისღა დარჩენოდა, ყველაფერზე გულახდილად ესაუბრა: *"კეთილი, გეტყვით, რასაც ყვიროდნენ. დედაჩემი რომის იმპერატორის ბოზად მონათლეს, მამაჩემი კი სუტინიორად. როგორ გგონიათ, ამის მოთმენა იოლია? გარდა ამისა, გაიძახოდნენ, შე, ჰომოსექსუალისტო, რონალდომ სექსზე უარი გითხრა და გუნდიდან იმიტომ აგდებო. გავაგრძელო?! რადგან ამდენად გაინტერესებთ, არ გავჩერდები და კიდევ ვისაუბრებ. თამაშის დამთავრებას აღარაფერი უკლდა. ცხადი იყო, რომ მოვიგებდით. მათ კი კმაყოფილების გამოხატვის ნიშნად, ბოლო აკორდი აიღეს და დაიყვირეს - ბექჰემის დანახვისას ერექცია გემართება, მან უარი გითხრა და ისიც მოკვეთეო. რა რეაქცია გექნებათ, როცა გეტყვიან, რომ ბექჰემთან სექსი გინდოდა?! როცა გასახდელისკენ მივდიოდი, იმ არაკაცებმა თვალებში შემომხედეს და ბოლო ხმაზე დაიღრიალეს - ჩვენი კაკაფონია როგორ მოგეწონაო? ალბათ, სხვა გასართობი არ აქვთ. შუა თითის ჩვენება მათთვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი იყო. თუმცა, სამწუხაროა, რომ ჩვენმა ერთგულმა და პატიოსანმა ინჩასებმა ჟესტი თავიანთ თავზე მიიღეს. მოკლედ, ყველას დიდ ბოდიშს მოვახსენებ. ორ არანორმალურს კი ვაფრთხილებ, თავი დამანებონ".*

მართლაც, შემზარავი ისტორიები შევიტყვეთ, მაგრამ პრესა მაინც კატეგორიულია და კაპელოს საქციელს არ უწონებს. გამორიცხული არ არის, მას ცუდი პროპაგანდა გაუწიონ. შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ასპარეზზე **რამონ კალდერონი** გამოვიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა მთავარი მწვრთნელი კბილებით დაიცვა: *"ვინც კაპელოს იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ის უაღრესად სერიოზული და გაწონასწორებული ადამიანია. დღეს უჩვეულო ამპლუაში წარგვიდგა, მაგრამ თითი იმან გაიშვიროს, ვინც უცოდველია. დაზღვეული არავინაა, შესაძლოა, ხვალ ჩვენ გამოგვიყვანონ მოთმინებიდან. ფაბიომ მისი მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზები პრესკონფერენციაზე გამოამზეურა. ახლა ყველამ იცის, თუ რა მოხდა "სანტიაგო ბერნაბეუზე". როგორც პრეზიდენტი ვაცხადებ, რომ ასეთი ნაძირალა ფანები არ გვჭირდება. ჩვენი მწვრთნელი დაუღალავად მუშაობს. ის ყველაზე ადრე იღვიძებს და ყველაზე გვიან წვება. სამაგიეროდ კი, ასეთი თავდასხმა მიიღო. სულაც არ მიკვირს, რომ კონტროლი დაკარგა. როგორც თავად ამბობს, იგივე ხალხი მას ათი წლის წინაც აგინებდა. ბუნებრივია, შუა თითის ჩვენება არანორმალური ფაქტია, მას არც მე ვიწონებ, მაგრამ თუ საჭირო გახდება, კაპელოს კბილებით დავიცავ".*

შუა თითის ინციდენტი განხილვის საგანი მომავალშიც გახდება, მაგრამ თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ სამეფო კლუბისთვის უფრო აქტუალური ბოლო დროს განვითარებული მოვლენებია. როგორც იცით, ბექჰემმა ამერიკისკენ აიღო გეზი. ინგლისელ ვარსკვლავს კვიერაში 500 ათას გირვანქას გადაუხდიან. ამ კოლოსალური თანხით აჟიტირებულმა რონალდომ გადაწყვიტა, ამერიკულ ლიგაში გააგრძელოს კარიერა. ცხადია, საამისოდ მხოლოდ ბრაზილიელის სურვილი არ კმარა. მისმა მენეჯერებმა შეერთებულ შტატებში კოლეგებს დაურეკეს და სულ რაღაც ერთ დღეში პასუხი მიიღეს. იგივე "ლოს ანჯელეს გალაქსი" და"ნიუ იორკ რედ ბულზი" მზად არიან სამეფო კლუბთან მოლაპარაკებები დაიწყონ. MLS-ის ხელმძღვანელობამ ამბიციური სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბა. მათ ამერიკული ლიგა უნდა განავითარონ და ფართო მასებისთვის პოპულარული გახადონ. რონალდო ამ მიზნებისთვის სწორედ რომ შესაფერისი ფეხბურთელია. ბოლო ინფორმაციით, სამხრეთამერიკელი სწორედ ამერიკაში გადაბარგებაზე ფიქრობს. არადა, მას არაბეთიდანაც ჩინებული წინადადებით დაუკავშირდნენ. როგორც იცით, რონალდოს "აღ იტიჰადი" ინვევს. გემახსოვრებათ, ამ გუნდმა მცირე ხნის წინათ **ლუიშ ფიგუს** გაუფორმა კონტრაქტი.

ამასობაში, ბექჰემისა და "გალაქსის" მოლაპარაკებას რამონ კალდერონი გამოეხმაურა. ესპანური გიგანტის პრეზიდენტი უჩვეულოდ აგრესიული და გაბრაზებული იყო: *"დევიდმა "რეალი" საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა და ბოლოს ფეხებზე დაიკიდა. ახლა ვხვდები, რომ ის მთელი ამ დროის განმავლობაში გვეთამაშებოდა. ამას არაკორექტულობაც არ ჰქვია. ჯერ კიდევ 2006 წლის შემოდგომაზე თანამშრომლობის გახანგრძლივება და ხელფასის გაზრდა შევთავაზეთ. მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ამავდროულად, გვეუბნებოდა, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მომეცითო. ბექჰემი პროფესიონალია და შესანიშნავად მოეხსენება, რომ პრეზიდენტი ან რომელიმე დირექტორი კაპელოს საქმეში ვერ ჩაერევა. არანაირი უფლება არ გვაქვს, სინიორ ფაბიოს ვუთხრათ, დევიდი ამა თუ იმ მოტივის გამო ათამაშეო. შეუძლებელია, მას ეს არ სცოდნოდა, თუმცა მაინც დროს ითხოვდა. ჩვენ ინგლისელს უსიტყვოდ ვენდეთ და ვუთხარით, ძალიან ბედნიერები ვიქნებით, თუ კარიერას "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაასრულებ-თქო. ამ დროს კი რა ხდება? ბექჰემი "გალაქსის" მესვეურებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ანარმოებდა. სამწუხაროდ, ამის შესახებ გვიან შევიტყვეთ და საზოგადოებას პრედრაგ მიატოვიჩის პირით ჩვენი პოზიცია გავუმხილეთ. გადავწყვიტეთ, დევიდისთვის კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ შეგვეთავაზებინა. სხვათა შორის, კაპელოს ბრიტანელისთვის ერთხელაც არ უთქვამს, არ მჭირდები და თავშესაფარი სხვაგან მონახეო. რასაც ვერ ვიტყვი რონალდოსთან მიმართებაში. ოფიციალურად მოგახსენებთ, რომ გუშინ მწვრთნელი და ფორვარდი ერთმანეთს რამდენიმე წუთით შეხვდნენ. ფაბიომ დაუფარავად უთხრა, რომ მისი იმედი არ აქვს".*

როგორც ხედავთ, სამეფო კლუბში დიდი აურზაურია. თითქოს ყველა ყველას ერჩის და ყველა ყველასგან თავს იცავს. ამ დაძაბულობის ჟამს ლუიშ ფიგუმ ცეცხლზე ნავთი დაასხა. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა "დიარიო ასს" ინტერვიუ მისცა და ყოფილი კლუბი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა: *"რამდენადაც "რეალის" გულშემატკივრები ფანტასტიკურები არიან, ხელმძღვანელობა იმდენად ნაგავია. ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რამონ კალდერონი ფლორენტინო პერესის კურსს დიდი წარმატებით აგრძელებს. ისინი ფეხბურთელებს იყენებენ, ლიმონივით წურავენ და შემდეგ სანაგვეზე ისვრიან. ამასთან, ბოდიშსა და მადლობასაც არ მოახსენებენ. კალდერონმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, ბექჰემისთვის არავის უთქვამს, რომ ის საჭირო აღარ არისო. უკაცრავად, მაგრამ დევიდს არც ის განუმარტეს, სჭირდებოდა თუ არა ვინმეს. უბრალოდ, სათადარიგოთა სკამზე დასვეს და არ აუხსნეს, რაში იყო საქმე. მათ ხომ შესანიშნავად იციან, რომ ისეთი დიდი ვარსკვლავი, როგორიც ბექსია, სკამის ხეხვას ვერასოდეს შეეგუება. ჩემი მეგობარი დისკომფორტს განიცდიდა. რა თქმა უნდა, ამას ყველა ხედავდა, მაგრამ კალდერონს ფეხებზე ეკიდა. დევიდს ისღა დარჩენოდა, მისი კვალიფიციური მენეჯერები აემოქმედებინა და გამოსავალი მოენახა. "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" დიდებული კონტრაქტი შესთავაზა. ხელმძღვანელობა ახლა მიხვდა, რომ გულშემატკივრები უკმაყოფილოები დარჩნენ. ზუსტი პასუხი მათაც ვერ გაიგეს. კალდერონი იძულებულია თავი იმართლოს. დევიდის დადანაშაულება საუკეთესო გამოსავალია. მხოლოდ ერთი რამ არ მესმის, ასეთი ინტრიგების როგორ არ რცხვენიათ?!"*

ილია ნიკოლაიშვილი

მზადება დიდი ტრანსფერისთვის

ამერიკაში უკვე აპრილიდან?

მისის ბექჰემი უკვე ლოს ანჯელესშია და გინასა და სკოლას ეძებს...

დევიდ ბექჰემს მადრიდული კონტრაქტის ნაადრევად განყვეტა სურს. ეს ინფორმაცია MLS-ის კომისარმა **დონ გარბერმა** გაავრცელა. დევიდის ადვოკატები "რეალთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავენ. განხილვის საგანია კომპენსაცია, რომელიც ფეხბურთელს უნდა მიუთვალონ. შეთანხმების შემთხვევაში, თანამშრომლობა დაუყოვნებლივ შეწყდება და ბექჰემი ლოს ანჯელესისკენ აიღებს გეზს.

MLS-ის სეზონი აპრილში იწყება. თუ დევიდი მადრიდულ კონტრაქტს ამოწურავს, ახალ კლუბს ზაფხულზე ადრე ვერ შეუერთდება. იმ დროს კი სეზონის ნახევარი ჩავლილი იქნება. თუ ადვოკატები კარგად იმუშავებენ, პრობლემა ადვილად გადაიჭრება. "რეალის" თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** თქვა, რომ დევიდის განაცხადში შეყვანას აღარ აპირებს. "გალაქსი" ილუზიებით არ იკვებებოდა და შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ბექჰემს მხოლოდ შუა სეზონიდან დაიხმარდა. კაპელოს სიტყვებმა მისი დირექტორები იმედით აავსო.

ვიქტორია ბექჰემი უკვე ლოს ანჯელესშია. "სანის" ცნობით, დევიდის მეუღლე ამერიკაში ლონდონიდან, "ბრიტიშ ეარვეისის" რეგულარული რეისით ჩაფრინდა. მას ნაცრისფერი კეპი ეხურა და თვალები დიდი შავი სათვალით ჰქონდა დაფარული. ვიქტორიას ჟურნალისტებისკენ არც გაუხედავს, დაცვის სამსახურების დახმარებით, აეროპორტის ტერმინალი სწრაფად დატოვა და უცნობი მიმართულებით გაემგზავრა. ბექჰემების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა "ასოშეიტედ პრესს" ანონიმურად აუწყა, რომ პოშ სფაისის ვიზიტის მიზანია სახლისა და სკოლის შერჩევა. ის კალიფორნიაში რამდენიმე დღეს გაატარებს.

ლოს ანჯელესის სამხრეთით, ჰერმოსა ბიჩზე მდებარეობს ცნობილი პაბი, რომელსაც Underground Pub & Grill ჰქვია. 1970-იანი წლების მინურულს ეს პაბი **ჯორჯ ბესტმა** გახსნა. იმ დროს დაწესებულებას მისივე სახელი, "ბესტისი" ერქვა. დღეს კი პაბის მეპატრონეა ამერიკელი **სტივ დელკი**, რომელიც ევროპული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და როგორც თვითონ ამბობს, მისი კლიენტების უმეტესობაც სოკერს ქომაგობენ. ბექჰემის "გალაქსიში" გადასვლამ დელკი და მისი მეგობრები ყველაზე მეტად გაახარა: *"თავიდან მისი ხელფასი გვეკერა პირზე, მაგრამ მერე ყველა იმ აზრამდე მივედით, რომ დევიდის ჩამოყვანა შესანიშნავი იდეაა."*

დელკი დარწმუნებულია, რომ ბექჰემის ტრანსფერი ბიზნესის გაფართოებაში დაეხმარება. მის პაბში ყოველ შაბათკვირას ათეულობით ადამიანი იკრიბება და ინგლისის ჩემპიონატის მატჩებს უყურებს. კლიენტებმა იციან, ვინ იყო ჯორჯ ბესტი და ისიც იციან, რომ ბექჰემი, ბესტის მსგავსად, "მანჩესტერ იუნაიტედში" მე-7 ნომრით თამაშობდა: *"ჩვენი პაბი "იუნაიტედს" ქომაგობის ნავსაყუდელია. მათი 2005 წლის ფოტოც გვაქვს, დანარჩენი კედლები კი ჯორჯ ბესტის სურათებითა და ნივთებითაა სავსე. ახალი სეზონიდან "გალაქსის" თამაშებს უნდა ჩავუჯდეთ. ყველაფერს ვიღონებ, რომ დევიდი ჩვენს ბარში ლუდზე დავპატიჟო. ჩამოსასხმელი "ბოდინგტონიც" კი გვაქვს, თუ მაინც და მაინც ნამდვილი ინგლისური ლუდი მოუნდება."*

ბექჰემის ტრანსფერი არა მხოლოდ სტივ დელკის ბიზნესზე უნდა აისახოს, არამედ მთელი MLS-ის კეთილდღეობაზე. საინტერესო ინფორმაცია მოვიდა ტორონტოდან. ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბი ლიგაში სადებიუტო სეზონისთვის ემზადება. მისი ხელმძღვანელობა კი იუწყება, რომ ბექჰემის ამბის გადაწყვეტიდან 24 საათში ზუსტად 1 036 სეზონური აბონემენტი გაყიდა, რაც საშუალოდ სამ წუთში ერთ გაყიდულ აბონემენტს უდრის. ტორონტოში ბექჰემის ვიზიტს უკვე სულმოუთქმელად ელოდებიან.



ჯერჯერობით, ბექჰემს მაყურებლის როლით მოუწევს დაკმაყოფილება

ამასობაში, კაპელომ ბექჰემის ამერიკულ კონტრაქტზე პირველი კომენტარი გააკეთა: *"რეალის" ტექნიკურმა გუნდმა, რომელშიც ჩემს გარდა, ასისტენტი ფრანკო ბალდინი და სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი შედიან, ერთობლივად გადავწყვიტეთ მისი (ბექჰემის) ძირითადი გუნდიდან გაყვანა. როცა ფეხბურთელი სხვა კლუბთან აფორმებს კონტრაქტს, შეუძლებელია, მას ისევე მოეკიდო, როგორც დანარჩენებს."*

"სარაგოსასთან" ნამატჩევს კაპელოს ესეც შეახსენეს: 1997 წელს "რეალთან" კონტრაქტი დასრულებული არ გქონდათ, როცა "მილანში" წასვლა გადაწყვიტეთ. რა განსხსავებაა თქვენს მაშინდელ და ბექჰემის დღევანდელ საქციელს შორისო. კაპელომ გაღიზიანებულმა მიუგო: *"ამერიკული ლიგა აპრილში იწყება, იტალიური აპრილში არ იწყებოდა, ამას გარდა, ჩემი განზრახვა პირველად პრეზიდენტს გავუმხილე. აი, ეს არის განსხვავება. და საერთოდ, იმ დროს "მილანთან" კონტრაქტი ჯერ არ მქონდა გაფორმებული."* ჟურნალისტი მწვრთნელის პასუხმა არ დააკმაყოფილა და კიდევ ერთი კითხვის დასმა დააპირა, მაგრამ დონ ფაბიომ მიუგო: *"საკმარისია, ბექჰემზე უკვე ბევრი ვილაპარაკეთ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ახალი ამბები

რაული ენფილდზე?

ხმაურიანი ტრანსფერი, შეიძლება, არაბმა ინვესტორებმა დააფინანსონ

გაზეთ "ასის" ცნობით, **რაულ გონსალესი**, შეიძლება, "ლივერპულში" ჩაირიცხოს. ესპანელ მიმომხილველებს ამის თქმის საფუძველს აძლევს "რეალში" დანყებული საკადრო რეფორმები და რაულისა და მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელის **რაფა ბენიტესის** დიდი ხნის მეგობრობა. ბოლო ორი წლის განმავლობაში რაული "ენფილდ როუდზე" არაერთხელ უნახავთ. მისი ვიზიტები განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩეოდა იმ პერიოდში, როცა "ლივერპულში" გონსალესის კიდევ ერთი მეგობარი **ფერნანდო მორიენტესი** თამაშობდა. გასული კვირის მიწურულს რაულის აგენტმა **ხინეს კარბახალმა** ესპანური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ეჭვი არ მეპარება, ჩემს კლიენტს პრემიერლიგაში პრობლემები არ შეექმნებაო.

"ასის" მონინავე სტატიამ მადრიდის საფეხბურთო საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. 29 წლის რაული სამეფო კლუბის ცოცხალი ლეგენდაა. მას მთელი კარიერა "რეალში" აქვს გატარებული. გონსალეს ბლანკო 17 წლის იყო, როცა პირველად მოირგო მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მაისურა. შაბათს რაული "რეალის" საკლუბო არხს გაესაუბრა. აი, მისი კომენტარი: *"ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. ვაპირებ, მუშაობა ძველებური ინტენსიობითა და შემართებით გავაგრძელო. იმედი მაქვს, კარიერას მადრიდში დავასრულებ."*

"ასის" მიმომხილველები კი წერენ, რომ რაულის დასარჩენად მხოლოდ მისი მონდომება საკმარისი არ არის. **ფაბიო კაპელო** ახალ გუნდს აკეთებს. განახლებულ "რეალში" გალაქტიკოები აღარ ითამაშებენ. **დევიდ ბექჰემის** საკითხი უკვე გაირკვა. მისი მადრიდული კარიერა ბოლო თვეებს ითვლის. ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს **რონალდოსაც**. რა გასაკვირია, რომ მასშტაბურ წმენდაში "რეალის" კაპიტანიც მოყვეს.

რაული სამი მუნდიალის მონაწილეა. მას ესპანეთის ნაკრებში 102 მატჩი აქვს ჩატარებული. გონსალესის მადრიდული კონტრაქტი 2010 წელს იწურება. იმავე "ასში" ვკითხულობთ, რომ კლუბს, რომელიც ესპანელი სუპერვარსკვლავის შეძენას მოინდომებს, მინიმუმ 18 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. რაული მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. მისი წლიური ხელფასი 6 მილიონ ევროს შეადგენს. თუ "ლივერპულის" განზრახვა სერიოზულია, ის დიდი ხარჯის გასაწევად უნდა იყოს მზად.

რაულის ტრანსფერის ინიციატორებს, როგორც ჩანს, არაბული ინვესტიციები უმაგრებთ ზურგს. მერსისაიდელთა აღმასრულებელი დირექტორი **რიკ პერი** ამბობს, რომ "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალთან" მოლაპარაკებები ნაყოფიერად მიმდინარეობს. თვეზე მეტია, არაბები "ლივერპულის" ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობენ. მათ ამ კლუბში ფულის ჩადება მიზანშეწონილად მიაჩნიათ. გარიგება 882 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ამ თანხაში შედის ის ფული, რომელიც 60-ათასიან სტადიონზე დაიხარჯება. ახალი არენა ლეგენდარული "ენფილდის" მეზობლად უნდა აშენდეს. მიმომხილველთა ვარაუდით, ემირების საკუთრებაში გადასვლის შემდეგ "ლივერპული" "ჩელსიზე" არანაკლებ მდიდარი იქნება. ბენიტესი ტრანსფერებში ასტრონომიული თანხების დახარჯვას შეძლებს. ამ ფონზე რაულში გადასახდელი 18 მილიონი სალაპარაკოდაც არ ეღირება. პერი: *"ინვესტორებთან ერთად უდიდესი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ვფიქრობ, ძალიან მალე სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდებას შევძლებთ. მოლაპარაკებები საქმიან გარემოში მიმდინარეობს. მათ წარმატებით დასრულებაში ეჭვი არ მეპარება."*

რაულ გონსალესი

პოლ ლე გენი

დანიშვნა

ლე გენი პარიზში დაბრუნდა

"რეინჯერსის" ყოფილმა თავკაცმა **პოლ ლე გენმა** ახალი სამსახური იშოვა. გუშინ ის "პარი სენ ჟერმენის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. 42 წლის სპეციალისტმა ამ პოსტზე **გი ლაკომბი** შეცვალა. მის ასისტენტად **ივ კოლო** იმუშავებს. მოსიე კოლო ლე გენის თანაშემწე იყო "ლიონშიც" და "რეინჯერსშიც".

პარიზელთა ახალმა ბოსმა გლაზგოში მხოლოდ შვიდი თვე გაატარა და 4 იანვარს კლუბი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დატოვა. ლე გენი პსჟ-ს ყოფილი მცველია. დედაქალაქურ კლუბი კრიზისშია. "ვალანსიენთან" 1:2 დამარცხების შემდეგ ის მე-17 ადგილამდე დაქვეითდა, რასაც მოჰყვა კიდეც ლაკომბის უმუშევრად დარჩენა.

ლე გენი პარიზელთა პრეზიდენტ **ალენ კაიზაკს** ორშაბათს შეხვდა და რამდენიმესაათიანი საუბრის შემდეგ შეთანხმებაც შედგა - ჯერჯერობით, მხოლოდ სეზონის ბოლომდე. ჟურნალისტებთან შეხვედრისას ლე გენის პირველი კომენტარი ასეთი იყო: *"ჩვენი უმთავრესი მიზანია ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ვწუხვარ, მაგრამ მეორე წრეში პსჟ-ს პრიორიტეტი სწორედ ეს იქნება. მაშინებს თუ არა გუნდში შექმნილი მდგომარეობა? დიახ, მაშინებს და მინდა, რომ ფეხბურთელებსაც ჩემსავით ეშინოდეთ. ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ამ კლუბის განვრთნის საშუალება მომეცა. პარიზში შვიდი სეზონი გავატარე. პსჟ-ს ჩემს გუნდში განსაკუთრებული ადგილი უკავია."*

მიმომხილველები, რა თქმა უნდა, დაინტერესდნენ, რატომ დათანხმდა ლე გენი იმ პოსტს, რომელზეც გასულ ზაფხულს უარი თქვა: *"იმიტომ, რომ დღეს სხვა ვითარებაა. თავიდან საზღვარგარეთ წასვლა მინდოდა, მერე სახლში დაბრუნება მომინდა და აი, პარიზში მუშაობას დავთანხმდი."*

ლე გენმა პსჟ-ში 1991-98 წლებში ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში 478 მატჩი ჩაატარა. 1994 წელს ის საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1996 წელს თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. 1998 წელს მოსიე პოლი პენსიაში გავიდა და მაშინვე მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. მან სამი სეზონი "რენში" გაატარა, 2002 წელს კი "ლიონში" მივიდა და ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. 2005 წელს მან ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ფეხბურთისგან დასვენება არჩია. და აი, წარუმატებელი შოტლანდიური კამპანიის შემდეგ ის შინ დაბრუნდა. ლე გენმა განაცხადა, რომ იანვრის ტრანსფერებისას ახალი ფეხბურთელების შეძენას არ აპირებს.

ვერდერი. ახალი ამბები

ჯერ კარუ, მერე ბაროში

მოლაპარაკებები დაწყებულია, ბრემენელები მომდევნო სეზონს კლოზეს გარეშე გეგმავენ...

ბრემენის "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** და მთავარი მწვრთნელი **თომას შაფი ჯონ კარუს** შეხვდნენ და ამცნეს, რომ მისი გადაბირება უნდათ. 27 წლის ნორვეგიელი თავდამსხმელი თანახმაა, "ლიონი" დატოვოს და კარიერა "ვერდერში" გააგრძელოს. გარდა ამისა, "ბილდი" იტყობინება, რომ "მუსიკოსები" მორიგ სერიოზულ ტრანსფერს გეგმავენ: მათ ჩეხი **მილან ბაროშის** გადაბირებაც უნდათ. თუკი კარუმ "ვერდერს" ახლავე უნდა მიაშუროს, ბაროში "ვეზერშტადიონზე" ზაფხულში უნდა გადაბარგდეს.

მოკლედ, "ვერდერი" თავდამსხმელების ძებნას სერიოზულად შეუდგა. ეს იმიტომ, რომ ალოფსმა იცის: **მიროსლავ კლოზეს** შენარჩუნება ძალიან ძნელი და ალბათ შეუძლებელი იქნება. 28 წლის მიროს დიდი სურვილი აქვს, კარიერა გერმანიის საზღვრებს გარეთ გააგრძელოს - ესპანეთში, იტალიასა ან ინგლისში. და რაც მთავარია, მთხოვნელებიც ბევრი ჰყავს. კლოზეს ტრანსფერი ბრემენულ კლუბს მინიმუმ 20 მილიონ ევროს მოუტანს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარუსთან მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რაკი ფეხბურთელი თანახმაა, მხარეები ახლა მხოლოდ ფასზეღა ბჭობენ. "ლიონს" ნორვეგიელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევროს მიღება უნდა, "ვერდერი" კი მხოლოდ 6 მილიონის გადახდაზეა ყაბულს. *"მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელს ჩვენთან გადმოსვლა უნდა."* - ამბობს შაფი.



მილან ბაროში

"ბილდის" ინფორმაციით, ალოფსმა ბაროშის მრჩეველთანაც წამოიწყო მოლაპარაკებები. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს "ასტონ ვილასთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. ბაროშის ფასი დაახლოებით 10 მილიონი ევროა. შესაბამისად, თუკი ბრემენელები კლოზეს გაყიდიან, ბაროშის შეძენა ნამდვილად არ გაუჭირდებათ. შაფი ჩეხი თავდამსხმელის შესახებ: *"ძალიან კარგი თავდამსხმელია, რომელმაც იცის, სად არის მეტოქე გუნდის კარი!"*

უმუშევარი ჩემპიონი

ლიპი: შეიძლება, იუვენტუსში წავიდე

მარჩელო ლიპიმ სენსაციური განცხადება გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, ასე მონათლეს მისი სიტყვები იტალიურ მედიაში. ის, რაც პრესამ ერთი თვის წინ დაწერა, მუნდიალის ტრიუმფატორმა მწვრთნელმა RAI-სთან გუშინდელ ინტერვიუში დაადასტურა. ანუ, საქმე ეხება ლიპის შესაძლო დაბრუნებას "იუვენტუსში", სადაც კარიერის საუკეთესო წლები აქვს გატარებული.

"დღემდე, რამდენიმე უცხოურ კლუბთან მქონდა კონტაქტი, მაგრამ ყველა წინადადებაზე უარი ვთქვი. თუ საინტერესო შეთავაზება არ იქნება, ალბათ, კიდევ ერთ წელს დავისვენებ. უნდა გითხრათ, რომ არც "იუვენტუსში" დაბრუნებას გამოვრიცხავ, ვინ იცის... თუმცა ეს მხოლოდ იდეაა. აქვე, უნდა ვთქვა, რომ ჩემზე გავრცელებული ინფორმაციების უმრავლესობა უსაფუძვლოა. მაგალითად, "ნაპოლიზეც" დაწერეს. იქ მუშაობს ედუარდო რეია, ძლიერი სპეციალისტი, რომელიც საქმეს შესანიშნავად უძღვება. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება მისი მდგომარეობა, როცა სისტემატურად კითხულობს გაზეთებში, რომ ერთ მშვენიერ დღეს მე უნდა შევცვალო".

...თუმცა ლიპის არაფერი უთქვამს **დიდიე დეშამის** მდგომარეობასა და უხერხულობაზე, როცა "იუვენტუსში" მისვლაზე ჩამოაგდო სიტყვა. ეს იქით იყოს და, ბოლოს ისიც დაინერა იტალიურ პრესაში, თითქოს მარჩელო "ჩელსის" მწვრთნელი შეიძლება გახდეს. ერთი სიტყვით, აპრილს უნდა დაველოდოთ. ლიპი სწორედ გაზაფხულიდან აპირებს ახალი სამუშაოს სერიოზულ ძებნას.

ლიუნგბერგი არ მიდის

არსენ ვენგერმა ფრედი ლიუნგბერგის აბარგებასთან დაკავშირებული სპეკულაციები უარყო. "არსენალის" თავკაცი ნახევარმცველს პირადად შეხვდა და დაარწმუნა ის, რომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია: *"ფრედი "არსენალში" დარჩება. ჩვენს ვებგვერდზე საგანგებო განცხადება უკვე გავაკეთე. როცა შემადგენლობაში თითოეული პოზიციაზე არნახული კონკურენციაა და ამ დროს გაზეთები სპეკულაციებს იწყებენ, ჩნდება კითხვა, ვინაა სპეკულაციების პირველწყარო - კლუბი თუ აგენტი, რომელსაც ფეხბურთელის სარფიანი გაყიდვა სურს? ლიუნგბერგის შემთხვევაში "არსენალს" ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს საიმისოდ, რომ ფეხბურთელის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. ფრედის ვკითხე, მზად არის თუ არა, იბრძოლოს ძირითადში ადგილის დასაბრუნებლად. მან მიპასუხა, რომ მზად არის. მართალია, ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, მაგრამ "არსენალს" საკმარისად დიდი სათადარიგოთა სკამი აქვს საიმისოდ, რომ ფეხბურთელთა გამოჯანმრთელებას მოთმინებით დაელოდოს."*

ვენგერმა ისიც აღნიშნა, რომ კამერუნელ მცველ **ლორენთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. მას მერე, რაც ლორენი დაშავდა, "არსენალის" ძირითადს გაუშინაურდნენ ახალგაზრდა მცველები **ჯასტინ ჰოიტი** და **ემანუელ ებუე**. დაცვის ცენტრში თამაში შეუძლია კიდევ ერთ ახალგაზრდა **იოჰან ჯურუს**. ასე რომ, 29 წლის ლორენის ადგილი აღარ დარჩა. დაინტერესებულ კლუბებს დღეიდანვე შეუძლიათ მოლაპარაკებების წამოწყება. კამერუნელ ლეგიონერს "ვესტ ჰემი" ეპატიჟება.

ეტოოს ვარჯიში განაახლა

სამთვიანი ტანჯვა დასრულდა. **სამეულ ეტოო** მოედანს დაუბრუნდა. კამერუნელი ფორვარდი ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს. ექიმები მას, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ აკვირდებიან. დაუშვებელია, რომ ეტოოს შეცდომა მოუვიდეს და ლაზარეთში დაბრუნდეს. პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირმა კონდიციები ნელ-ნელა უნდა აღიდგინოს. წინასწარი მონაცემებით, ძირითად შემადგენლობას ის 28 იანვარს, "სელტასთან" მატჩში დაუბრუნდება.

ფრანკ რიიკაარდმა კამერუნელის დაბრუნებით გამოწვეული კმაყოფილება ვერ დამალა, თუმცა მთავარ მწვრთნელს სიხარული ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდა, როცა სამედიცინო შტაბმა ფრიად უსიამოვნო ცნობები შეატყობინა. **ანდრეს ინიესტა** და **დეკუ** ტრავმას უჩივიან. კატალონიელს ტერფის მყესები დაეჭიმა. პორტუგალიელს კი კუნთი აქვს დაჭიმული. მოგეხსენებათ, დეკუმ ამის გამო კატალონიური დერბი გამოტოვა. რიიკაარდი შეგირდის ტრავმას ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ შეეგუა, მაგრამ გუშინ მოახსენეს, რომ დეკუს რეაბილიტაციას ნავარაუდევზე მეტი დრო დასჭირდება. მედიკოსები კონკრეტულ თარიღს არ ასახელებენ.

ლევანტე: კაროს ნაცვლად რესინო

ხუან რამონ ლოპეს კაროს სახლში გაუშვეს. "ვალენსიასთან" განცდილი გამანადგურებელი მარცხი შემდეგ, "ლევანტეს" ხელმძღვანელობამ საგანგებო კრება გამართა და მთავარი მწვრთნელის საკითხზე იმსჯელა. დირექტორთა საბჭომ სენიორ ლოპეს კაროს მიერ შესრულებული სამუშაო უარყოფითად შეაფასა და მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. მწვრთნელს კონტრაქტი გაუწყვიტეს. გუშინვე, ვალენსიურმა კლუბმა ვაკანტურ თანამდებობაზე **აბელ რესინო** დაამტკიცა.

მილანი. ახალი ამბები

ინძაგი vs ანჩელოტი

რა მოხდა კალაბრიელებთან მატჩის შემდეგ? გალიანი ტრეზეგესა და რონალდოზე საუბრობს

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "მილანმა" "რეჯინას" 3:1 მოუგო. 57-ე წუთზე **კარლო ანჩელოტიმ ფილიპო ინძაგის** ნაცვლად **იოან გურკუფი** გამოიყვანა. პიპო მწვრთნელის გადაწყვეტილებამ უკიდურესად აღაშფოთა, ის სათადარიგოთა სკამზე არ დაჯდა და მაშინვე გასახდელს მიაშურა. თამაშის შემდეგ კი ანჩელოტისთან შეხვედრა და ახსნა-განმარტებები მოითხოვა. "როსონერის" ხელმძღვანელობას ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ამასობაში, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა ინფორმაცია **დავიდ ტრეზეგეთი** დაინტერესების შესახებ. სპეკულაციების თანახმად, კლუბები ტრეზეგესა და **ალბერტო ჯილარდინოს** გაცვლის საკითხს განიხილავენ, მაგრამ გალიანი ჯილარდინოს აბარგებას კატეგორიულად გამორიცხავს.

რაც შეეხება რონალდოს, გალიანი ამბობს, რომ "ფენომენი" "მილანში" ტრანსფერი გამორიცხული არ არის, მაგრამ გარიგება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში იმაზე, სურს თუ არა "რეალს" ბრაზილიელ თავდამსხმელთან გამოთხოვება. თუ მადრიდელები ფეხბურთელს ტრანსფერზე დააყენებენ, "როსონერი" მათ საკუთარ პირობებს შესთავაზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიზი. სიყვარულიდან სიძულვილამდე

გუშინ იყო ლიდსი, დღეს არის ჩელსი...

დონ რივი



ჟოზე მოურინიო

"ჩელსი" ელვის სისწრაფით შეიჭრა ევროფეხბურთის ელიტაში, მოკლე ხანში მოიპოვა გრანდის სტატუსი და ასეთივე სისწრაფით გახდა... მილიონთათვის საძულველი გუნდი. ასეთი რამ წარსულში უკვე იყო, მაგრამ სხვა გუნდის მაგალითზე. "დეილი ტელეგრაფის" მიმომხილველმა ჯონ ინვერდეილმა ისტორიული პარალელი გაავლო რომან აბრამოვიჩის დღევანდელ კლუბსა და 60-70-ანი წლების "ლიდს იუნაიტედს" შორის...

70-ანებში "ლიდსში" არაერთი ცნობილი ფიგურა თამაშობდა, მაგალითად, **დონ რივი, ჯეკი ჩარლტონი** და კიდევ ბევრი სხვა... დასავლეთი იორკშირის მილმა მათდამი ზიზღს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინდელი "ლიდსი" არანორმალური ეფექტურობისა და უპრეცედენტო სიამაყის განსახიერება იყო. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ტურში ამ გუნდმა უმოწყალოდ დაჩაგრა (7:0) "საუთჰემპტონი", "ლიდსის" ფეხბურთელებით საყოველთაო აღფრთოვანებასთან ერთად, ამავე დოზით გაიზარდა მათდამი სიძულვილი - ანუ, ჩვეულებრივი შური და მეტი არაფერი. აი, რატომ იყო, რომ იმხანად ინგლისი ძლიერ გაახარა "ლიდსის" მარცხმა "სანდერლენდთან", 1973 წელს, ქვეყნის ასოციაციის თასის ფინალში. დიახ, ისინი არ უყვარდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც ძალიან დიდი გუნდი იყო...

ცხოვრება სპირალის წესს ემორჩილება. გავიდა 30 წელი და აი, ინგლისელ ქომაგთა ახალ თაობას ანალოგიური ზიზღი ამოძრავებს "ჩელსისა" და **ჟოზე მოურინიოს** მიმართ. *"ეს არის სულით დაცემულთა გუნდი, იქ მოთამაშე ფეხბურთელები კი მოზარდ თაობას ძალიან ცუდ მაგალითს აძლევენ"* - უცნაურია, მაგრამ ასე ფიქრობს ინგლისელ მიმომხილველთა სოლიდური ნაწილი.

მართლაც რომ ბედის ირონიაა. სულ რაღაც სამი წლის წინ, "ჩელსი" სწორედ ამ ხალხისთვის იყო საყვარელი გუნდი. პრესა და გულშემატკივარი აღფრთოვანებული გახლდათ ინტელიგენტი **კლაუდიო რანიერით**... მაგრამ მაშინ, მათი არავის ეშინოდა. და რატომ? იმიტომ, რომ განსაკუთრებული ამბიცია არ ჰქონდათ? **რომან აბრამოვიჩის** მოსვლამ კი "ჩელსი" გადააქცია კლუბად, რომელმაც დაამხო "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "არსენალის" ჰეგემონია. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული. აბრამოვიჩმა მოიყვანა მოურინიო - ახალგაზრდა, ამბიციური და უკვე წარმატებული სპეციალისტი. "ჩელსი" გადაიქცა ერთგვარ მანქანად, რომელსაც იდეალურად ჰქონდა აწყობილი თავდაცვითი სისტემა, სისტემა, რომლის დანერგვასაც სერ **ალექს ფერგიუსონი** "ოლდ ტრეფორდზე" დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა. დღემდე, "ჩელსი" იყო საუცხოოდ შეთამაშებული ერთიანი ორგანიზმი, რომელმაც მოშლა დაიწყო მაშინვე, როგორც კი წამყვანი მოთამაშეები ტრავმების გამო მწყობრიდან გამოვიდნენ.

საკმარისი იყო, გენახათ იმ ხალხის რეაქცია, ვინც "კემპტონ პარკში" ერთდროულად ადევნებდა თვალს ტრადიციულ დოღსა და "ჩელსი"-"რიდინგის" მატჩის ტრანსლაციას. როგორც კი **მიკაელ ესიენმა** ავტოგოლი გაიტანა, ეს პუბლიკა აღფრთოვანებით წამოიჭრა ფეხზე და ისეთი ყიჟინა დასცხო, თავი სამეფო ოჯახის რომელიმე წევრის საქორწინო ცერემონიალზე გეგონებოდათ. ერთი შუახნის კაცი, რომელსაც "ნიუკასლის" მაისურა ემოსა, ბოლო ხმაზე გაჰკიოდა - ახლა მაინც არ ისწავლიან ჭკუას ეს ნაბიჭვრებიო?

არის ამ ზიზღში რაღაც ისეთი ირაციონალური, როგორსაც თავის დროზე "ლიდსის" მიმართ განიცდიდნენ. ისე კი, რატომ უნდა გძულდეს გუნდი, რომელშიც ისეთი რკინისებური ნების ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც არიან **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი**? ან თუნდაც მაღალტექნიკური **არიენ რობენი** და მეტისმეტად თამამი **ჯო კოული**? გნებავთ, **დიდიე დროგბა** ავიღოთ - არის კი დღეს ისეთი გუნდი, რომელიც ამ ფეხბურთელზე უარს იტყოდა? მოიცადეთ, იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ "ჩელსის" ფეხბურთელები იმაზე მეტს აშავებენ მოედანზე, ვიდრე სხვა გუნდის მოთამაშეები? აჰა, ეტყობა, მაღალ ანაზღაურებაშია საქმე... მაგრამ, ეს ხომ მარტო "ჩელსისთვის" არაა დამახასიათებელი?

ფაქტია, რომ ამ გუნდს აქვს მებრძოლი და ძლიერი სულისკვეთება, ისეთი, როგორსაც ბევრი სხვა მხოლოდ ინატრებდა. ბანალურად რომ ვთქვათ, ამას ვერანაირი თანხით ვერ იყიდი. შეიძლება, შეიძინო გადაფასებული ცრუტალანტები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, უკმაყოფილო დარჩება ხალხი, ვინც საფეხბურთო სანახაობაში ფულს იხდის.

პიტერ კენიონს უყვარს ხოლმე ხმამაღალი განცხადებები კლუბის მომავალზე, მაგრამ სხვა აღმასრულებული დირექტორებისგან ეს მას არაფრით განასხვავებს. მოურინიო კი მუდამ მოლუშულია. საჭირო, ხშირად იყოს გაღიმებული, როგორც ლონდონში ჩასვლის პირველ დღეს, როცა მილიონობით ქალის გული დაიპყრო. გუნდის მიმართ თავად "ჩელსის" გულშემატკივართა მთავარი პრეტენზია კი ეს არის - ის ვერ თამაშობს ისე, როგორც **არსენ ვენგერის** "არსენალი". საუბარია თამაშის სანახაობრივ მხარეზე, პლუს ამას, ცარიელი ადგილები ტრიბუნებზე, გასვლითი მატჩების დროს...

და ისევ ანალოგია "ლიდსთან". განა ბრწყინვალე არ იყო **ედი გრეი**? ან რა დარტყმა ჰქონდა **პიტერ ლორიმერს**?! გნებავთ, **ჯონი ჯაილსის** ტაქტიკური გენია ავიღოთ, **ბილი ბრემნერიც** გეხსომებათ... უბრალოდ, ეს იყო გამარჯვებული გუნდი. აი, რა არ მოსწონდა ხალხს. "სტემფორდ ბრიჯზე" გატარებული ერთი საღამო კი, ისევე, როგორც ყველა სხვა არენაზე, ეს არ არის მდიდრული ვახშამი რომელიმე პრესტიჟულ რესტორანში, ან თუნდაც ფულიანი რუსი ოლიგარქების თავყრილობა. ეს დრო ძალიან ჩვეულებრივად, ჩიპსებითა და ლუდით უნდა გაატარო. აქ ისეთივე ფეხბურთია, როგორც ყველგან, და ეს არის ფეხბურთი, რომელსაც გუნდი გამარჯვებამდე მიჰყავს, ის, რაც ბევრ ჩვენგანს უზომოდ ეზიზღებოდა 70-ან წლებში, და ის, რასაც ვერ იტანენ დღეს...

ჯონ ინვერდეილი,
დეილი ტელეგრაფი

სავიოლა: ახალი კონტრაქტი?

"ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ოფიციალურ ინფორმაციას, **ხავიერ სავიოლასთვის** ახალი კონტრაქტის შეთავაზების შესახებ: *"მასთან ან მის აგენტთან შეხვედრა არ დაგვიგეგმავს, მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ სავიოლას დღევანდელი ფორმით ძალიან კმაყოფილები ვართ."*

ბეგირისტაინისგან განსხვავებით, მთავარი მწვრთნელი **ფრანკ რიიკაარდი** არ მალავს, რომ სავიოლას შენარჩუნება სურს. თავდამსხმელის დღევანდელი კონტრაქტი ივნისში იწურება. რიიკაარდი კი არ გამორიცხავს, "ბაჭიამ" მომავალ სეზონში კატალონიურ გრანდში ითამაშოს: *"მის მონდომებას ძალიან ვაფასებ. თუ ასე გაგრძელდება, შეიძლება, ახალი კონტრაქტის საკითხი განვიხილოთ."*

დავიდსიც ამერიკაში

ედგარ დავიდსი ამერიკაში გამგზავრებას აპირებს. 33 წლის ვეტერანს "დალასის" მთავარი მწვრთნელი **სტივ მოროუ** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი "არსენალის" ყოფილი ფეხბურთელია და პრემიერლიგასთან განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს. მან "ტოტენჰემთან" მოლაპარაკებები უკვე გააჩაღა. დავიდსი ლონდონში 2005 წლის აგვისტოში გადავიდა. მან "მამლებს" "ინტერიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. ბოლო მატჩი კი 20 დეკემბერს "საუთჰენდთან" ლიგის თასზე ჩაატარა.

კიკე ფლორესს კოშმარები ესიზმრება

რუბენ ბარახა ლაზარეთში აღმოჩნდა. "ვალენსიის" ვეტერან ნახევარმცველს მარცხენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. რეაბილიტაციას, სავარაუდოდ, 15 დღე დასჭირდება. **კიკე სანჩეს ფლორესი** შეშფოთებულია, რადგან რუბენი "ხეტაფეესთან" სათასო შეხვედრას, ასევე "სოსიედადსა" და "ბეტისთან" პრიმერადივიზიონურ მატჩებს გამოტოვებს. "ღამურების" დამრიგებელს გახშირებული ტრავმების გამო საუკეთესო შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება დიდხანს არ ეძლეოდა. სენიორ ფლორესს ერთგვარი კომპლექსი გაუჩნდა, მან აღიარა, ღამით მესიზმრება, თითქოს ჩემი ფეხბურთელები ერთმანეთის მიყოლებით, იმტვრევიანო. ძნელია, ბატონ კიკეს არ გაუგო. "ვალენსიამ" უმწვავესი კრიზისის შემდეგ, სერიოზულ პროგრესს მიაღწია და ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო. ახლა წამყვანი მოთამაშეების დაშავების დრო ნამდვილად არ არის.

ამასობაში, **ხუან ბაუტისტა სოლერმა რობერტო ფაბიან აიალას** შესახებ საინტერესო განცხადება გააკეთა. გეცოდინებათ, ვეტერანმა არგენტინელმა მცველმა "მესტალიაზე" დარჩენის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ხელმძღვანელობის პასუხს აქამდე ვერ ეღირსა. პრეზიდენტმა დუმილი დაარღვია: *"აიალა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი სიმბოლოა. მას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდით. არადა, საზოგადოებაში შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რობერტო ფაბიანს გუნდიდან ვუშვებთ. მზად ვართ, მის მენეჯერებთან მოლაპარაკებები განვაახლოთ. აქამდე, უბრალოდ, წვრილ-წვრილი პრობლემები ხელს გვიშლიდა, რომ მაგიდას მივსხდომოდით. იმედია, ყველაფერი ორივე მხარისთვის სასიკეთოდ დასრულდება".*

შალკე. ახალი ამგები

ნახევარდაცვაში დიდი კონკურენციაა

ექვსი ფეხბურთელი, სამი ადგილი: კობიაშვილი ფრთხილად უნდა იყოს

"შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ამბობს, რომ მეორე წრეში გუნდის ყველა ნახევარმცველი ყურადღებით უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ გელზენკირხენული კლუბის შუა ხაზში უდიდესი კონკურენციაა. ძირითად შემადგენლობაში თამაშისთვის ერთდროულად 6 ნახევარმცველი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან: **ლინკოლნი, ჰამით ალთინთოფი, ლევან კობიაშვილი, ფაბიან ერნსტი, ზლატან ბაირამოვიჩი** და **გუსტავო ვარელა**. იმის გათვალისწინებით, რომ **მირკო სლომკა** 4-3-3 ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას, ამ 6 ნახევარმცველისთვის სასტარტოში მხოლოდ 3 ადგილი იქნება. მართალია, სლომკამ შეკრებაზე 4-4-2-იც რამდენჯერმე გამოცადა, მაგრამ იმის გამო, რომ გუნდი წარმატებებს 4-3-3-ით უფრო აღნევს, გელზენკირხენელები ალბათ მეორე წრეშიც ამ ტაქტიკით ითამაშებენ.

"ცხადი გახდა, რომ გუნდი 4-3-3-ით უფრო წარმატებულია. ამ ტაქტიკით 17 თამაში ჩავატარეთ და მხოლოდ 1 წავაგეთ! ამრიგად, ტაქტიკის შეცვლა უაზრობა იქნება. - ფაქტია, *რომ გუნდი ამ ტაქტიკით თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში."* - აცხადებს მიულერი. თუკი ლინკოლნი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, გამოდის, რომ საყრდენებისთვის მხოლოდ 2 ადგილიღა დარჩება. ამიტომაცაა, მიულერი რომ ამბობს, ნახევარდაცვაში არნახული კონკურენცია გვექნებაო.

ფაქტია, რომ დღევანდელი გადასახედიდან, კობიაშვილს სანერვიულო არ აქვს. ზემოთ ჩამოთვლილი ნახევარმცველებიდან, პირველ წრეში, კობის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ყველზე მყარად ჰქონდა მოკიდებული. ლევანმა 15 თამაში ჩაატარა, 15-ივე სასტარტოში და მხოლოდ 2-ჯერ შეცვალეს. მაგრამ ჩვენებურსაც სიფრთხილე მართებს, რადგან ერნსტი, ბაირამოვიჩი და ჰამით ალთინთოფი ძალიან მოტივირებულები არიან. ვარელა კობის კონკურენტად ვერ ჩაითვლება, რადგან ის ფლეიმეიქერია და უფრო ლინკოლნს ებრძვის, ვიდრე კობიაშვილს.

სამაგიეროდ, თავდასხმაში თითქმის ყველაფერი გარკვეულია. ისევე, როგორც პირველ წრეში, ძირითად შემადგენლობაში კვლავ **პეტერ ლოვენკრანდსი** (მარცხნივ), **კევინ კურანი** (ცენტრში) და **ჰალილ ალთინთოფი** (მარჯვნივ) ითამაშებენ. თუმცა კურანის **სიორენ ლარსენის** სახით კონკურენტი გამოუჩნდება. აყლაყუდა დანიელი თავდამსხმელი უკვე მომჯობინდა და სრულ მზადყოფნაშია.

გოტფრიდ ლენცი

ჩელსი

ტერის სარეკორდო ხელფასი

ლონდონელი ვარსკვლავები მოურინიოს მხარში უდგანან, ჟოზეს ფერგიც გამოეძომაგა

ჯონ ტერი პრემიერლიგის ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. "დეილი მეილის" ცნობით, მას კვირაში 150 ათას გირვანქას შესთავაზებენ. "ჩელსიმ" 26 ნლის ცენტრალურ მცველს ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გაუმზადა. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი 39 მილიონ გირვანქას მიიღებს. მართალია, კვირაში 150 ათასი ახლოსაც ვერ მივა დევიდ ბექჰემის საარაკო ამერიკულ ხელფასთან, მაგრამ ინგლისში ეს უპრეცედენტო ოდენობის შემოსავალია. აქამდე სარეკორდოდ იყო მიხაელ ბალაკისა და ანდრეი შევჩენკოს ანაზღაურება - კვირაში 130 ათასი გირვანქა. 120 ათას გირვანქას იხვეჭს არსენალელი ტიერი ანრი. "ლივერპულის" კაპიტან სტივ ჯერარდს 100 ათასს უხდიან, ხოლო "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ვარსკვლავ უეინ რუნის - 90 ათასს.

ამასობაში, ტერომ მხარდაჭერა გამოუცხადა ჟოზე მოურინიოს. "ჩელსის" კაპიტანმა თავის მწვრთნელს მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტი უწოდა და გამოთქვა რწმენა, რომ მისი თანაგუნდელები ყველაფერს იღონებენ მოურინიოს პოზიციების განსამტკიცებლად: *"ჟოზეს წასვლა არავის სურს. თუ საჭიროა, რომ ხუთმა ან ექვსმა წამყვანმა ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელობას მწვრთნელთან უშუამდგომლოს, მზად ვართ, ეს დაუყოვნებლივ გავაკეთოთ. მოურინიო უნდა დარჩეს. ჩვენ მისი ერთგულები ვართ და ვხედავთ, რა შეგვმატა ჩვენ და "ჩელსის" მასთან თანამშრომლობამ. ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში ყველას მიგვიძღვის ბრალი. ამიტომ უსამართლობაა, მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდეს წნეხის ქვეშ. მჯერა, ის ჩვენთან დარჩება."*

მოურინიოს სოლიდარობა გამოუცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმაც. კითხვაზე, თუ რას ფიქრობს ფერგი მისი კოლეგის გამო ატეხილ აჟიოტაჟზე, "მენიუს" ბოსმა მიუგო: *"მსგავს ინფორმაციებს ყოველთვის მტკივნეულად ვიღებ ხოლმე და საკუთარ თავს ვეკითხები, მე თუ ვიქნები დღევანდელ სამუშაოზე მომდინარე სეზონის შემდეგ. ჟოზე შესანიშნავი ადამიანია. მას არაერთხელ შევხვედრივარ ჩვენი გუნდების მატჩების შემდეგ. პიროვნულად ძალიან მომწონს და მასთან მეტოქეობაც მსიამოვნებს."*

ინტერვიუ ული ჰიონესთან

შვაინშტაიგერ, ჭკუას მოუხმე!

ულის მოთხოვნა: სული, გული, ან ფული...

ული ჰიონესი

როცა ული ჰიონესი ბრაზობს, "ბაიერნის" ოფისში კედლები ზანზარებს. 2007 წელი ამ კაცმა ძალიან ენერგიულად დაიწყო, მოჰყვა ლაყბობას და ენა აღარ გაუჩერებია. ამჯერად, "ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ბავარიული გიგანტის მენეჯერი თავის ფეხბურთელებს აკრიტიკებს - განსაკუთრებით კი ბასტიან შვაინშტაიგერსა და როკე სანტა კრუსს. ჰიონესი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვსაც აფრთხილებს, ემანდ, ცხვირი არ წაიმტვრიოო...

- ჰერ ჰიონეს, ჩვენი ინფორმაციით, "ბაიერნს" ლონდონის ჩელსიდან არიენ რობენის გადაბირება უნდა. არის თუ არა რაიმე სიახლე?

- იცით, რას გეტყვით? რაც "ბაიერნში" ხდება, ყველაფერზე ხმამაღლა ვერ ვილაპარაკებ. არაა აუცილებელი, რომ ყველამ ყველაფერი იცოდეს. თუ ტრანსფერი შედგება, ისეც გახმაურდება და ასეც. თუ რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესების ამბავს გავახმაურებ, წესითა და რიგით, თანამდებობა უნდა დამატოვებინონ, რადგან ასეთი ინფორმაციების საქვეყნოდ გამჟღავნება "ბაიერნს", როგორც წესი, ძვირად უჯდება ხოლმე. თუკი მეორე გუნდი პრესიდან შეიტყობს, რომ "ბაიერნს" მისი ფეხბურთელის ყიდვა უნდა, თავდაცვისთვის უკეთ მოემზადება ან სხვადასხვა სტრატეგიებს შეიმუშავებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრი ფული გამოგვძალოს. ახლა ხვდებით, რატომ არ გავეცი ამ კითხვას კონკრეტული პასუხი?

- ყველასთვის მოულოდნელად, მიროსლავ კლოზეს შეძენის სურვილი გამოთქვით და იქვე დაამატეთ, რომ რეკორდმაისტერის სასურველ ფეხბურთელთა სიაში ფრანკ რიბერიცაა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ეს იმიტომ გააკეთეთ, რათა ყველას ყურადღება კლოზესა და რიბერიზე გადაგეტანათ, ამ დროს კი რობენს დაეტაკებოდით. ჰერ ჰიონეს, თქვენი ხრიკები უკვე ყველამ იცის...

- რა ხრიკებზე მელაპარაკებით? კლოზეს შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია: თუკი ის "ბაიერნში" გადმოსვლას მოისურვებს და ნიშანს მოგვცემს, "ვერდერთან" მოლაპარაკებებს მაშინვე წამოვიწყებთ. რიბერის შემთხვევა კი ოდნავ განსხვავებულია: ფრანგი ნახევარმცველის ტრანსფერი სებასტიან დაისლერზეა დამოკიდებული. ათამაშდება დაისლერი? მაშინ რიბერიზე კრინტსაც აღარ დავძრავთ. იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება, რადგან ფრანგს გერმანელი მირჩევნია.

- რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ფეხბურთელი იმისთვის, რომ თქვენი ყურადღება მიიქციოს? ანუ, თქვენი აზრით, რას ნიშნავს კარგი ფეხბურთელი?

- ეს იქნება მოთამაშე, რომელსაც უნდა შეეძლოს იმ უმძიმესი წნეხისთვის გაძლება, რაც "ბაიერნში" ელის. მენტალურად ძლიერი უნდა იყოს და უნდა ხვდებოდეს, რომ "ბაიერნში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია.

- ბოლო დროს ბასტიან შვაინშტაიგერს ძალიან ხშირად აკრიტიკებთ. რატომ?

- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ხალხმა შვაინის უკანალში ძალიან ბევრი შაქარი შეაყარა. ახლა მინდა, რომ ეს შაქარი ისევ უკან გადმოვაყრევინო, იმიტომ, რომ აშკარად ამძიმებს. ჩემთვის უკვე მიუღებელია ნებისმიერი ალიბი, თავის მართლება ვეღარ უშველის. მოედანზე ძალიან ცოტას მუშაობს და ეს უნდა ითქვას!

- თუ შვაინშტაიგერზე ასე ლაპარაკობთ, როკე სანტა კრუსი საერთოდ გუნდიდან გასაგდები ყოფილა...

- როკესაც გემრიელად მოვცხებ. მარტო ტალანტი საკმარისი არ არის. რაც "ბაიერნში" გადმოვიდა, სულ მისი ნიჭის ამოფრქვევას ველოდებით. არა და არ დაადგა საშველი. უახლოეს მომავალში აუცილებლად დაველაპარაკები და მოვთხოვ, რომ აზრზე მოვიდეს.

- ე.ი. სანტა კრუსი დღესდღეობით კარგი ფეხბურთელი არ არის?

- სრული სიმართლეა, დღეს როკე ცუდი ფეხბურთელია. იცით, "ბაიერნში" რატომღაც ასეთი წესი დამკვიდრდა: ყველა ფეხბურთელს უნდა, რომ ბოსები ეფერებოდნენ და გულში იკრავდნენ. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩემს კაბინეტში სულ მზიანი ამინდი იქნება. თუკი მეორე წრეში შედეგები არ გამოსწორდება, ჭექა-ქუხილი დაიწყება. იცით, რა არის "ბაიერნის" პრობლემა? ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ყველანი ერთმანეთს ვეხუტებოდით და შეიქმნა რაღაც ჰარმონიული სიტუაცია იმის გამო, რომ ზედიზედ ორჯერ მოვიგეთ ბუნდესლიგა და გერმანიის თასი. არადა, რამდენი ხანია, ევროპაში აღარ დაგვიქუხია. ამ ყველაფერზე გულახდილად უნდა ვისაუბროთ.

- შეცდომები თქვენც დაუშვით?

- ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მეც ვიფიქრე, თუკი არ ვიჩხუბებთ და ერთმანეთს მოვეფერებით, საქმე უფრო კარგად წავა-მეთქი. დისკუსია და მუდმივი კამათი, თუ საჭიროა, სკანდალიც - ეს ყველაფერი ყოველთვის საჭიროა.

- გერმანიის ნაკრებსაც ხომ არ ეხება იგივე?

- დიდი შანსია, რომ პრობლემები ბუნდესგუნდსაც შეექმნას. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ის, რაც 2006 წელს მოხდა, აღარასოდეს განმეორდება და უკვე ისტორიაა. კვიპროსზე ნათამაშებმა

ბასტიან შვაინშტაიგერი

ფრემ დამარწმუნა, რომ მომავალი არც ისეთი ნათელია, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

- როგორ ფიქრობთ, გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გაუჭირდება?

- არა! იმიტომ, რომ ძალიან სუსტი მეტოქეები გვყავს.

- პრობლემებს სად ხედავთ?

- მე ვამბობ: იოახიმ ლიოვი ფრთხილად უნდა იყოს. მსოფლიოს ჩემპიონატმა დაამტკიცა, რომ მწვრთნელს შეუძლია, ფეხბურთელებს თავდაჯერება შემატოს და გააძლიეროს, ოღონდ, ცოტა ხნით - ამ შემთხვევაში ერთი თვით. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გერმანიის ნაკრები მსოფლიოში მესამე არ არის! მაგრამ მუნდიალზე მესამე ადგილზე გავედით, იმიტომ, რომ ბიჭები თავის თავს გადაახტნენ. რატომ გადაახტნენ? კლინსმანმა იმუშავა ძალიან მაგრად! თუმცა ჩვენ გვინდა, რომ გვყავდეს ნაკრები, რომელიც არა ერთი თვის განმავლობაში, არამედ სულ ძლიერი იქნება. ამის მიღწევა კი, მხოლოდ შრომით შეიძლება და არა სიტყვებით.

- ლიოვს რას ურჩევთ?

- იოგის ვურჩევ, ცოტა უფრო კრიტიკულად მიუდგეს საქმესა და ფეხბურთელებს. მხოლოდ ქება არაფერს მოიტანს, გარდა იმისა, რომ დადგება ფაზა უდიდესი იმედგაცრუებისა. და მერე ისევ დავინყებთ ტირილს. ლიოვმა ვაუკაცურად უნდა იმოქმედოს და სიმკაცრეც უნდა გამოამჟღავნოს. ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვაპირებთ "ბაიერნში".

- არ გეშინიათ, რომ წელს გერმანიის ჩემპიონი "ვერდერი" გახდება, თქვენი "ბაიერნი" კი მხოლოდ მეორე ადგილზე გავა?

- (იცინის) აი, ამის კი ნაღდად არ მეშინია.

- რატომ?

- განა წარმოუდგენელია ის, რომ ერთხელაც "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდეს? ზედიზედ ორჯერ მოვიპოვეთ "ვერცხლის სინი" და თუ მესამედ ვეღარ მოვიგებთ, ეს არ იქნება კატასტროფა. ამის გამო ტირილს არ დავინყებთ.

- რა უნდა მოხდეს, ტირილი რომ დაიწყოთ?

- ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ უნდა მოვიპოვოთ. მაგრამ ეს გამორიცხულია.

- როგორც გავიგეთ, გუნდში დისკუსიები მიდის. ერთნი ამბობენ, უმჯობესი იქნება, თუ სამი მცველით ვითამაშებთო...

- გავხდებით თუ არა ჩემპიონები, ეს ნამდვილად არაა იმაზე დამოკიდებული, სამი მცველით ვითამაშებთ, თუ ოთხით. მთავარია, რომ ფეხბურთელებმა მოინდომონ. ის, რომ პირველ წრეში ყველაფერი კარგად არ იყო, მწვრთნელის ბრალი სულაც არაა. დამნაშავე გუნდია! სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, რომ "ვერდერს" 6 ან 8 ქულით ჩამოვრჩებოდით, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ბრემენელებმაც უაზროდ დაკარგეს ქულები. ფეხებზე მკიდია, რა ტაქტიკით ითამაშებს "ბაიერნი". მაგათს შეუძლია, ორი მეკარე ათამაშოს, ან მარცხენა ფლანგზე ოთხი ფეხბურთელი გაამწესოს, ან სულაც მაკაი დააყენოს დაცვაში, თავდასხმაში კი სალიჰამიჯიჩი - მთავარია, რომ გუნდმა მოიგოს!

- რას ითხოვთ "ბაიერნის" ფეხბურთელებისგან?

- სულსა და გულს ან ფულს!

- ანუ?

-.ან მოინდომებენ და კარგად ითამაშებენ, თუ არა და გავყიდით!

გოტფრიდ ლენცი

მოსალოდნელი ტრანსფერები

ბაიერნმა ჰამით ალთინთოფს დაუმიზნა

მაინც, რას ერჩის ჰიონესი შვაინშტაიგერს?

"ჩემთვის უკვე მიუღებელია ნებისმიერი ალიბი, თავის მართლება ვეღარ უშველის. მოედანზე ძალიან ცოტას მუშაობს და ეს უნდა ითქვას!" - ესეც ასე! **ული ჰიონესი ბასტიან შვაინშტაიგერსაც** მისწვდა. მაინც, რატომ ბრაზობს "ბაიერნის" მენეჯერი შვაინიზე? ული მართალია: ვერ ვიტყვით, რომ შვაინშტაიგერი პირველ წრეში ბრწყინავდა, რადგან მისი საშუალო შეფასება 4.18 გახლავთ, რაც არცთუ სახარბიელო მაჩვენებელია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბასტიანი გერმანიაში ნამდვილი სუპერვარსკვლავი გახდა. პორტუგალიის ნაკრების კარში გატანილმა ორმა დიდებულმა გოლმა ის მთელი ქვეყნისთვის ერთ-ერთ უსაყვარლეს მოთამაშედ და პიროვნებად აქცია. მაგრამ იმას, რაც მას შემდეგ მოხდა, ფეხბურთთან ძალიან ცოტა კავშირი აქვს. მოგეხსენებათ, მუნდიალის შემდეგ გამოვიდა დოკუმენტური ფილმი "გერმანია. ზაფხულის ზღაპარი". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმმა შვაინი გერმანელ ბექჰემად გადააქცია. პრემიერაზე, ბერლინში გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელთან** ერთად ტელეკამერების წინ პოზირებდა, ამას დაუმატეთ უამრავი სარეკლამო კლიპი, რომელშიც ბასტიანი გადაიღეს და რამდენიმე არასერიოზული ინტერვიუ. მაგალითად, ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში შვაინი სექსზე საუბრობდა. ეს ყველაფერი ჰიონესს არ მოსწონს და ცუდად ენიშნა ისიც, რომ შვაინშტაიგერი არაერთმა გამოცემამ შერაცხა სექს-სიმბოლოდ.

ჰამით ალთინთოფი

ამასობაში, მოედანზე ძალიან დაღლილი ჩანს და ველარ ბრწყინავს. მეტიც, პირველ წრეში ძალიან ცუდად გამოიყურებოდა და ვერც გამთამაშებლის ფუნქციებს გაართვა თავი. ჰიონესი გაბრაზებულია იმის გამო, რომ "ბაიერნის" ერთ-ერთი საუკეთესო ტალანტი და უნიჭიერესი ახალგაზრდა, ნელნელა და ეტაპობრივად, საკუთარი კარიერის გაფუჭების გზას დაადგა.

შვაინის მხარდაჭერას **ფელიქს მაგათი** უცხადებს. *"დარწმუნებული ვარ, რომ მეორე წრეში გაცილებით უკეთ ათამაშდება,"* - აცხადებს "დესპოტი ფელიქსი". ხოლო, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** კი ამბობს: *"იმას, თუ როგორ თამაშობს შვაინი "ბაიერნში", მე ვერ შევაფასებ. ხოლო, თუ ბუნდესგუნდში ჩატარებული მატჩების მიხედვით ვიმსჯელებთ, პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ."* ფაქტი ის არის, რომ შვაინიმ თამაში მალე უნდა გამოასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება.

■ ■ ■

ჰიონესი დუბაიში **ალი ქარიმის** მრჩეველს ესაუბრა და მას გარკვევით აუხსნა, რომ "ბაიერნს" ირანელი ალბათ აღარ დასჭირდება. თუმცა, ქარიმის მრჩეველს ულიმ სხვა ფეხბურთელის შესახებაც ჩამოუგდო სიტყვა. საუბარია "შალკეს" თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფზე**, რომელსაც გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. 24 წლის ტყუპისცალს "შალკესთან" ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია. როგორც იცით, "ხუმარების" ბოსები ალთინთოფს ხელფასზე ევაჭრებიან. მოკლედ, ჰამითს "ბაიერნმა" დაადგა თვალი და ეს უკვე დადასტურებული ამბავია. რეკორდმაისტერისთვის მისწრება იქნება ფეხბურთელი, რომელსაც არაერთ პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა (მარჯვენა ნახევარმცველად, ცენტრალურ ნახევარმცველად, მარჯვენა მცველად). თანაც, ჰამითი ზაფხულში უფასო იქნება! აკი, ჰიონესმა თქვა კიდეც, არის ერთი ფეხბურთელი, რომელსაც მიუნხენში ვუხმობთ და სხვათა შორის, მოლაპარაკებები დაწყებულია და საკმაოდ შორსაც ვართ წასულებიო. *"ჰამითი ძალიან კარგი ნახევარმცველია, სწრაფია და მოხდენილი დარტყმაც აქვს. საინტერესო ვინმეა,"* - ეს სიტყვები მაგათს ეკუთვნის.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი. დიდიე დროგბა

თავდამსხმელი სპილოს ძვლის ნაპირებიდან

ფეხბურთში წარმატება რომ არ ჰქონოდა, ჩელსის ვარსკვლავი ბუღალტერი გახდებოდა

მიმდინარე სეზონში დიდიე დროგბა პრემიერლიგაში უდავოდ საუკეთესო ფორვარდია, მაგრამ კამათი მისი წინააღმდეგობრივი ფიგურის გარშემო ისევ გრძელდება. „თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში კოტდივუარელი გულწრფელად ყვება თავისი კარიერის შესახებ და მრავალ საინტერესო კითხვას პასუხობს.

დიდიე დროგბა

დროგბა საინტერესო მოსაუბრეა, კიდევ უფრო საინტერესო ცხოვრებისეული ისტორიით. დაიბადა კოტ დივუარში – საფრანგეთის ყოფილ კოლონიაში, სადაც სამხედრო გადატრიალების შემდეგ უკვე შვიდი წელია ტოტალური უწესრიგობა სუფევს. მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამ ქვეყანაში 46 წელია, ყოველი მეორე ზრდასრული კი წერა-კითხვის უცოდინარია. ხუთი წლის ტიტო, როგორც დიდიეს ბავშვობაში ეძახდნენ, ბიძასთან, **მიშელ გობასთან** გააგზავნეს. ბიძა მაშინ საფრანგეთის „ბრესტში" თამაშობდა. საბოლოოდ, დისშვილი ბიძის კვალზე წავიდა. არჩეული პროფესია დროგბას დიდ პერსპექტივას უხსნიდა. მას არასდროს ავიწყდებოდა, საიდან იყო – ქვეყნიდან, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობა სარეკორდო ციფრებს აღწევს (ყოველი 1000 ახალშობილიდან 90 კვდება). *„90 წუთი ბურთის გაგორება ჩემთვის პრობლემა არ არის, რადგან ფეხბურთი, მხოლოდ და მხოლოდ, თამაშია. გაცილებით უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, როცა ჩემს ბავშვებს რაიმე აწუხებთ,"* – ამბობს დროგბა, სამი შვილის მამა.

შვიდ და-ძმას შორის დიდიე ყველაზე უფროსი იყო. ბანკში მუშაობის მიუხედავად, მშობლებისთვის ამდენი ბავშვის გამოკვება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ხუთი წლის დიდიე საცხოვრებლად ბიძასთან გაამგზავრეს. *„ჩემი ბიძა ჩემთვის იგივე მამაა, იგი წლების განმავლობაში მზრდიდა და მივლიდა, ყველაფერი, რაც დღემდე მივაღწიე, მისი დამსახურებაა,"* – აღიარებს დროგბა.

მიშელ გობა „ბრესტიდან" „დიუნკერკში" გადავიდა, მერე კი „ანგულემში". პატარა დიდიე მას სულ თან დაჰყვებოდა, სანამ მშობლიური სახლი არ მოენატრა და სამი წლით აფრიკაში არ დაბრუნდა. ამ პერიოდში ოჯახმა დაარწმუნა, რომ კარიერისთვის საუკეთესო პირობები მხოლოდ ევროპაში ექნებოდა და 11 წლის დროგბაც ისევ დიუნკერკში თავის ბიძასთან აღმოჩნდა. მალე აქ დაიწყო მარჯვენა მცველის ამპლუაში თამაში. *„ერთხელ ბიძამ მითხრა, უკეთესია, თუ შეტევაში ითამაშებო – ღიმილით იხსენებს დროგბა – მან იცოდა, რისი გაკეთება შეეძლო მის დისშვილს ყველაზე კარგად. თავდამსხმელად გარდაქმნის შემდეგ არა უბრალოდ გატანა, არამედ ძალიან ბევრი გოლის გატანა დავიწყე".*

15 წლის ასაკში დროგბა „ლევალუა-პერეს" ფეხბურთელი გახდა. ეს იყო ნახევრადპროფესიული კლუბი ჩრდილოეთ პარიზის გარეუბნიდან, სადაც დიდიე თავის ბიძაშვილთან, **ოლივიე ტებილისთან** (წარსულში „სელტიკის", ამჟამად კი „ბირმინგემის" მცველი) ერთად ცხოვრობდა. სკოლის დასრულების შემდეგ, დროგბამ ლე მანის კოლეჯში ბუღალტერიის შესწავლა დაიწყო. როგორც ფეხბურთელი, იმ პერიოდში დიდი არაფრით გამოირჩეოდა, და როცა 19 წლის ასაკში „ლე მანში" აღმოჩნდა, ორი წელი დასჭირდა ხელმძღვანელობის დასარწმუნებლად, რომ მასთან პროფესიული კონტრაქტი გაეფორმებინა. *„ვიცოდი, რომ ეს ჩემი უკანასკნელი შანსი იყო – ყვება დროგბა – ყველა მეუბნებოდა: „თუ არ გამოგივა, სხვა საშუალებებით მოგიწევს თავის რჩენა". შემეძლო ბუღალტერი ვყოფილიყავი – შესაბამისი დიპლომი მაქვს".* მაგრამ დიპლომი საჭირო არ აღმოჩნდა.

„ლე მანში" დროგბას მწვრთნელი **მარკ ვესტერლოლი** იყო. კოტდივუარელი დღემდე მიიჩნევს, რომ ამ სპეციალისტმა მის კარიერაში ყველაზე დიდი როლი ითამაშა. *„მან მომცა ყველაფერი აუცილებელი იმისთვის, რომ გავმხდარიყავი ის, ვინც დღეს ვარ. მან ბევრი რამ შეცვალა არა მხოლოდ ჩემს თამაშში, არამედ მთლიანად ცხოვრებაში. მანამდე მარტო ვვარჯიშობდი – კვირაში ორჯერ, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კი – ყოველ დღე".* ამის მიუხედავად, მისი საფეხბურთო კარიერა რაღაც მომენტში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. 12 გოლი 4 სეზონში ჩატარებულ 64 შეხვედრაში – ცენტრფორვარდისთვის ეს არცთუ დამაჯერებელი შედეგი იყო.

თამაშში მუდმივ პროგრესთან ერთად მისი „ლე მანში" ყოფნის პერიოდი ერთი ანეკდოტური შემთხვევითაც აღინიშნა. *„სტუმრად 0:1-ს ვაგებდით, და შესვენებაზე ვესტერლოლმა ცეცხლები გაყარა: „რა გჭირთ? რატომ ვერ თამაშობთ? გადით, აჩვენეთ ხასიათი, სიამაყე!" ამ მომენტში ერთ-ერთმა ფეხბურთელმა გაზები ხმაურიანად გამოყო და მწვრთნელმაც შესძახა: „აი, რა გვჭირდება! აი, ზუსტად ასეთები უნდა იყოთ! აჩვენეთ თქვენი თავი!" ჩვენც გავედით და 2:1 მოვიგეთ".*

ასე იყო თუ ისე, დროგბა მშვიდად მიყვებოდა დინებას 2002 წლის იანვრამდე, სანამ ელიტური დივიზიონის აუტსაიდერ „გენგამის" რიგებში არ აღმოჩნდა. *„ჩვენი ამოცანა ლიგაში დარჩენა იყო და მეც ვიცოდი, რომ განსაკუთრებული მისია მეკისრა. არ მინდოდა მეორე დივიზიონში დაბრუნება, ამიტომ მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობდი, და გავიტანე კიდეც საკმარისიად ბევრი გოლი, გუნდს დარჩენაში რომ დავხმარებოდი".*

მომდევნო სეზონში, **გი ლაკომბის** ხელმძღვანელობით, დროგბას მოულოდნელი ტრანსფორმაცია მოხდა – 17 გოლი 34 შეხვედრაში. როგორ? *„გენგამში" ყველა გვერდით მედგა და მეხმარებოდა. ბრწყინვალედ ვიყავი შეთამაშებული ფლორან მალუდასთან* (დღეს „ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების გარემარბი). *ერთმანეთს მეორე დივიზიონიდან ვიცნობდით და პირადი ურთიერთობაც კარგი გვქონდა. ჩემს წარმატებაში ლომის წილი სწორედ მალუდას მიუძღოდა,"* – იხსენებს დიდიე.

2002/03 წარმატებული სეზონის წყალობით, დროგბამ ჩრდილო-დასავლური სანაპირო სამხრეთულით შეიცვალა და პროვინციულიდან მაშინვე ელიტური ფეხბურთის ავანსცენაზე აღმოჩნდა. ის „მარსელმა" შეიძინა და მას შემდეგ დროგბა შესამჩნევი ფიგურაა ევროპულ და მსოფლიო ფეხბურთში. *„ასეთ დიდ კლუბში გადასვლა ჩემთვის გრანდიოზული მოვლენა იყო. ყოველთვის ვქომაგობდი „მარსელს", ასე რომ, ჩემი ოცნების გუნდში აღმოვჩნდი. ბავშვობიდან მისი ფანატი ვიყავი, რადგან „ოლიმპიკში" ბევრი აფრიკელი ფეხბურთელი გამოდიოდა. მათ დიდი როლი ითამაშეს იმაში, რომ „მარსელმა" თავის დროზე ჩემპიონთა თასი მოიპოვა. იმ ფინალს ტელევიზორით ვუყურებდი და მახსოვს, რომ ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი".*

„მარსელის" მაისურით დროგბამ ჩემპიონატის 35 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა, 6-ჯერ თავი უეფას თასზეც გამოიჩინა, სადაც ფინალისკენ მიმავალ გზაზე „ლივერპულსა" და „ნიუკასლს" გაუსწორდა. *„ეს ზღაპრული პერიოდი იყო. ვერასოდეს დავივიწყებ იმ სითბოსა და კეთილგანწყობას, რომელიც „მარსელში" მაგრძნობინეს. იქ მხოლოდ ერთი სეზონი გავატარე, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ამ გუნდში მთელი ცხოვრება თამაშობდი. როგორც ფეხბურთელი, ამ კლუბში ძალიან გავიზარდე, რადგან მუდამ საუკეთესო ფორმაში ყოფნაზე ვფიქრობდი. როცა ხალხმა იცის, რა შეგიძლია, თავს უფლებას ველარ მისცემ, რომ ცუდად ითამაშო".*

24 მილიონ გირვანქად მისი „ჩელსიში" გადასვლა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. *„ეს ტრანსფერი ჩემთვისაც უდიდესი სიურპრიზი იყო – აღიარებს დროგბა – მე „მარსელში" დარჩენასა და მისთვის რაღაც დიდის გაკეთებას ვგეგმავდი. კლუბს წლების მანძილზე წარმატებისთვის ვერ მიეღწია და მქონდა იმის განცდა, რომ იმ შემადგენლობით ძალიან ბევრის მიღწევა შეგვეძლო. მინდოდა, „მარსელის" მაისურით საფრანგეთის ჩემპიონი გავმხდარიყავი. მაგრამ მალე, სანაკრებო შეკრებაზე ყოფნისას შევიტყვე, რომ ჩემი აყვანა „ჩელსის" უნდოდა. ეს დიდი მოულოდნელობა იყო, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. „მარსელში" ყველაფერი მქონდა, რაც მინდოდა, კერძოდ, ძალიან კარგი ანაზღაურება, ამიტომ წასვლის საფუძველი არ გამაჩნდა. ამასთან, კლუბში ბევრი მეგობარი მყავდა".*

მაგრამ ტკბილად მოუბარმა პორტუგალიელმა მაინც აცდუნა. *„მოურინიომ ჯერ კიდევ მაშინ შემამჩნია, როცა „გენგამში" გამოვდიოდი. მერე, როცა „მარსელში" გადავედი, ის „პორტუს" წვრთნიდა, ჩვენი გუნდები ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაში შეხვდნენ და ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ მას ჩემი აყვანა უნდოდა, მაგრამ პორტუგალიურ კლუბს ტრანსფერისთვის თანხები არ ჰყოფნიდა. ასე რომ, თავიდანვე ვიცოდი, მოურინიოს რომ მოვწონდი და, რომ ყველაფერს გააკეთებდა „ჩელსიში" ჩემს წასაყვანად. ჩემთან საუბრისას ყოზე ძალიან დამაჯარებელი იყო, ვგრძნობდი, რომ ჩემი სჯეროდა. ამიტომ მეც ლონდონში გადაბარგების გადაწყვეტილება მივიღე".*

ინგლისურ ფეხბურთთან შეგუებას დრო დასჭირდა, „სტემფორდ ბრიჯზე" გატარებული პირველ სეზონს იოლი ნამდვილად არ ეთქმოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2005-ის ზაფხულში გუნდის გამოცვლაზეც კი ფიქრობდა. *„ადაპტაციის პროცესი რთულად მიდიოდა. მარსელის და საფრანგეთის დატოვება ერთი და იგივე არაა. ქალაქი ლაჟვარდოვან სანაპიროზე – ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. და ლონდონიც სულ სხვანაირია, განსაკუთრებით, ამინდების მხრივ. ფეხბურთიც ძალიან განსხვავებულია. ინგლისური სტილი ჩემთვის უჩვეულო იყო, საფრანგეთში ბურთის ფეხში მიღებას ვიყავი მიჩვეული. ლონდონური კარიერის დასაწყისი მძიმე გამოდგა. სხვათა შორის, ანალოგიური ტიპის პრობლემები აქვს ახლა შევჩენკოს".*

ინგლისური ფეხბურთისთვის დამახასიათებელმა ათელტიზმმაც ბევრი უხერხულობა შეუქმნა: ინგლისურმა პრესამ დროგბა სიმულანტ ფეხბურთელად გამოაცხადა, მიწაზე საკუთარი ინიციატივით იშხლართებაო. დიდიე კი ამბობს, რომ ეს ყველაფერი სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია: *„ხალხი ფიქრობს, რომ რაკი ახოვანი და ძლიერი ვარ, ე.ი. არ უნდა წავიქცე. თავიდან, თავის დასაცავად ხელებს არ ვიშველიებდი, ზუსტად ისე ვთამაშობდი, როგორც საფრანგეთში, მაგრამ ინგლისში სხეულის გამოყენება უფრო თავისუფლად შეგიძლია. უნდა მესწავლა ბურთისთვის ბრძოლა, უფრო ათლეტური უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ როცა ამას ვაკეთებდი, ჩემს მოქმედებებს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. პრობლემა გარკვეულწილად ის იყო, რომ ორთაბრძოლებს, რომლებიც საფრანგეთში წესების დარღვევად ითვლება, ინგლისში ყველა ბუნებრივად იღებს".*

ინგლისურ ენაში დროგბა კარგია, მაგრამ არა უნაკლო, რის გამოც ხშირად იყო გაუგებრობები: *„ერთხელ რაღაც ვთქვი ინგლისურად, მაგრამ როცა ეს გაზეთებში დაიბეჭდა, არ შეესაბამებოდა იმას, რისი თქმაც მე მინდოდა. პრესაში ეწერა: „კი, მე მიწაზე განგებ ვეცემი". სინამდვილეში ეს არ მქონია მხედველობაში, მინდოდა, მეთქვა: „ძნელია ფეხზე იდგე, როცა ბურთისთვის დაუნდობლად გებრძვიან და როცა მიჩვეული არ ხარ ასეთი თამაშის მანერას. რაკი ამ თემას შევეხეთ, ვიტყვი, რომ ინგლისელი გულშემატკივარი სიმართლეს ზოგჯერ შეგნებულად არ უსწორებს თვალს. გასულ სეზონში მკითხეს: "ბურთს ხელით შეეხეთ (როცა „სიტის" გოლი გაუტანა)?" ვუპასუხე: „დიახ, შევეხე". რომ მცოდნოდა, ამას ასეთი ამბავი მოყვებოდა, ცხადია, ენას კბილს დავაჭერდი. იგივე საფრანგეთში რომ მომხდარიყო, რეაქცია ასეთი იქნებოდა: „კარგი, მთავარია, აღიარა, რომ მართალი არ იყო. დავანებოთ თავი".*

მაგრამ მისი აღიარება „ჩელსის" ფანებსაც კი არ მოეწონათ და როცა გასულ სეზონში მისი შეურაცხყოფა დაიწყეს, წასვლაზე დაფიქრდა: *„როცა შენი ფანები ასე გექცევიან, გინდა თუ არ გინდა, წასვლაზე ფიქრობ. ასეთი დამოკიდებულება ძალიან არ მომეწონა, „ჩელსიში" გადასვლის დღიდან გუნდისთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. და გასული სეზონის ბოლოს გავიფიქრე: „იქნებ, ფანები მართლები არიან. თუ არ უნდათ, რომ მათ გუნდში ვთამაშობდე, მაშინ წავალ". ჩემი აზრით, ფეხბურთელმა ასეთ საკითხებს ყურადღება უნდა მიაქციოს".*

მაგრამ დროგბა მაინც დარჩა და წელს სასწაულ სეზონს ატარებს. *„ეს სეზონი იმას ჰგავს, რომელიც „მარსელში" ჩავატარე. იქაც ყველაფერი იდეალურად მქონდა აწყობილი, მაგრამ არასტანდარტული გოლების თვალსაზრისით, წლევანდელი სეზონი აშკარად უკეთესია".* მისი საყვარელი გოლი ისაა, რომელიც „ევერტონის" კარში 35 მეტრიდან გაიტანა. *„ის გოლიც ლამაზი იყო, „ბარსელონას" რომ გავუტანე, მაგრამ მე მაინც „გუდისონ პარკზე" გატანილს ვამჯობინებ, იმიტომ, რომ იმან სამი ქულა მოგვიტანა და „მანჩესტერთან" ჩამორჩენა ხუთიდან ორ ქულამდე შეგვამცირებინა".*

მიმდინარე სეზონში უფრო სტაბილურად გააქვს, ვიდრე შარშანდელში. წელს ყველა ტურნირზე უკვე 22 ბურთი აქვს გატანილი. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი – ინგლისურ ფეხბურთთან საბოლოო ადაპტაცია და მეორე – 4-3-3 სქემის 4-4-2-ით შეცვლა. დროგბას შეტევაში პარტნიორთან ერთად თამაში უფრო მოსწონს, ვიდრე ორ გარემარბს შორის მარტო ბრძოლა. *„ჩემი აზრით, ეს ორი სქემა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. 4-3-3-ით თამაშისას მეტი სივრცე მეძლევა მანევრირებისა და თვითგამოხატვისთვის. როცა შეტევაში მარტო ვარ, კარისკენ ზურგით მდგომს უფრო ბურთისთვის ბრძოლა მიწევს, იძულებული ვხდები, მაღალი ბურთები მოვიგო და მერე პარტნიორებს მივაწოდო. მაგრამ, როცა მოედანზე ორი ფორვარდი ვართ, მაშინ მყავს დამხმარე, რომელიც ჩემზე თამაშობს. უფრო ხშირად ვარ სახით კარისკენ და ალბათ, ამიტომაც გამაქვს გოლები უფრო ხშირად".*

მისი წვლილი დაცვით თამაშში, განსაკუთრებით სტანდარტული მდგომარეობებისას, ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც ამჟამინდელი შედეგიანობა. ამბობს, რომ **ჯონ ტერისა** და **პეტრ ჩეხის** ტრავმები „ჩელსისთვის" ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. *„მათ შემცვლელებს შანსი აქვთ, რომ საკუთარი სიძლიერე დაამტკიცონ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონის ტიტულს შევინარჩუნებთ. ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება, რადგან „მანჩესტერი" წელს ბრწყინვალედ თამაშობს. ჯონ ტერი ძალიან გვაკლია, ისე, როგორც პეტრ ჩეხი და ჯო კოული. მაგრამ ჩვენსას მაინც მიეაღწევთ, რადგან ტრავმების მიუხედავად, ისინი ისევ ჩვენთან, ჩვენს გვერდით არიან და მე მათთვისაც ვითამაშებ მანამდე, სანამ მწყობრში არ ჩადგებიან".*

გოგა ახალაძე

ხელბურთი

ევრო 2008. ინტერვიუ მერაბ მეტრეველთან

მოგება რუმინეთში უფრო შეიძლებოდა

ვლადიმერ რუსიამ რუმინეთში მხოლოდ ოთხი გოლის გატანა მოახერხა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო და ფლეიოფში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. რუმინელებმა საკუთარ მოედანზეც დაგვამარცხეს და საკვალიფიკაციო ციკლის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ლატვიასთან ერთად გაინაღდეს ჯგუფიდან გასვლა.

ბოლო ორ შეხვედრაში (ბულგარეთთან 19 და 21 იანვარს) მხოლოდ იმასღა თუ შევეცდებით, რომ ჩვენსავით უმოტივაციოდ დარჩენილ ბულგარელებს ჯგუფში უკანასკნელი ადგილი გადავულოცოთ და მომავლის გუნდის შენებას აქედანვე შევუდგეთ.

რუმინული მატჩის პერიპეტიებზე, საქართველოს ნაკრებისა და საკუთარ სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი.

რუმინელებთან გასვლითი მატჩი, მთლიანობაში, იმაზე უკეთ ჩავატარეთ, ვიდრე 12 იანვარს, თბილისში. შეხვედრა თითქმის თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში ნარიმართა. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, მასპინძლებს წინ გასვლის საშუალებას არ ვაძლევდით და ტაბლოზე სულ ფრე ენთო. თუმცა, ტაიმის მიწურულს, მათ მაინც მოახერხეს ხუთბურთიანი უპირატესობით დაწინაურება. აღსანიშნავია, რომ საწყის ოცდაათწუთიან მონაკვეთში, ორი შვიდმეტრიანი ვერ გამოვიყენეთ. ვლადიმერ რუსიას ხელი სტკიოდა და პენალტებს სხვები ურტყამდნენ. პირველ ტაიმში შვიდმეტრიანები ვერ გამოიყენეს ლევან გელაშვილმა და ალექსანდრე ბოყოჩაძემ, ხოლო მეორე ტაიმში ნაკრების კიდევ ერთ გამოცდილ ნევრს, გუნდის კაპიტან გიორგი ქობელაშვილს უმტყუნა მიზანმა. აღსანიშნავია, რომ ქობელაშვილი ცალკე გადაღლისა და ცალკე მუხლის ტკივილის გამო, სასტარტო შემადგენლობაში არ იყო და მოედანზე მოგვიანებით შემოვიდა. მართალია, წინა მატჩებში უფრო კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ რუმინეთში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა.

მოკლედ, მატჩის უკანასკნელ წამებამდე ვიბრძოლეთ, მაგრამ კლასით უფრო მაღლა მდგომ მეტოქეს საკუთარ მოედანზე მაინც ვერ ვაჯობეთ. ბოლო წუთზე, მთლიანად შეტევაში გადართულებს მეტოქის ორი სწრაფი კონტრშეტევა გამოგვეპარა და მასპინძლებმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს - 30:24.

- შედეგით გასაგებია, რომ უკმაყოფილო იქნებით, თამაშის ხარისხზე რას იტყვით?

- სამწუხაროდ, შეცდომები კვლავ მრავლად იყო, მაგრამ პროგრესიც გვეტყობოდა. პირველ რიგში, თვალში საცემი იყო ის, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებით, გუნდი ფიზიკურად გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. რუმინეთთან ახლა უფრო მეტი შანსი გვქონდა მოგების, ვიდრე თბილისში. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ დაცვაში მჭიდროდ და არცთუ ურიგოდ თამაშის შემდეგ, სწრაფი კონტრშეტევებისას ვცდებოდით და რამდენიმე ეპიზოდში იერიშისას რიცხობრივ უმრავლესობაში მყოფებმა ბურთი დავკარგეთ. მოკლედ, პირველ ტაიმში გუნდის თამაშით არ ვიყავით უკმაყოფილონი, არც მეორე ტაიმი დაგვიწყია ცუდად, მაგრამ მაინც უფრო ძლიერმა გაიმარჯვა.

- საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით და პირიქით, ვინ გაგიცრუათ იმედი?

- უპირველეს ყოვლისა, გამოვარჩევ მეკარე შოთა თევზაძის შესანიშნავ თამაშს. შოთა მთელი მატჩის განმავლობაში კარგად იდგა, მაგრამ განსაკუთრებით მეორე ტაიმის საწყის ოც წუთში გაიბრწყინა, როდესაც სასწაული ბურთები მოიგერია. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, შეტევაში კარგი თამაშით გამოირჩა სერგეი კირილოვი, რომელიც ნელ-ნელა პოულობს გუნდში თავის ადგილს და რუმინეთს ოთხი გოლიც გაუტანა. ნორმალურად გამოიყურებოდა გიორგი წივწივაძისა და აკაკი ტალახაძის დუეტიც. თუმცა, მათ გამოუცდელობა და თვითრწმენა აკლიათ, რის გამოც კარგად ჩატარებულ ეპიზოდებს შეცდომებს აყოლებდნენ ხოლმე. ცოტა არ იყოს, ფორმიდან ამოვარდნილი იყო რეზო ჭანტურია. მან წინა მატჩებში დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და გადაღლილი ჩანდა. უფრო მეტი სათამაშო დრო მივეცი მამია კობახიძეს, რომელიც ამჯერად უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ეს არ იყო მისი შესაძლებლობების ზღვარი. ასევე უკეთ გარჯა მართებდა ნაკრების ლიდერ ვლადიმერ რუსიას. მართალია, მას ხელიც აწუხებდა, მაგრამ მისი დონის ხელბურთელისაგან მუდამ მაქსიმუმს ველით.

სათადარიგოთა სკამიდან კარგად ჩაერთო თამაშში ლევან ბერძენიშვილიც, ხოლო ომარ ყიფიანმა სასიამოვნოდ გამოაცა - მან მოსამზადებელ ეტაპზე ერთ თვეში შეძლო ფორმაში შესვლა და ასეთ დონეზე თამაში.

- დარჩენილ ორ მატჩზე რას იტყვით?

- ლატვიასა და რუმინეთისაგან განსხვავებით, ბულგარეთი უფრო სუსტი გუნდია და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ორი მატჩის ჯამში მოვუგოთ და ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე არ გავიდეთ. შესაძლოა, ამ შეხვედრებში მცირე საკადრო ცვლილებებიც განვახორციელოთ. მაგალითად, შეკრებაზე გამოვიძახეთ "თბილისის" ხელბურთელი დავით ფორაქიშვილი და თუკი თავს მოგვაწონებს, ბულგარეთთან მივცემთ თავის გამოჩენის შანსს.

- თანამდებობაზე ახლახან, ყოფილი მწვრთნელის გადადგომის შემდეგ დაინიშნეთ. საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ, ნაკრებიდან წასვლას ხომ არ აპირებთ?

- ეს იმაზეა დამოკიდებული, რა პირობებს შემომთავაზებს ხელბურთის ფედერაცია. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ ნაკრებს მაქსიმალური თანადგომა უნდა ჰქონდეს. აუცილებელია, რომ გუნდი ამ ზაფხულსვე შეიკრიბოს, შესაძლებლობების ფარგლებში ჩაატაროს მაქსიმალურად ბევრი საკონტროლო მატჩი და ყველა ასაკის ნაკრები გუნდი ერთიან სისტემაში იყოს მოქცეული, რომელსაც კოორდინაციას გაუწევენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელები. თუკი ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება, ნაკრებში მუშაობას გავაგრძელებ.

- მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპი ახალი სისტემით გაიმართება. რას იტყვით ამ სისტემაზე?

- ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაიწყება 2009 წლის მარტში და მთელი წელი გასტანს, რაც ჩვენთვის საკმაოდ მისაღებია. გაიზრდება ქვეჯგუფების მონაწილე გუნდების რაოდენობაც - იქნება ექვსგუნდიანი ჯგუფები, საიდანაც ორ-ორი საუკეთესო ყოველგვარი ფლეიოფის გარეშე მოხვდება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამ შესარჩევი ციკლისთვის წლეულსვე უნდა დაიწყოს სერიოზული სამზადისი. გუნდი ორი წელი უქმად რომ არ იყოს, ამხანაგური მატჩების გარდა, კარგი იქნება, თუ 2008 წლის მსოფლიო უნივერსიადაზე იასპარეზებს.

- ნაკრების რამდენიმე ნევრი ასაკოვანია. რომელიმე მათგანი გუნდიდან წასვლას ხომ არ გეგმავს?

- ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის გადაწყვეტილი, რომ ალექსანდრე ბოყოჩაძისთვის ბულგარეთთან შეხვედრები ბოლო იქნება საქართველოს ნაკრებში, რის შემდეგაც იგი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს. სხვათა შორის, ალეკოს 18 იანვარს დაბადების დღე აქვს - 34 წლის ხდება...

ბოყოჩაძეზე ორი წლით უმცროსია ლევან გელაშვილი. ახლა ვერ გეტყვით, შეძლებს თუ ვერა 2009 წლამდე თამაშს, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია, შესანიშნავი პიროვნებაა და მისი ნაკრებში ყოფნა აუცილებელია. ტრავმა ანუხებს ნაკრების კაპიტან გიორგი ქობელაშვილს, რომელიც ამის გამო ხელბურთიდან წასვლაზე ფიქრობს, მაგრამ როგორც ვიცი, საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ, ვარჯიშის გაგრძელებას აპირებს და მომავალში მისი დიდი იმედიც მაქვს...

კობა ხატისაშვილი

რუმინეთი-საქართველო 30:24

საქართველო: თევზაძე, სამყურაშვილი; ქობელაშვილი (5), კირილოვი (4), რუსია (4), წივწივაძე (4), ტალახაძე (3), ჭანტურია (1), კობახიძე (1), გელაშვილი (2), ბერძენიშვილი, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი, ბოყოჩაძე

19 იანვარი, თბილისი. 15:30

საქართველო-ბულგარეთი

მსაჯები: ანატოლი მიშჩუკი, ვალერი როჟკოვი (უკრაინა)

დელეგატი: არსენ მხითარიანი (სომხეთი)

21 იანვარი, გაბროვო. 19:00

ბულგარეთი-საქართველო

მსაჯები: ვლადიმირ ჯოვიჩი, ალია ჰასიჩი (ბოსნია)

დელეგატი: ტელემაქოს სავიდესი (კვიპროსი)

ალექსანდრე ბოყოჩაძე (13) სანაკრებო კარიერას ასრულებს

ჰეღათბურთი

დღიური

ორი ცხვარი და ვენახი პირველ სართულზე

-ბოსნიიდან სლოვენიაში შთაშეჭდილებებით დატვირთული ნამდვილად არ დავბრუნებულვარ: თამაში წავაგეთ, სათანადოდ ვერ ვითამაშე და არც თავად ქვეყანა მოგტაცებს თვალს...

თუმცაღა, ერთი რამ მაინც კარგად დამამახსოვრდა - ოლიმპიელებისთვის შამფურზე შემწვარი ცხვრის ხორცი მოიტანეს. ბოსნიაში მოსახლეობის უმეტესობა მუსულმანია და ღორის ხორცს არ ჭამს, ამიტომ ცხვრის ხორცი მეტად პოპულარულია. მათი ნაციონალური კერძი - შამფურზე დაუჭრელად წამოცმული ცხვარი იმდენად გემრიელი აღმოჩნდა, რომ მეორეც შევუკვეთეთ. ცოტა ლოდინიც მოგვიხდა, რადგან სრულყოფილად შესანვავად ერთი საათი საკმარისი ნამდვილად არ არის.

ღორის ხორცზე გამახსენდა: იგი არც ერთ ქვეყანაში არ სარგებლობს ისეთი პატივისცემით, როგორც საქართველოში. სლოვენიაში ღორის ხორცი ძვირიცაა და მისგან კერძებს იშვიათად ამზადებენ. აქ უფრო ქათმის ხორცი უყვართ - შედარებით იაფიცაა და ორგანიზმისთვის ნაკლებად მავნებელი.

... ნერწყვი მომადგა, მაგრამ ვარჯიშზე შევდივარ და სჯობს ჭამაზე არ ვიფიქრო.

სარაევოს აეროპორტიდან ლიუბლიანაში საღამოს 6 საათზე ჩამოვფრინდით. მწვრთნელმა სავარჯიშოდ მეორე დილას დაგვიბარა და პირდაპირ შინისკენ გავემართე. სამოთახიანი ბინა ლიუბლიანას პოპულარულ უბან დეფიგრადში მაქვს. ქალაქის ცენტრამდე მანქანით ხუთ წუთში გავდივარ, ხოლო "ტივოლის" არენამდე მისვლას 10 წუთს ვანდომებ (თავის შუქნიშნებიანად).

ბინა პირველ სართულზეა და პატარა ეზოც მაქვს. ეზოში რა მიდგას, არ იკითხავთ? - ყურძენი, რომელიც რქაწითელი არაა, მაგრამ თეთრია და გემრიელი. სათანადოდ მოვლას ვერ ვახერხებ, მაგრამ მაინც არ ფუჭდება. მაგალითად წლეულს "ჩემი ვენახიდან" იმდენი ყურძენი მოიკრიფებოდა, რომ დაწურვის შემთხვევაში კი ღვინოც დადგებოდა, მაგრამ ჭურჭელი არ მქონდა და ამიტომ ვერ დავწურე... გაისისთვის წინასწარ დავიჭერ თადარიგს. ღვინის მოყვარული მევენახესავით კი ვსაუბრობ, მაგრამ გამოგიტყდებით - ღვინოს არ ვსვამ.

ბოსნიიდან დაბრუნებულმა (14 იანვარს) ძველით ახალი წელი ქართულად აღვნიშნე. ერთადერთი, ღვინო არ დამილევია და შაშხანა არ გამისროლია.

ლიუბლიანაში ცხოვრობს ერთი ქართული ოჯახი, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. საღამოს იმ ოჯახის უფროსი მესტუმრა, ზოგი კერძი თვითონ მოიტანა, ზოგიც მე დავახვედრე და ქართულად მოვილხინეთ...

შაშხანა არ გვქონდა, თორემ იმასაც გავისროდით. ლიუბლიანაში "ასაფეთქებელი მოწყობილობები" გასაყიდად 1 იანვრამდე ერთი-ორი კვირით ადრე გამოაქვთ, პირველიდან კი ვეღარსად შეხვდები. ზოგ მაშხალას ისეთი ხმა აქვს, რომ ერთი-ორჯერ მისმა ტალღამ შემახტუნა კიდეც. თანაგუნდელებს ვეხუმრებოდი: - რაღა ეს ასაფეთქებელი და რაღა ყუმბარა, რომ გადააგდებ, თან უნდა მიაყოლო - დაწექით!!!

მანუჩარ მარკოიშვილი

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

უდანაკარგოდ ლიდერობენ

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირის მონაწილეებმა ეკვატორი გადალახეს - 5 ტური მოიტოვეს. პირველი ლიგის საგზურს 10 მონაწილე მიიღებს, ამიტომ ფიცხელი ბრძოლები ბოლო პარტიამდე გაგრძელდება, თუმცა გამოიკვეთა ჯგუფი მოჭადრაკეებისა, რომელთაც, შეიძლება ითქვას ათეულში ადგილი დაბეებული აქვთ.

ასეთები, უპირველესად ლიდერები არიან, რომელთაც მცირედიც კი არ დაუკარგავთ, - ქალებში ხუთიდან ხუთი ქულით **ლალი ბიბილაშვილი** ლიდერობს, ხოლო ვაჟებში **დავით ლომსაძე**. ლომსაძე 16 წლისა მხოლოდ 12 თებერვალს შესრულდება, რეიტინგიც უმაღლესი აქვს ამ შესარჩევში, მაგრამ ამგვარი წარმატება ალბათ მაინც მოულოდნელია და ლალი ბიბილაშვილის ერთპიროვნული პირველობა კი გასაკვირიცაა - მიუხედავად იმისა, რომ 21 წლისაა და მასზე ბევრად უმცროს მოჭადრაკეებზე გამოცდილია, ბოლო დროს აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორებული იყო და რეიტინგიც არ აქვს დიდი - 1965 მხოლოდ. ბიბილაშვილი საჭადრაკო ოჯახიდანაა, საკმაოდ ნიჭიერიც გახლავთ და თუკი სერიოზულად მიუდგება კარიერას, ქალთა ჭადრაკში კონკურენციას უთუოდ გაზრდის.

ფინიშამდე 4 ტურია და ათეულში მოსახვედრად 6.5 ქულა ალბათ საკმარისი იქნება. ქალთა შორის პირველ - 8-9 დაფაზე მსხდომთ თუ შეუძლიათ ბრძოლა ათეულისთვის, ვაჟებში საგზურისთვის მებრძოლთა ბევრად მეტი კანდიდატია - ალბათ 15-მდე მოჭადრაკე.

როგორც იცით, ვაჟთა შორის სამი ქალბატონიც თამაშობს - **ანა გავაშელი, ალექსანდრა ვახანია** და **სალომე ხაჟომია**. ამათგან საუკეთესო ხაჟომიაა - 4 ქულით მეოთხე-მეცხრე ადგილებს იყოფს; გავაშელს 3.5 ქულა აქვს და ჯერაც გააჩნია ათეულში მოხვედრის შანსი.

4 ქულა აქვს 11 წლის **ირაკლი ბერაძესაც**. ირაკლიზე ყურადღებას მუდამ ვამახვილებთ, რომ ის თავისი თაობის გამორჩეული მოჭადრაკეა და ეგებ ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ დიდოსტატადაც ჩამოყალიბდეს. ყურადღებას იმსახურებს ვეტერან **მიხეილ ჭიპაშვილის** თამაშიც - 53 წლის ეროვნულ ოსტატს 4.5 ქულა აქვს.

ქალებში ბიბილაშვილს კონკურენციას უწევენ **ქეთი წანალაშვილი** (4.5 ქულა) **ანა ბუცხრიკიძე, სალომე სიროაძე, ნინო კალანდაძე და თეკლა მაჭარაშვილი** - 3.5 ქულა. ამათგან თეკლა ყველაზე უმცროსია, 9 წლისაა.

ზვიად შათირიშვილი

ვაჟთა ტურნირის უხუცესი მონაწილე მიხეილ ჭიპაშვილი

ჩუბბი

დომონი-ჟენევიე. ალექსანდრე მარგველაშვილმა (მარჯვნივ) ლელო გაიტანა

ლეგიონერები

ფედერალ ერთი ბოლო ჯერის წინ

საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან შემდეგ, მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე გაიანაღდა კონსტანტინე ჯინჭარაძის "ბურგ ან ბრესმა", დანარჩენებს კი ბოლომდე ბრძოლა მოუწევთ.

ფედერალ 1-ის A ჯგუფში, პირველად მიმდინარე სეზონში, ლიდერობა **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანმა" იგდო ხელთ. აბუს გუნდმა სტუმრად შეძლო კიდევ ერთი ქართველის, **გიორგი კაჭარავას** "ვანის" დამარცხება 15:9, რითაც ვანელებს საფლეიოფო ოთხეულში მოხვედრა გაურთულა. კაჭარავას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა შინ "ჟენევიესთან" **ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **ზურაბ მჭედლიშვილის** "დომონმა" 32:23. ამ მოგების შემდეგ პარიზელებმა ფლეი ოფში მოხვედრის შანსი განიმტკიცეს. ორივე ქართველმა თამაშში თავიდან ბოლომდე მიიღო მონაწილეობა, მარგველაშვილმა მატჩის მე-5 წუთზე ღელო გაიტანა და ანგარიში გახსნა.

მოულოდნელად აუტსაიდერთან, **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერთან" შინ დამარცხდა **ვიქტორ დიდებულიძის, დავით დადუნაშვილისა** და **გიორგი ჩხაიძის** "მასი" - 16:17. დიდებულიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჩხაიძე თამაშში 67-ე, ხოლო დადუნაშვილი 71-ე წუთიდან ჩაერთო.

1. A ჯგუფში, 1. ორლეანი - 29 ქულა, 2. მასი - 28, 3. რუანი - 28, 4. დომონი - 28 / 5. ვანი - 24, 6. სენ ნაზერი - 23, 7. პუატიე - 21, 8. ჟენევიე - 19.

B ჯგუფში, როგორც უკვე ვთქვით, კონსტანტინე ჯინჭარაძის "ბურგ ან ბრესს" თავი ქუდში აქვს. ბურგელებმა ბოლოსწინა ტურში **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** "მონლუსონს" უმასპინძლეს და 19:14 დაამარცხეს. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ მონლუსონელები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-7 ადგილამდე დაქვეითდნენ და ახლა მხოლოდ დივიზიონში დარჩენისთვისღა იბრძოლებენ. "ბურგ ან ბრესი" 34 ქულით პირველ ადგილზეა და დანარჩენებისთვის მიუწვდომელია.

C ჯგუფში საფლეიოფო ოთხეულში მოსახვედრად "ექსი" და "ობენა" იბრძვიან. **დავით გასვიანის** "ექსმა" სტუმრად დათმო შეხვედრა "მედარიდესთან" 14:21 და 27 ქულით მე-3 ადგილზეა. მას სამ ქულით უსწრებს და მეორე ადგილზეა **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენა", რომელმაც შინ დაამარცხა "სენ სატურნენი" 23:18.

ფლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგა **ირაკლი მოდებაძის** "ლუნელმა", რომელმაც სტუმრად დათმო შეხვედრა "შატორენართან" 13:21. "ლუნელი" 23 ქულით მე-6 ადგილზეა.

შანსი დაკარგა D ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმაც - "მიომ" და "მარსელმა". ამ უკანასკნელში ბურჯი **ირაკლი ნინიძე** ახლახან ჩაირიცხა და პირველივე მატჩში **სოსო ნიკოლაენკოს, გიორგი ნიკლაურისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** "მიოს" წინააღმდეგ მოუწია თამაში. "მარსელმა" შეხვედრა მინიმალური ანგარიშით, 14:15 დათმო. ამ გუნდს ახლა 19 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა, "მიო" 23 ქულით მეხუთეა.

ფლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს **ვანო ნადირაშვილისა** და **თედო ზიბზიბაძის** "პერიგოს", რომელმაც სტუმრად სძლია ერთ-ერთ აუტსაიდერ "ფლორანსს" 26:15. ჩვენებურთა გუნდმა 27 ქულა დააგროვა და ამჟამად მე-3 ადგილზეა.

ფედერალ 2-ში ფინიში ჯერ შორსაა, რეგულარულის დასრულებამდე კიდევ 9 ტურია. A ჯგუფის ლიდერთა ოთხეულში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდია. **დავით ბოლღაშვილის** "ლილმა" შინ დაამარცხა "კლამარი" 27:25 და 34 ქულით მე-2 ადგილზეა. მას სამი ქულით ჩამორჩება და მე-3 ადგილზეა **სერგო გუჯარაიძისა** და **ოთარ ელოშვილის** "არასი", რომელმაც შინ დაამარცხა "ჟუ ლე ტური" 26:7.

საკუთარ მოედანზე მოულოდნელად "პუკთან" წაგო **ლევან ჯაველიძისა** და **ილია მაისურაძის** "ნანტმა" (14:25) და ახლა 26 ქულით მე-4 ადგილზეა.

B ჯგუფში კვლავ დაუმარცხებელია **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერუ პონტუაზი", რომელმაც ამჯერად შინ გაიმარჯვა "მასონთან" მატჩში 27:10. პონტუაზელებმა 39 ქულა დააგროვეს და 6 ქულით უსწრებენ "ლონსს", რომელსაც, თავის მხრივ, სამი ქულით ჩამორჩება **ბესო უდესიანის** "ვილფრანში". უდესიანის გუნდმა მე-13 ტურში სტუმრად დაამარცხა "სტრასბური" 6:0.

D ჯგუფში ლიდერმა, **რატი ურუშაძისა** და **დიმიტრი პავლოვის** "ნიცამ" სტუმრად ფრედ ითამაშა "ბედარიდესთან" 22:22. "ნიცა" 30 ქულით "გრასთან" ერთად სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს. მათ ერთი ქულით ჩამორჩება და მესამეა **თემურ სოხაძის** "ბასტია", რომელმაც სტუმრად სძლია "მარტიგი" 38:13. 22 ქულა აქვს და მეათე ადგილზეა **ზვიად მათიაშვილის** "დრაგიჟანი", რომელიც სტუმრად დამარცხდა მინიმალური ანგარიშით 15:16 "სენ რაფაელთან".

E ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა გაიმარჯვა. **რეზო ბელქანიასა** და **ალექსანდრე მჭედლიშვილის** "ფიჟაკმა" შინ "ნორმონს" სძლია 18:12 და 29 ქულით მესამე ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს და მეხუთეზეა **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი", რომელმაც შინ "ანგულემი" დაამარცხა 15:9.

ბესიკ ჯანგავაძე

გაზეთ ლელოს რედაქციას!

ფილიალი გორისთვის...

გილოცავთ ახალ 2007 წელს. იმედი გვაქვს, საქართველოს ორი სპორტული გაზეთის "ლელოს" და "სპორტის" გაერთიანება დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანაში სპორტის, ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას, ოლიმპიზმის იდეების განმტკიცებას. ახლა კი მოგმართავთ თხოვნით, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ქვემორე მიმართვა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრს
გიორგი გაბაშვილს

საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის
საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს
დავით ნამგალაურს

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორს
ჯემალ გუგუშვილს

შიდა ქართლი, გორი, ყოველთვის იყო, არის და გვწამს, მომავალშიც იქნება ჩვენი სამშობლოს ის მხარე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანებული მრავალი ქვეყნისთვის წლების განმავლობაში ოცნებადაა გადაქცეული რომელმე სინჯის ოლიმპიური მედლის მოპოვება. ჩვენ, შიდა ქართლელებმა, ეს სიხარული სამშობლოს ხუთჯერ მოვუტანეთ და, რაც მთავარია, ჩვენს ამ დიდ სპორტულ წარმატებებს სათავე დაუდო გორის ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტმა ჩვენი სტუდენტობის წლებში.

გორში, შიდა ქართლში, ამ ფაკულტეტზე სასწავლებლად და პედაგოგიური პროფესიის დასაუფლებლად მოისწრაფვოდა შიდა ქართლისა და მის მიმდებარე რეგიონების - მესხეთ-ჯავახეთის, ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის მრავალი კარგი სპორტული მონაცემების ახალგაზრდა. აქ ჩამოყალიბდა მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების მსოფლიოში აღიარებული ძიუდოს, თავისუფალი ჭიდაობის, კრივის, სამბოს სკოლა-ცენტრები, რომელშიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, ბატონები: გურამ პაპიტაშვილი, ნუგზარ სხირელი, ავთანდილ შოშიაშვილი, გივი ზაუტაშვილი, გივი საბაშვილი, ნიკო ანდღულაძე, სოსო ფუხაშვილი და სხვები, რომლებიც მწვრთნელის პროფესიას სწორედ ამ ფაკულტეტზე დაეუფლნენ.

ერთი სიტყვით, შიდა ქართლში შექმნილია მაღალი კლასის სპორტსმენთა და დარგის პროფესიონალ პედაგოგთა მომზადების ჯაჭვი, რომელსაც გაწყვეტა ემუქრება. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უკვე ორი წელინადია, სხვადასხვა გარემოების და მიზეზის გამო, პირველ კურსზე სტუდენტთა მიღება არ ყოფილა.

ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი იქნება, თუ გამოიჩენთ კეთილ ნებას და გორში, მომავალი 2007-2008 სასწავლო წლიდან გაიხსნება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფილიალი, რითაც საშუალება მიეცემათ ამ პროფესიის დაუფლების სურვილით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ადგილზე აიმაღლონ სპორტული ოსტატობა და მიიღონ პედაგოგის და მწვრთნელის პროფესია.

დარგის სპეციალისტთა მომზადებისთვის გორში არის ადგილობრივი, შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის კადრები - როგორც სპეციალურ საგნებში, ისე მონათესავე დისციპლინებში. ფილიალის სტუდენტთა სპორტული და პედაგოგიური დაოსტატების საქმეში ჩაებმებიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწენი, მუშაკები, დამსახურებული მწვრთნელები. სპორტის სახეობებში პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად გორს გააჩნია შესაბამისი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები.

თქვენი მამულიშვილური მხარდაჭერის მოლოდინში, ყოფილი სტუდენტები:

ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების
ვერცხლის პრიზიორი ძიუდოში თემურ ხუციური
მსოფლიო ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი
ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში ანზორ ქიბროლაშვილი
ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში გია თევნაძე
ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში გიორგი ვაზაგაშვილი
ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში დავით პოლოსიანი
მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ თუშიშვილი
მსოფლიო ჩემპიონი სამბოში ჯემალ გჟელიშვილი
მსოფლიო ჩემპიონი სამბოში აკაკი ხანიშვილი

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ოლიმპიურ ჩემპიონს ფარიკაობაში ვლადიმერ აფციაურს დედის

ნათელა პაპუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი

თედო კეზევაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა

სეზონი მიუნხენში იწყება



ნინო სალუქვაძე 2006 წლის ერთ-ერთ დაჯილდოებაზე. წინ ახალი სეზონია

24 იანვარს ტყვიის მსროლელ ქალთა და ვაჟთა გუნდები მიუნხენში, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის გაემგზავრებიან. ქალთა ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი** იასპარეზებენ, თუმცა ფედერაცია **თეონა იაშვილის** გაგზავნასაც ცდილობს. ვაჟთა გუნდში **სერგი ჩიტაიშვილი, ლევან ქადაგიძე** და **ბესიკ სირაძე** მოხვდნენ.

ესაა ტრადიციული და ძალიან ძლიერი ტურნირი, რომელიც მხოლოდ პნევმატური დამბაჩიდან სროლაში იმართება. იგი 12-18 მარტს ფრანგულ დოვილში, სწორედ პნევმატური პისტოლეტით სროლაში გასამართი ევროპის პირველობისთვის შესარჩევი ეტაპია. ამიტომ იგი ორ შეჯიბრებად ტარდება, ერთდღიანი ინტერვალით. მით უფრო, იქ მუდამ სროლის ელიტა იკრიბება, რასაც ხელსაყრელი ვადები განაპირობებს. მართალია, იქამდე ევროპაშიც და ავსტრალიაშიც ტარდება ტურნირები, მაგრამ მიუნხენისა მაინც ყველაზე ტიტულოვანია. იგი ყველაზე უკეთ ჯდება ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელ ციკლში, ამიტომ აქაურებმა იქნებ სხვა გამოტოვონ, მაგრამ მიუნხენში აუცილებლად ჩადიან. მათთან პაექრობის საშუალებას არც არაევროპელები კარგავენ და ტურნირიც ძლიერი გამოდის.

ჩვენი ფედერაცია სეზონს მუდამ იქ გამოსვლით იწყებდა, მერე კი ევროპის ჩემპიონატამდე მხოლოდ საქართველოს პირველობა თუ იმართებოდა, არადა, ის ნამდვილად არაა მაღალი დონის შეჯიბრება. თანაც, იანვრიდან მარტამდე საკმაო დროა და მსროლელებს სერიოზული ტურნირის დეფიციტი გამოუდიოდათ. წლეულს ფედერაციამ ამ ნაკლის შევსება 21-24 თებერვალს ნორვეგიულ ტრონჰეიმში გასამართი ტურნირით გადაწყვიტა, სადაც ჩვენები პირველად იასპარეზებენ. ამას საქართველოს ჩემპიონატი მოჰყვება პნევმატურში, რომელიც ასევე ევროპის პირველობისთვის მომზადებას ემსახურება, საფრანგეთში წასვლამდე კი გერმანიაში შეკრების გავლაც იგეგმება. იქ გერმანელები ეპატიჟებიან ჩვენებს - ქალთა და ვაჟთა სამ-სამკაციან გუნდებს და ერთ მნვრთნელს. თუმცა ჯერ დაფინანსების საკითხი გადაწყვეტილი არაა და ვნახოთ, მოახერხებენ თუ არა წასვლას. იმედია, იქაც წავლენ და მერე, საფრანგეთში, ორი წლის წინანდელ წარმატებას თუ არ გააუმჯობესებენ, გაიმეორებენ მაინც. შეგახსენებთ, რომ მაშინ ჩვენებმა ისტორიაში პირველად, გუნდურში ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ამის შემდეგ აქცენტი მსოფლიო თასებზე კეთდება, რომლებსაც საერთაშორისო ფედერაცია წლეულს ფრიადი რეფორმებით ატარებს. ადრე მილან-მიუნხენის ტურნირები მუდამ ერთმანეთის მიყოლებით იმართებოდა, ამიერიდან კი წყვილიდან მილანი ამოვარდა. მსოფლიო თასის პირველი ეტაპი 31 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით აშშ-ში, ფორტ ბენინგში ჩატარდება. 25 აპრილიდან 3 მაისამდე ავსტრალიურ სიდნეიში მეორე გაიმართება, მისი დამთავრებისთანავე კი ტაილანდურ ბანგკოგში მესამე დაიწყება. ევროპა მსოფლიო თასის ერთადერთ, ბოლო ეტაპს უმასპინძლებს - 28 მაისიდან 4 ივნისამდე მიუნხენში.

ეს კალენდარი ჩვენნაირი ხელმოკლე ფედერაციებისთვის ნამდვილად არაა ხელსაყრელი. ადრე სამი თუ არა, ორი ეტაპი მაინც იმართებოდა ევროპაში და გზის ხარჯები ბევრად მცირე გვიჯდებოდა, ვიდრე ახლაა საჭირო. ადრე ჩვენები უფულობის გამო რომელიმე ასეთ შორეულ ტურნირს ხშირად ტოვებდნენ. ძირითადად, ფორტ ბენინგისას, რადგან აზია-ავსტრალია მაინც ერთმანეთის მიყოლებით იმართებოდა და იქ წასვლა უფრო იოლად ხერხდებოდა, აშშ-კი კი ამ მარშრუტიდან ამოვარდნილი იყო. ჩანს, წლეულსაც ასე იქნება - ამერიკაში არც ამჯერად წავლენ და დანარჩენ სამში გამოვლენ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ნინო სალუქვაძის, როგორც ერთადერთი ლიცენზიანტი ქართველი სპორტსმენისა და ოლიმპიური გუნდის ერთ-ერთი ლიდერის შესახებ, არამედ ქალთა და კაცთა სრულ ნაკრებებზე, რაც ახალგაზრდების გამოცდის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი საქმეა.

მსოფლიო თასის სუპერფინალი შორეულ ოქტომბერში, ისევ ბანგკოკში ტარდება. იქ გამოსვლის უფლება მხოლოდ თასების ცალკეულ ეტაპებზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულებს ეძლევათ, თუმცა საერთაშორისო ფედერაცია ხშირად პერსონალურად იწვევს ისეთ ცნობილ სპორტსმენებსაც, რომლებიც ამ საგზურს ვერ მოიპოვებენ. თუმცა მანამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურნირია - 10-25 ივლისს ესპანურ გრენადაში ევროპის პირველობა ტარდება, ოღონდ ამჯერად - სპორტული დამბაჩიდან სროლაში.

ირაკლი თავაძე

თარიღი

16 იანვარი, 1951 - დაიბადა რამაზ ხარშილაძე (ძიუდო), სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1975), ევროპის ჩემპიონატების მეორე (1976) და ორგზის მესამე (1975, 80) პრიზიორი, სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1974, 76, 79, 80), სსრკ ხალხთა VI და VII სპარტაკიადების ჩემპიონი (1975, 79), სსრკ ორგზის ჩემპიონი სამბოში (1971, 73).

ჭრიკვი

კობა ფხაკაძე (შუაში)

ინტერვიუ კობა ფხაკაძესთან

რემონტიდან კრივის ქალაქამდე

საქართველოს მოკრივეთა ნაკრების წევრი კობა ფხაკაძე ჩვენში ერთ-ერთ იმედისმომცემ მოკრივედ ითვლება - კადეტთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონია. დიდებში გადასვლის შემდეგ ასეთი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია, თუმცა 2007 წელს იმედის თვალით უყურებს და ფიქრობს, რომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას მოიპოვებს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- კობა, როგორი იყო შენთვის გასული წელი?

- რამდენიმე ტურნირზე წარმატებით ვიასპარეზე. რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში პირველი ადგილი დავიკავე, კარგად გამოვედი ერევნის საერთაშორისო ტურნირზეც, სადაც ფინალში გავედი. სამწუხაროდ, წარუმატებელი გამოდგა ბულგარეთში გამართული ევროპის ჩემპიონატი, სადაც პირველივე რაუნდში სომეხ მოკრივესთან ორთაბრძოლაში გამოვეთიშე ასპარეზობას. თუმცა, ჩემი აზრით, ამაში მსაჯებმაც დაიდეს წილი.

- კადეტთა შორის საკმაოდ კარგი შედეგები გქონდა. უკვე მესამე წელია, რაც ერთნულ ნაკრებში ხარ და ალბათ უკვე დროა, აქაც მიაღწიო სერიოზულ წარმატებას.

- ამ ხნის მანძილზე საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და წარმატებების მოპოვების იმედიც მაქვს. 2007 წელს პირველი შეჯიბრება სოფიის საერთაშორისო ტურნირი იქნება. ამ ტურნირისთვის მზადებას რამდენიმე დღეში, ბორჯომში, ახალი მთავარი მწვრთნელის, ავთანდილ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით დავიწყებთ. ამის შემდეგ ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი. იქ გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები და მოვემზადებით მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

-კონკურენტებზე რას იტყვი?

- 57 კილოში საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. ვფიქრობ, რთული ბრძოლები მექნება ახალციხელ, ვარიანელ და ქუთაისელ მოკრივეებთან. წელს ეს ბიჭები უფრო მონდომებული იქნებიან, თუმცა აქამდე ნაკრებში დამკვიდრება არ გამჭირვებია და მჯერა, რომ მიზანს ახლადაც მივაღწევ.

- 2007 პეკინის ოლიმპიადისთვის ლიცენზიებისთვის ბრძოლის წელია...

- სხვა სახეობებთან შედარებით, კრივში ლიცენზიის მოპოვება უფრო რთულია. ამის დასტურად 2004 წლის ოლიმპიადაც გამოდგება, სადაც მხოლოდ ორი მოკრივე გვყავდა. თუ ობიექტურად გვიმსაჯებენ, ვფიქრობ, სხვებთან ერთად ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი მეც მექნება. ჩემს წონაში მსოფლიოში ბევრი ძლიერი მოკრივეა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იმასაც გააჩნია, წილისყრა როგორ გაგიმართლებს. წარმატების 50% ამაზეა დამოკიდებული.

- ძირითადად ქუთაისში გინევს ვარჯიში. და თუ გაქვს იმის პირობები, რომ საკადრის დონეზე მოემზადო?

- კრივის სპორტსკოლის დირექტორად დაინიშნა საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე, რომელიც ქუთაისში კრივის აღორძინებას შეუდგა. ოლიმპიური რეზერვების კრივის სკოლაში, ავანგარდის სპორტსკოლაში და ნიკეის სკოლაინტერნატში სარემონტო სამუშაოებია, რის დასრულების შემდეგაც ქუთაისი საკრივო ქალაქად გადაიქცევა. აქ შესაძლებელი გახდება საქართველოს ჩემპიონატისა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების ჩატარება, რისი სურვილიც აქამდეც ბევრჯერ ჰქონნათ. რაც შეეხება ჩემს მზადებას, ზაალ ჯავახაძის მეთვალყურეობით დროებით ავანგარდის სპორტსკოლაში ვვარჯიშობ, რემონტის დასრულების შედეგ კი ოლიმპიური რეზერვების სკოლაში დავბრუნდებით - სავარჯიშოდ უკვე ყველანაირი პირობა გვექნება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჩოგბურთი

გერმანიიდან ავსტრიაში

გუშინ ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. ქართულ დუეტს მსოფლიო კლასიფიკაციაში ადგილი არ შეუცვლია: **ირაკლი ლაბაძე** კვლავ მსოფლიოს 167-ე ჩოგანია, **ლადო ჩიხლაძე** კი - 545-ე. მათ, შესაბამისად, 250 და 46 ქულა აქვთ. წყვილებში ლაბაძე 168-ე პოზიციაზეა, ჩიხლაძე - 760-ეზე.

ლადო ჩიხლაძე გერმანიიდან ავსტრიაში გადავიდა, სადაც ზალცბურგთან ახლოს, დაბა ბერგაიმში ხალიჩაზე გასამართ "ფიუჩერსში" მიიღებს მონაწილეობას. გუშინ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულდებოდა, თუმცა ლადო პირდაპირ ძირითად ბადეშია დაშვებული. ეს ავსტრიის წლის პირველი "ფიუჩერსია". ირაკლი ლაბაძეს სეზონი ჯერ არ დაუწყია.

გამოქვეყნდა WTA-ს რეიტინგ-ლისტიც. **მაკა ჩახნაშვილმა** წინ ერთი საფეხურით წაინია, ის მსოფლიოს 140-ე ჩოგანია, მაკას 199 ქულა აქვს. ერთი საფეხურით წაინია წინ **ანა ტატიშვილმაც** (76 ქულა), ის 299-ეა. სხვა ქართველები: 324 (+1) **სოფიო მელიქიშვილი**, 539 (+1) **სალომე დევიძე**, 689 (+4) **სოფიო შაფათავა**, 773 (-) **ეკა გორგოძე**, 897 (+1) **მანანა შაფაქიძე**, 1109 (+1) **თეონა ცერცვაძე** და 1364 (-1) **მარიამ ქურდაძე**.

ჩვენი მეორე და მესამე ჩოგნები ანა ტატიშვილი და სოფიო მელიქიშვილი ფლორიდაში, ფორტ ვოლტონ ბიჩში 25-ათასიან ტურნირში მონაწილეობენ. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ორივე ქართველი ისვენებდა. ავსტრალიის ღია პირველობაზე წარუმატებლობის გამო მაკა ჩახნაშვილს ამ კვირაში იძულებითი უქმობა მოუწევს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

იანვრის ბაშო

ტოტარი

ტოკიოდან კოკაის შესახებ კარგი ცნობა თითქმის აღარ მოგვდის. გუშინ, მეცხრე დღეს, ქართველმა სუმოისტმა ბაშოს მეექვსე მარცხი იგემა. არადა, მას თითქოს სუსტ მეტოქეებთან უწევს ჭიდილი - იგივე კორეელი **კასუგაო**, რომელმაც კოკაის აჯობა, მეშვიდე მაეგაშირაა და ელიტას არაფრით განეკუთვნება. კოკაიმ საკმაოდ იშვიათი ილეთით წააგო, კორეელმა მისი ხელი დაიჭირა და სწრაფი მოძრაობით ქართველი დოჰიოზე დასცა, ამ ილეთს ტოტარი ეწოდება. კოკაის ბალანსი კი შემაშფოთებელია, თითქოს, მორიგი დაქვეითება მზადდება - 3-6.

დღეს კოკაის მეტოქე მონღოლი მეექვსე მაეგაშირა **ასასეკირიუა**. კოკაის მხოლოდ ერთი წაგების უფლებაღა დარჩა, თუ ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება სურს. ასასეკირიუს და კოკაის ურთიერთშეხვედრებში მონღოლი 3:2 იგებს. ბაშოს პირველად ჩაუდგა სათავეში ერთპიროვნულად იოკოძუნა **ასაშორიუ**, რომელსაც რვა მოგება და ერთი მარცხი აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იანვრის სუპერტურნირი

(ჰაცუ ბაშო)

7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

IX დღე: **კოკაი - კასუგაო 0:1 (ტოტარი, 1,5 წამი), ასაშორიუ - მიაბიამა 1:0, ჩიოტაიკაი - კაიო 1:0, ჰაკუჰო - ტოჩიაძუმა 1:0, კოტოოშუ - ტაკამისაკარი 1:0, დეჯიმა - კოტომიცუკი 1:0, კისენოსატო - კოტოშოგიკუ 1:0, როჰო - ტოკიტენკუ 1:0, ჰომაშო - ამინიშიკი 1:0, ასასეკირიუ - კიოკუტენჰო 1:0, ამა - ტოჩინონადა 1:0, ტოიონოშიმა - ტამაკასუგა 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 8-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 7-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9), ტამაკასუგა (მ 11), ტამანოშიმა (მ 14); ...3-6: კოკაი (მ 5).

X დღე: კოკაი - ასასეკირიუ, ასაშორიუ - კოტომიცუკი, ჰაკუჰო - კოტოშოგიკუ, კოტოოშუ - მიაბიამა, ტოჩიაძუმა - ჩიოტაიკაი, კიოკუტენჰო - კაიო, როჰო - დეჯიმა, ამინიშიკი - კისენოსატო, ჰომაშო - ტოკიტენკუ, ტაკამისაკარი - ამა, ტოჩინონადა - ფუტენო.

ავსტრალიის ღია

ჩემპიონებმა ოგბეგბით დაიწყეს



მერდი ფიშმა ტურნირიდან პირველი ფავორიტი გამოთიშა

დაიწყო საჩოგბურთო სეზონის პირველი დიდი ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა, რომლის პირველი დღე ხორვატი და სერბი ფანების ჯგუფითა და ტურნირის ორი მოქმედი ჩემპიონის - ფრანგი **ამელი მორესმოსა** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** გამარჯვებით აღინიშნა.

უკვე დაფიქსირდა პირველი სერიოზული დანაკლისიც - ტურნირს გამოეთიშა მასზე მეოთხე ნომრად განთესილი ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩი**, რომელმაც მხოლოდ ერთი, პირველი სეტი მოუგო ამერიკელ **მერდი ფიშს**. აღსანიშნავია, რომ ლიუბიჩიჩი დიდი სლემის ტურნირს პირველივე ეტაპზე კარიერაში მეორედ გამოეთიშა.

150 ხორვატი და სერბი ფანის შეჯახება კი ხორვატი **მარიო ანჩიჩისა** და იაპონელი **გო სოედას** შეხვედრის დროს მოხდა. პოლიცია იძულებული შეიქნა, მოჩხუბარნი ტრიბუნიდან გაეძევებინა, თუმცა არცერთი მათგანი არ დაუპატიმრებია. სხვათა შორის, დიდი სლემის ტურნირებზე ამგვარი რამ პირველად მოხდა. შტატ ვიქტორიას პოლიციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გაძევებულთა შორის უმეტესობა სერბი იყო, რომლებმაც ანჩიჩისა და სოედას შეხვედრისას, ხორვატი "მონინააღმდეგეების" მიმართულებით სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, რასაც ხორვატთა პასუხი მოჰყვა.

ჩემპიონთაგან პირველი მორესმო იყო, რომელმაც მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. მან იოლად, ორ სეტში მოუგო ამერიკელ **შენაი პერის**. ფრანგმა ლაღად და ზედმეტი დაძაბვის გარეშე ითამაშა. ის კორტის თითქმის ყოველი კუნჭულიდან ახერხებდა ქულების აღებას და სურვილი რომ ჰქონოდა, მეტოქეს უფრო გამანადგურებელ მარცხს აგემებდა.

ალბათ, ასეც იქნებოდა, მორესმო მეორე სეტის მიწურულს რომ არ მოდუნებულიყო. ის სეტს 5:1 იგებდა და როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ საქმე მოთავებული იყო. ამავდროულად, პერიც კარგად ათამაშდა. მისმა დარტყმებმა სიზუსტე შეიძინა და ცოტა ხანში, ანგარიში 5:4 გახდა. სწორედ აქ გამოერკვა ფრანგი, რომელმაც მეტოქეს მეტის შანსი აღარ მისცა.

დიდი პრობლემები არც ფედერერს შექმნია. გერმანელმა **ბიორნ ფაუმ** მას მხოლოდ პირველ სეტში გაუწია მეტნაკლები წინააღმდეგობა, რის შემდეგაც შვეიცარიელი მაესტრო მთელი ძალით ათამაშდა. უნდა ითქვას, რომ ფაუ ერთ-ერთი იმ იშვიათ ჩოგბურთელთაგანია, ვისაც ფედერერთან ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი ჰქონდა. მელბურნამდე ისინი ერთადერთხელ, 1999 წელს შეხვედრიან ერთმანეთს და მაშინ ფაუმ იმ დროისთვის უცნობ მეტოქეს მოუგო.

პირველი სეტი ფედერერისთვის საინერვიულო გამოდგა. ეს სეტი მან კი მოიგო, მაგრამ მეტოქეს სამი ბრეიკის მოპოვების შესაძლებლობა მისცა. ამდენს კი შვეიცარიელი მაესტრო ერთ თამაშშიც კი იშვიათად აგებს, რომ არაფერი ვთქვათ ერთ და ისიც, მოგებულ სეტზე.

მათ გარდა, მეორე წრეში თამაშის უფლება ტურნირის ყოფილმა ჩემპიონებმაც - ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, შვედმა **ტომას იოჰანსონმა** და რუსმა **მარატ საფინმაც** მოიპოვეს. ამ უკანასკნელს გერმანელ **ბენიამინ ბეკერთან** მოსაგებად მთელ თავის შესაძლებლობათა მოხმობა დასჭირდა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა შეხვედრა ამერიკელ **ენდი როდიკსა** და ყველასთვის უცნობ ფრანგ **ჟო-ვილფრედ ცონგას** შორის. ფრანგ ჩოგბურთელს ტურნირის წინ რეიტინგში ოდენ 212-ე ადგილი ეკავა და ტურნირზე უაილდ ქარდის წყალობით მოხვდა.

გამოცდილმა ამერიკელმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე, უდაძაბულეს პაექრობაში დათმო. ამასთან, ტურნირისთვის რეკორდული ანგარიში (20:18 ფრანგის სასარგებლოდ) დაფიქსირდა. მეორე სეტიც ტაიბრეიკამდე მივიდა, ოღონდ ამჯერად როდიკმა ივარგა. არადა, სეტის დასაწყისში ფრანგი 5:2-ს იგებდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი სეტის ტაიბრეიკი. როდიკი მას შემდეგ ანერვიულდა, რაც 10:10-ზე ჩათვალა, რომ ცონგას მიერ დარტყმული ბურთი კორტის საზღვარს მიღმა ჩავარდა. 18:18 რომ გახდა, გაუმჯობესდა ლეგენდარული შვედი **ბიორნ ბორგისა** და ასევე ლეგენდარულ ამერიკელ **ჯონ მაკინროის** შორის 1980 წლის უიმბლდონის ფინალის რეკორდი (18:16). ეს რეკორდი რომ გაუმჯობესდა, ცონგამ სწორედ მაშინ მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. ცონგა ბედნიერი იყო, თითქოს სეტი კი არა, შეხვედრა მოეგო. როდიკი კი გამოერკვა და მართალია, მომდევნო სეტის დასაწყისშიც გაუჭირდა, მაინც მიაღწია თავისას და მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებაც მიიღო. ნამატჩევს კი განაცხადა, 18:18-ზე გავიფიქრე, რომ ეს სეტი არასოდეს დასრულდებოდაო.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქაცები

როჯერ ფედერერი (1) - ბიორნ ფაუ 7:5, 6:0, 6:4; **მერდი ფიში** - ივან ლიუბიჩიჩი (4) 4:6, 7:6(2), 6:4, 6:4; **ენდი როდიკი (6)** - ჟო-ვილფრედ ცონგა 6:7(18), 7:6(2), 6:3, 6:3; **ტომი რობრედო (7)** - რუბენ რამირეს იდალგო 6:4, 6:4, 6:0; **მარიო ანჩიჩი (9)** - გო სოედა 6:4, 6:3, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (11)** - რაინერ შუტლერი 6:4, 2:6, 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (14)** - ნიკოლას მასუ 6:1, 6:1, 6:0; **დავიდ ფერერი (16)** - კრისტიან პლესი 7:5, 6:4, 6:3; **რიშარ გასკე (18)** - ფილიპო ვოლანდრი 6:4, 6:4, 6:2; **რადეკ სტეპანეკი (20)** - მიშელ ლოდრა 6:2, 6:4, 6:0; **დომინიკ ჰრბატი (22)** - ირჟი ვანეკი 6:7(7), 7:6(1), 6:1, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (24)** - იან ჰაიეკი 3:0 ჰაიეკის ტრავმა; **მიხაილ იუჟნი (25)** - იან ჰერნიხი 7:6(6), 6:2, 6:0; **სემ ქვერი** - ხოსე აკასუსო (27) 6:7(2), 6:4, 6:1, 6:3; **ზაკ ფლაიშმანი** - აგუსტინ კალერი (30) 7:5, 4:6, 6:3, 6:3; **იონას ბიორკმანი** - ოლივიე პატიენსი 5:7, 4:6, 6:0, 6:1, 6:2; **მარკ გიშელი** - ალუნ ჯონსი 3:6, 6:7(1), 6:4, 6:1, 6:0; **დუდი სელა** - პარადორნ შრიჩაპჰანი 6:4, 6:2, 6:2; **გილერმო გარსია-ლოპესი** - იოახიმ იოჰანსონი 1:1 იოჰანსონის ტრავმა; **იენ-ჰსუნ ლუ** - სიმონ გროილი 6:3, 6:4, 6:3; **დანაი უდომჩოკე** - მარტინ ვასალო არგელო 6:3, 6:3, 6:2; **ლუკაშ დლუჰი** - თეიმურაზ გაბაშვილი 6:3, 6:1, 6:7(5), 6:7(5), 16:14; **იურგენ მელცერი** - ივო კარლოვიჩი 6:4, 6:4, 7:6(6); **გაელ მონფილსი** - დანიელე ბრაჩალი 7:6(2), 6:7(9), 6:4, 7:6(5); **ფელისიანო ლოპესი** - ბრაიან უილსონი 7:6(8), 4:6, 6:3, 7:6(3); **ვინსენტ სპადეა** - იგორ ანდრეევი 6:2, 7:6(3), 6:1; **ტომას იოჰანსონი** - მარკო კუდინელი 6:4, 3:6, 1:6, 6:4, 6:2; **ამერ დელიჩი** - ჟილ სიმონი 6:3, 6:0, 6:2; **ფლორენ სერა** - ნიკოლას დევილდერი 7:5, 6:2, 6:4; **უეინ არტურსი** - შტეფან კუბეკი 1:6, 6:7(4), 7:6(5), 6:2, 6:3; **მარატ საფინი (26)** - ბენიამინ ბეკერი 5:7, 7:6, 3:6, 6:3, 6:4

ქალები

ამელი მორესმო (2) - შენაი პერი 6:3, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (3)** - ჯესიკა მური 6:2, 6:0; **ნადია პეტროვა (5)** - ტამარინ ტანასუგარნი 6:3, 6:2; **ელენა დემენტიევა (7)** - სტეფანი ფორეცი 6:1, 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა (10)** - ჯილ კრეიბასი 6:4, 5:7, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (11)** - ალეკსანდრა ვოზნიაკი 6:3, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (14)** - სანდრა კლეიზელი 6:4, 6:4; **შაპარ პეერი (16)** - რომინა ოპრანდი 6:1, 6:3; **მარიონ ბარტოლი (18)** - ვერა დუშევინა 6:0, 6:3; **ტატიანა გოლოვინი (20)** - ანა სმაშნოვა 6:3, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (21)** - კეისი დელაკვა 4:6, 6:2, 7:5; **აი სუგიამა (23)** - სოფია არვიდსონი 6:3, 6:4; **ელენა ვესნინა** - ანაბელ მედინა გარიგესი (25) 6:7(7), 6:1, 6:1; **მარია კირილენკო (26)** - კაროლინა შპრემი 3:6, 6:3, 6:1; **სერენა უილიამსი** - მარა სანტანჯელო (27) 6:2, 6:1; **ევა ბირნეროვა** - მარტინა სუხა 7:5, 6:3; **ოლგა პუჩკოვა** - მარტა დომახოვსკა 6:2, 6:4; **მონიკ ადამჩაკი** - იროდა ტულიაგანოვა 6:1, 6:4; **სუზანა ონდრაშკოვა** - კლარისა ფერნანდესი 6:4, 6:2; **ანე კრემერი** - მიხაელა კრაიჩეკი 6:4, 6:3; **ვიქტორია აზარენკა** - იულიანა ფედაკი 6:2, 5:7, 6:4; **ლუსი საფაროვა** - ალბერტა ბრიანტი 6:3, 6:1; **ხისელა დულკო** - ტიან ტიან სუნი 6:2, 6:2; **მარტინა მიულერი** - იორგელინა კრავერო 6:0, 6:3; **ანასტასია იაკიმოვა** - ლაურა პუს ტიო 6:2, 4:6, 7:5; **ვირხინია რუანო პასკუალი** - მელინდა შინკი 1:6, 6:1, 9:7; **მარია კამერინი** - კირსტენ ფლიპკენსი 6:2, 6:2; **ჯულია ვაკულენკო** - ელენა ლიხოვცევა 6:0, 4:6, 6:3; **მილაგროს სეკერა** - იარმილა გაიდოშოვა 6:3, 6:4; **მეილენ ტიუ** - ედინა გალოვიცი 2:6, 6:4, 6:2; **ჯულია შრუფი** - ჯი ჭენი (31) 4:6, 7:6(1), 6:4; **ივეტა ბენეშოვა** - გალინა ვოსკობოევა 6:7(3), 6:1,6:4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი-რეიდი

ლისაბონი-დაკარი 2007

VIII ეტაპი. ატარი-ტიჩიტი. 589 კმ.

მსუბუქი მანქანები

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრ)/**ფონ ციტცევიტცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - 7:31.52; 22. **პეტერანსელი** (საფ)/**კოტრე** (საფ, "მიცუბიში") - +6.35; 3. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში") - +9.11; 4. **ალ ათიიაში** (კატ)/**გუეენეკი** (საფ, BMW) - +12.09; 5. **მილერი** (აშშ)/**პიტჩფორდი** (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +27.22; 6. **შლესერი** (საფ)/**დებრონი** (საფ, "ფორდი") - +48.50.

საერთო ჩათვლა: 1. **დე ვილიერსი/ფონ ციტცევიტცი** - 27:35.53; 2. **პეტერანსელი/კოტრე** - +31.13; 3. **ალფანი/პიკარი** - +43.04; 4. **საინსი/პერენი** - +1:05.51; 5. **ალ ათიიაში/გუეენეკი** - +1:44.14; 6. **შლესერი/დებრონი** - +2:00.59.

მოტოციკლები

1. **კომა** (ესპ, KTM) - 7:46.13; 2. **დესპრე** (საფ, KTM) - +10.02; 3. **ულეველსეტერი** (ნორ, KTM) - +24.00; 4. **კასტო** (საფ, KTM) - +26.22; 5. **ვერპოვეენი** (ჰოლ, KTM) - +29.16; 6. **ბლეისი** (აშშ, KTM) - +38.33.

საერთო ჩათვლა: 1. **კომა** - 30:24.47; 2. **დესპრე** - +54.58; 3. **კასტო** - +1:03.15; 4. **ბლეისი** - +1:31.26; 5. **ულეველსეტერი** - +2:00.06; 6. **ვერპოვეენი** - +2:08.57.

ქაღრაკი

ვეიკ-ენ-ზეე (ნოლანდია)

I ტური

ტოპალოვი (ბულგარეთი)-**მოტილიოვი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ვან ველი** (ჰოლანდია)-**რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0:1; **კარიაკინი** (უკრაინა)-**კრამნიკი** (რუსეთი) 0.5:0.5; **შიროვი** (ესპანეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0.5; **ნავარა** (ჩეხეთი)-**არონიანი** (სომხეთი) 0.5:0.5; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**ანანდი** (ინდოეთი) 0.5:0.5.

II ტური

სვიდლერი (რუსეთი)-**ტივიაკოვი** (ჰოლანდია) 1:0; **არონიანი** (სომხეთი)-**პონომარიოვი** (უკრაინა) 1:0; **ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**ვან ველი** (ჰოლანდია) 1:0; **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**კარიაკინი** (უკრაინა) 0.5:0.5; **კრამნიკი** (რუსეთი)-**შიროვი** (ესპანეთი) 1:0; **მოტილიოვი** (რუსეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) 0:1; **კარლსენი** (ნორვეგია)-**ნავარა** (ჩეხეთი) 0:1.

სამთო თხილამურები

შამონის ნაცვლად ვალ დ'იზერი

20-21 იანვარს, საფრანგეთის კურორტ შამონიში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი უნდა გამართულიყო, მაგრამ იქ სამთო მოთხილამურეთა შეკრება არ შედგება. მიზეზი, შამონიში თბილი ამინდი და თოვლის ნაკლებობა გახლავთ.

ეტაპის ორგანიზატორთა ინფორმაციით, დლეისთვის 2500 მეტრ სიმაღლეზე წვიმა მოდის და თხილამურებით სასრიალოდ იქ არანაირი პირობები არ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ამ კურორტზე მამაკაცებს სნრაფდაშვებასა და სუპერკომბინაციაში უნდა ეასპარეზათ.

თუმცა, მსოფლიო თასის ეს ეტაპი არ გაუქმდება. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIS) ამ რბოლების სხვა ადგილას გადატანა გადაწყვიტა. 20 და 21 იანვარს მამაკაც მოთხილამურეებს ფრანგული ვალ დ'იზერი უმასპინძლებს.

თხილამურებით რბოლა

შედეგები მოწონებულია

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა 7 იანვარს დასრულებული "ტურ დე სკის" შედეგებით და გამოაცხადა, რომ ეს მრავალეტაპიანი რბოლა 2007-08 წლების კალენდარშიც მოხვდება.

FIS-ის პრეს-ატაშემ, **კრისტიან ენაუტმა** განაცხადა, რომ ფედერაცია მაისში გამოაცხადებს, თუ როდის დაიწყება და რამდენი ეტაპი იქნება 2008 წლის "ტურ დე სკიში".

ველოსიპედი

ვალვერდე ბალეარესში დარჩა

2006 **წლის** პრო-ტურის სერიის გამარჯვებულმა **ალეხანდრო ვალვერდემ** ბოლო მოულო ესპანეთში გავრცელებულ ჭორებს და თავის ამჟამინდელ გუნდთან - "ილს ბალეარესთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ესპანელ პილოტსა და ველოსაჯინიბოს შორის 2010 წლამდე თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ბოლო დროს, ესპანურ პრესაში ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ ვალვერდე "ილს ბალეარესის" დატოვებასა და "ტ-"მობილეში" გადასვლას აპირებდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ალეხანდრო ესპანური გუნდის ერთგული დარჩა.

ვალვერდეს მენეჯერის განცხადებით, კონტრაქტის სრული თანხა 9 მილიონ ევროს შეადგენს.

კალათბურთი

ნიუ ჯერსი კილსა და კარტერს გაუშვებს

გაზეთი Bergen Record ირწმუნება, რომ უახლოეს დღეებში NBA-ში დიდი გაცვლა იგეგმება. მისი ავტორი "ნიუ ჯერსი" იქნება, რომელიც გაუშვებს ფორვარდ **ვინს კარტერსა** და მცველ **ჯეისონ კიდს**, ხოლო მათ სანაცვლოდ "სიეტლიდან" **რეი ალენსა** და "მინესოტადან" ფორვარდ **კევინ გარნეტს** მიიღებს.

გამოცემა, სანდო წყაროზე დაყრდნობით, იმასაც იუწყება, რომ "ნეტსი" კარტერის სანაცვლოდ რამდენიმე მოთამაშესა და დრაფტის პირველ რაუნდში კალათბურთელის არჩევის უფლებას ითხოვს, რაც შეეხება კიდს, ამ უნივერსალურ მოთამაშეში "ნიუ ჯერსის" კიდევ უფრო მეტის მიღება სურს.

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგო კრიზისშია

ჩიკაგო-მინესოტა 3:4 (ბ)

0:0, 3:2: 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ტ. რუუტუ-11 (სალმელაინენი-7, შარპი-12), 2:0 პავლატი-14 (კეიტი-19, ვრბატა-18), 2:1 ბუშარი-11, 3:1 ბარკერი-1 (ვრბატა-19, ბიფულიენი-2), 3:2 გაბორიკი-9 (უაიტი-21, კარნი-8), 3:3 ვალეი-7 (ბუშარი-26, ვეილო-7).

ბულეტები გაიტანეს: დემიტრა (მინესოტა).

ბოლო ტურებში "მინესოტამ", ამ სეზონში თავისი მთავარი პრობლემა მოაგვარა. ეს გუნდი ძალიან სუსტად თამაშობდა გასვლით შეხვედრებს და ერთი პირობა, სტუმრად ზედიზედ 11 მატჩი ჰქონდა წაგებული. მაგრამ, იმ "შავი" სერიის შემდეგ, "უაილდმა" გასვლაზე თამაში გამოასწორა და "ჩიკაგოსთან" მოგება, ზედიზედ მესამე გახდა სტუმრად ჩატარებულ მატჩებში.

ბოლო ტურებში "მინესოტას" რიგებში შეუჩერებელია სლოვაკი ფორვარდი **მარიან გაბორიკი**. ამ ჰოკეისტმა 34 მატჩი ტრავმისგამო გამოტოვა, რის შემდეგაც შემადგენლობაში დაბრუნდა, სამი შეხვედრა ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა.

ამჯერად, გაბორიკმა მეორე პერიოდში გარდატეხა შეიტანა თამაშში. "ჩიკაგო" 3:1 იგებდა, როცა სლოვაკმა რიცხობრივ უმცირესობაში შეაგდო შაიბა და მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში სხვაობა, ხოლო **ვალცის** გოლის შემდეგ, მატჩი ოვერტაიმში გადავიდა. საბოლოოდ, ყველაფერი ბულიტების სერიაში გაირკვა, სადაც შეუდარებელი იყო სტუმართა მეკარე **მენი ფერნანდესი**, რომელმაც სამი პენალტი მოიგერია.

"ჩიკაგოს" კი, მორიგი კრიზისული პერიოდი დაუდგა. ამ გუნდმა ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო, ბოლო 9 მატჩში კი, მერვე მარცხი იწვნია.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ნოვიცკიმ ბარნიანიში უკეთესი დირკი დაინახა

ტორონტო-დალასი 97:98

32:22, 27:26, 23:18, 26:19

ტორონტო: ბოში (24 ქ. 15 მ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 8 ა. 3 ჩ), ე. პარკერი (14 ქ), ბარნიანი (12 ქ. 3 მ. 2 დ. 1 ა. 1 ჩ), პიტერსონი (11 ქ. 5 მ).

დალასი: ნოვიცკი (38 ქ. 11 მ. 5 ა. 3 დ. 2 ჩ), ტერი (17 ქ), ჯოშ ჰოვარდი (14 ქ. 8 მ. 5 ა. 3 ჩ), დ. ჯარისი (10 ქ. 5 ა), დემპიე (4 ქ. 10 მ. 3 დ).

პორტლენდი-დენვერი 93:109

19:31, 37:18, 17:41, 20:19

პორტლენდი: ს. როდრიგესი (23 ქ. 10 ა. 4 მ. 3 ჩ), დიქსონი (15 ქ), უებსტერი (12 ქ. 3 ჩ), მაგლორი (11 ქ. 5 მ. 4 დ).

დენვერი: აივერსონი (32 ქ. 9 ა), ს. ბლეიკი (25 ქ. 4 ა), ჯეი. არ. სმიტი (13 ქ), ნენე (12 ქ. 2 ჩ), კემბი (7 ქ. 14 მ. 2 დ).

ეივერი ჯონსონი მოთამაშეობისას ერთი კარგი, შეიძლება ძალიან კარგი ფლეიმეიქერიც კი იყო, რომელმაც "სან ანტონიოსთან" ერთად 1999-ში ჩემპიონობაც კი მოიპოვა, თუმცა თუ მისი "დალას მავერიქსი" ეივერის სამწვრთნელო დებიუტიდან აღებულ ტემპს შეინარჩუნებს, ტეხასში ჰეგემონიის სწრაფი შეცვლა მოხდება. **გრეგ პოპოვიჩის** "სან ანტონიო", რომელიც 1997 წლიდან მოყოლებული ყოველთვის ჩემპიონობის მაძიებელთა პირველ სამეულში შედის, ამ რეგულარულიდან დაწყებული, ნელ-ნელა თმობს პოზიციებს და დღესდღეობით არა მარტო შტატის, არამედ მთელი ლიგის საუკეთესო გუნდის არაოფიციალური ტიტული უკვე ჯონსონის, **დირკ ნოვიცკისა** და **ჯოშ ჰოვარდის** "მავერიქსს" გადაულოცა.

"დალასი" იგებს მაშინაც კი, როდესაც მეტოქე მას თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში ჯობნის, რაც გუნდის, კონკრეტულად კი "მავერიქსის" ძალიან მაღალი კლასის მანიშნებელია. ტეხასელები სხვებს პირველ რიგში, სათამაშო დისციპლინის მხრივ აღემატებიან და ამ ეტაპზე ყველაზე შეკრული, რაციონალურად შეკოწიწებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

"დალასს" არც შარშანდელი ფინალი უნდა წაეგო, თუმცა მაშინ "მაიამის" აშკარად გაუმართლა, **შაკმა** კი საბოლოოდ თავისი მეოთხე ჩემპიონობა მოიპოვა.

წელს სულ სხვა, გაცილებით მშიერი "მავერიქსის" მომსწრენი ვართ. ყველაფერი ეს "ტორონტოსთან" საგარეო შეხვედრამაც დაადასტურა.

მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყვნენ, "დალასი" კი მეთოდურად ამცირებდა ჩამორჩენას და ნელ-ნელა "რეპტორზმაც" მოუხშირა მარტივ სიტუაციებში ელემენტარულ შეცდომებს.

"მავერიქსის" თითქმის ყველა თამაშისას გვიწევს საუბარი დირკ ნოვიცკის შეუცვლელობასა და კიდევ ბევრ სხვა რამეზეც, მაგრამ ძალიან გაგვიკვირდება, წლევანდელი რეგულარულის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული დირკს რომ არ გადასცენ. თუ გერმანელი სუპერფორვარდი ტრავმას არ მიიღებს, მაშინ MVP-ის პრიზი მისია. კარგია **სტივ ნეში**, მაგრად მოუმატა **დუაიტ ჰოვარდმა**, **დანკან-გარნეტის** სტაბილურობა უკვე მოძველდა კიდეც, მაგრამ ნოვიცკი მათ ფონზეც კი შესაშური სტაბილურობითა და მკვლელის ინსტინქტით გამოირჩევა.

უკანასკნელ წამებზე "ტორონტო" მთლიანად ნოვიცკის განეიტრალებაზე იყო გადასული. ორჯერ კანადელებმა ამის გაკეთება ვერ მოახერხეს, ერთხელ კი **კრის ბოშთან** ჭიდილში დირკმა ბურთი თავად დაკარგა.

და აი, "დალასის" ბოლო შეტევა, რომელსაც **ჯეისონ ტერი** იწყებს.

სტუმრების გამთამაშებელს ბურთი მეტოქის ნახევარზე გადააქვს, სადაც ნოვიცკიზე ერთბაშად ორი მეურვე მიდის, ხოლო **ჯოშ ჰოვარდი** კი ფარქვეშთში უმეთვალყურეოდ რჩება.

მორის პიტერსონი წესით, ჰოვარდზე უნდა ყოფილიყო გადართული, მაგრამ დირკის მანამდელმა დომინაციამ "რეპტორზის" მსროლელს პოზიციური შეცდომა დაუშვებინა და ჰოვარდსაც არ გასჭირვებია ელემენტარული სროლის ზუსტად შესრულება, რამაც "დალასს" უკანასკნელ 18 შეხვედრაში მეჩვიდმეტე გამარჯვება მოუტანა.

მასპინძლებს ბოლო შეტევისთვის კიდევ რჩებოდათ 0.9 წამი. მეტიც, მათ რაღაცა შეტევისმაგვარის ჩატარებაც მოასწრეს, თუმცა **ენტონი პარკერის** მიერ საფინალო სირენასთან ერთად ნასროლის მერე, ბურთი რკინის რკალსაც კი არ შეხებია.

ნოვიცკიმ ფენომენალური მატჩი ჩაატარა. დირკმა თამაშიდან 30-დან 14 სროლა გამოიყენა და 46 წუთში ერთადერთი შეცდომა დაუშვა. დანკანისა და გარნეტის არ იყოს, გერმანელის მოთვინიერება ვერც ბოშმა მოახერხა, ხოლო დირკის დევნაში სიქაგაცლილმა კრისმა ბოლო მეოთხედში თამაშიდან ბედი ერთადერთხელ (და ისიც არაზუსტად) სცადა.

კარგად, მაგრამ არა გადასარევად

ნოვიცკის ბარნიანი უფარებს

ითამაშა "ტორონტოს" იტალიელმა ნოვიცკიმ, **ანდრეა ბარნიანიმ**, რომელსაც ყველაზე ხშირად სწორედ გერმანელ თანაამპლუელს ადარებენ.

სხვათა შორის, ანდრეას გარკვეული დროის განმავლობაში უშუალოდ ნოვიცკის მეურვეობა დაევალა და მისთვის ეს არცთუ კარგად დასრულდა. ანდრეა დირკზე ორჯერ დაჯარიმდა და 4 წუთში 2 შეცდომაც დაუშვა, ნოვიცკის მონაგარი კი იმავე დროში 6 ქულა და 3 მოხსნა იყო.

"ბარნიანი იმაზე გაცილებით ძლიერი და მრავალმხრივი მოთამაშეა, ვიდრე მის ასაკში მყოფი ნოვიცკი. 19 წლის რომ ვიყავი, ძალიან ბევრი რამე მეშლებოდა, ანდრეა კი უკვე სანახევროდ შემდგარი ვარსკვლავია. მას ძალიან მრავალფეროვანი შემტევი არსენალი აქვს და მჯერა, რომ მისი სახით ლიგამ ძალიან ძლიერი მოთამაშე და დადებითი პიროვნება დაიმატა", - აქებდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე იტალიელს ნოვიცკი.

ზურაბ თალაკვაძე

ფორმულა 1. პრეზენტაცია

ფერარი გასუქებულა

წლიდან წლამდე, "ფორმულა 1"-ის გუნდები ბოლიდის წონის შემცირებისკენ ისწრაფვიან. ამიტომაც, ცოტათი მოულოდნელი იყო იმის მოსმენა, რომ "ფერარის" მიერ წარმოდგენილი ახალი მანქანა წინამორბედზე 10 კილოგრამით მძიმე გახლავთ.

კვირას, F2007-ის წარდგენას ძნელად თუ დაერქმეოდა პრეზენტაცია. ბოლიდისა და ძრავის კონსტრუქტორები - **ალდო კოსტა** და **ჟილ სიმონი** უბრალოდ ჟურნალისტებს შეხვდნენ, მათ შეკითხვებს უპასუხეს და მანქანის ფოტოები უჩვენეს. მასმედიამ და გულშემატკივრებმა მანქანის "ცოცხლად" ხილვა მხოლოდ გუშინ, ტესტების დროს შეძლეს.

"ფერარის" შეფმა **ჟან ტოდტმა** აღნიშნა, რომ ძირითადი ცვლილებები აეროდინამიკამ, წინა ფრთამ და სიჩქარის გადაცემათა კოლოფმა განიცადეს. *"თითქმის ყველა დონეზე გაუმჯობესებას ვხედავ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მანქანა ტესტებზე უნდა შემოწმდეს და შემდეგ გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები"*, - თქვა ჟან ტოდტმა.

სამაგიეროდ, ახალი მანქანით აღფრთოვანებას ვერ მალავენ სკუდერიას პილოტები. აი, რა განუცხადა ჟურნალისტებს ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ**: *"ეს ძალიან ლამაზი მანქანაა და მასში ბევრი ცვლილება შევამჩნიე. წინა ფრთა წინამორბედზე სრულიად განსხვავებულია".*

"ვიზუალური მხარე შესანიშნავია, მაგრამ მთავარია, როგორი იქნება ახალი ბოლიდი ტრასაზე. ჩემს შთაბეჭდილებებს სულ მალე შეგატყობინებთ, როცა ამ მანქანით პირველ კილომეტრებს გავივლი", - ეს **კიმი რაიკონენის** სიტყვებია.



ფერარიმ წონაში 10 კილოგრამი მოიმატა

ბიატლონი

მსოფლიო თასი. V ეტაპი

რუპოლდინგი. გერმანია

მამაკაცები

10 კმ. სპრინტი. 1. ბიორნდალენი (ნორ) - 23:34.9 (0+0); 2. ჰანევოლდი (ნორ) - +37.2 (0+0); 3. სვენდსენი (ნორ) - +41.7 (0+1); 4. ჰუარე (საფ) - +42.1 (0+1); 5. კრუგლოვი (რუს) - +42.9 (0+0); 6. ჩერეზოვი (რუს) - +46.9 (0+0).

15 კმ. მას. სტარტი. 1. ბიორნდალენი - 40:58.12 (0+0+0+0); 2. სვენდსენი - +47.7 (0+0+1+0); 3. შუმანი (ავსტრია) - +49.4 (0+0+0+1); 4. ჩერეზოვი - +49.8 (0+1+0+0); 5. რიოჩი (გერ) - +53.2 (0+0+0+1); 6. კრუგლოვი - +57.2 (1+0+0+0).

ესტაფეტა. 4X7.5 კმ. 1. ნორვეგია (სვენდსენი, ჰანევოლდი, ანდერსენი, ბიორნდალენი) - 1:29:17.01 (2+7); 2. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, იაროშჩენკო, კრუგლოვი) - +4.6 (0+9); 3. გერმანია (გროსი, რიოჩი, ბირნბახერი, ვოლფი) - +37.7 (0+10); 4. შვედეთი - 56.7 (1+4); 5. ავსტრია - +1:12.0 (0+6); 6. საფრანგეთი - +1:43.2 (0+5).

საერთო ჩათვლა: 1. ბიორნდალენი - 388; 2. გრაისი (გერ) - 349; 3. ჩერეზოვი - 330; 4. იაროშჩენკი (რუს) - 307; 5. ჰანევოლდი - 289; 6. კრუგლოვი - 278.

ქალები

7.5 კმ. სპრინტი. 1. ბეი (საფ) - 24:24.0 (0+0); 2. ოლოფსონი (შვედ) - +8.5 (0+1); 3. ბავერელ-რობერი (საფ) - +37.0 (0+0); 4. მალგინა (რუს) - +38.4 (1+0); 5. ბრანკოვიჩი (სლოვენ) - +40.7 (1+0); 6. გრუბენი (ნორ) - +46.7 (0+0).

12.5 კმ. მას. სტარტი. 1. ოლოფსონი - 44:32.01 (1+1+1+1); 2. ვილჰელმი (გერ) - +20.0 (1+1+0+1); 3. გრუბენი - +37.3 (0+0+0+1); 4. გრეგორინი (სლოვენ) - +53.1 (0+0+0+0); 5. ბავერელ-რობერი - +1:02.0 (0+0+2+0); 6. მალგინა - +1:06.5 (1+0+1+2).

ესტაფეტა. 4X6 კმ. 1. რუსეთი (ბოგალი, ანისიმოვა, მალგინა, გუსევა) - 1:20:18.11 (0+1); 2. გერმანია (ჰიტცერი, ნოინერი, დენკინგერი, ვილჰელმი) - +7.9 (0+9); 3. საფრანგეთი (ბავერელ-რობერი, პერეტო, ბეკაერი, ბეი) - +2:14.4 (0+11); 4. ნორვეგია - +2:26.1 (0+5); 5. ჩინეთი - +2:53.7 (0+11); 6. შვედეთი - +3:09.6 (1+10).

საერთო ჩათვლა: 1. ოლოფსონი - 382; 2. ჰენკელი (გერ) - 371; 3. ვილჰელმი - 367; 4. გრუბენი - 345; 5. ბეი - 296; 6. გლაგოვი (გერ) - 268.

სიგზურებით სრბოლა

ევროპის ჩემპიონატი. მრავალჭიდი

კოლადგო. იტალია

მამაკაცები

500 მ. 1. ფაბრისი (იტა) - 36.38; 2. სკობრევი (რუს) - 36.39; 3. ნიეძვიეძსკი (პოლ) - 36.52; 4. ტუტერტი (ჰოლ) - 36.60; 5. კრამერი (ჰოლ) - 36.76; 6. ბეკო (ნორ) - 36.99.

5000 მ. 1. კრამერი - 6:15.65; 2. ვერჰეიენი (ჰოლ) - 6:19.67; 3. ფაბრისი - 6:20.28; 4. ბეკო - 6:24.41; 5. ერვიკი (ნორ) - 6:24.85; 6. ოლდე ჰოვეელი (ჰოლ) - 6:28.96.

1500 მ. 1. ფაბრისი - 1:44.72; 2. კრამერი - 1:44.86; 3. ტუიტერტი - 1:46.19; 4. სკობრევი - 1:46.68; 5. ნიეძვიეძსკი - 1:46.96; 6. შნაიდერი (გერ) - 1:47.03.

10000 მ. 1. კრამერი - 13:10.44; 2. ვერჰეიენი - 13:15.37; 3. ფაბრისი - 13:21.51; 4. ბეკო - 13:27.38; 5. შნაიდერი - 13:34.14; 6. კრისტიანსენი (ნორ) - 13:35.72.

საერთო ჩათვლა: 1. კრამერი (ევროპის ჩემპიონი) - 148.800; 2. ფაბრისი - 149.389; 3. ვერჰეიენი - 151.045; 4. ბეკო - 151.500; 5. სკობრევი - 153.128; 6. ერვიკი - 153.129.

ქალები

500 მ. 1. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 39.51; 2. აბრამოვა (რუს) - 39.91; 3. ლობიშევა (რუს) - 40.15; 4. პეხშტაინი (გერ) - 40.28; 5. ვან დოიტეკომი (პოლ) - 40.51; 6. ვოიჩიჩკა (პოლ) - 40.56.

3000 მ. 1. საბლიკოვა (ჩეხ) - 4:03.52; 2. გრონევოლდი (ჰოლ) - 4:04.24; 3. ვიუსტი - 4:07.61; 4. ანშუტც-ტომსი (გერ) - 4:08.28; 5. ვისი (ჰოლ) - 4:09.99; 6. პეხშტაინი (ჰოლ) - 4:11.15.

1500 მ. 1. ვიუსტი - 1:56.78; 2. აბრამოვა - 1:57.98; 3. ანშუტცი-ტომსი - 1:58.08; 4. ვან დოიტეკომი - 1:58.34; 5. გრონევოლდი - 1:58.64; 6. საბლიკოვა - 1:58.66.

5000 მ. 1. საბლიკოვა - 6:58.45; 2. გრონევოლდი - 7:08.76; 3. პეხშტაინი - 7:10.05; 4. ანშუტც-ტომსი - 7:10.49; 5. ვისი - 7:11.77; 6. ვიუსტი - 7:12.73.

საერთო ჩათვლა: 1. საბლიკოვა (ევროპის ჩემპიონი) - 162.954; 2. ვიუსტი - 162.977; 3. გრონევოლდი - 164.178; 4. ანშუტც-ტომსი - 164.419; 5. პეხშტაინი - 164.716; 6. ვისი - 165.345.

TV ᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

16 იანვარი. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სელტა-ატლეტიკო.
09:25 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი. V ეტაპი.
10:20 სპორტ-კლუბი.
11:08 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-ბენფიკა.
13:46 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
15:19 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:47 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
17:32 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:32 კრივი. რინგ-საიდი.
19:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა.
22:35 სპორტინფორმი.
22:50 კრივი. რინგ-საიდი.
23:22 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მანტოვა-იუვენტუსი.
01:10 სპორტინფორმი.
01:25 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ბრძოლები.
03:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:15 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ვაშინგტონი (LIVE).
07:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:00 სპორტ-კლუბი.

EUROSPORT

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე.
16:30 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე.
22:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. X ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
01:45 მულტისპორტი.
02:15 რალი-რეიდი. დაკარი 2007. X ეტაპი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე (LIVE).

EUROSPORT 2

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტაუგრესი-რეალი.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-კოპრივნიცა (ხორვატია).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
17:00 ლაკროსი.
19:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ჰაპოელი (ისრაელი)-ალბა (გერმანია) (LIVE).
22:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-აეკ (საბერძნეთი) (LIVE).
23:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. სიენა (იტალია)-ოსტენდე (ბელგია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ჰაპოელი (ისრაელი)-ალბა (გერმანია).
02:15 ახალი ამბები.

ᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ფეხბურთი

ინგლისი

II ლიგა

უოლსოლი-ბრენტფორდი	2:0

იტალია

სერია B

არეზო-რიმინი	4:1

პორტუგალია

აკადემიკა-ბენფიკა	0:2

შოტლანდია

კილმარნოკი-პიბერნიანი	0:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

ბრესტი-კაენი	2:2

პოკერი

შვედეთი

მალმიო-ბორა	3:1
ბოდო-ლულეა	2:4

იქ, სლოვენიასა და აქ, საქართველოში

ვლადიმერ სტეფანია

- ხშირად მიფიქრია - თუკი პირობების არქონის შემთხვევაში საქართველოში ერთი ფაჩულია გაიზარდა, რატომ არ უნდა გამოჩნდეს ხუთი ფაჩულია, თუკი სათანადო ხელშეწყობა იქნება?

ცნება "ქართული კალათბურთი" უამრავი დეტალისგან შედგება, რომელთა მიხედვამ კალათბურთის დონის ამაღლება უნდა გამოიწვიოს, მაგრამ სახელმწიფოს, ფედერაციის, მწვრთნელებისა და მოთამაშეების ცალ-ცალკე მონდომება შედეგს არ გამოიღებს.

სლოვენიაში 1993 წელს გადავედი და ამ ქვეყნის კალათბურთმა დამოუკიდებელი ნაბიჯები ჩემს თვალწინ გადადგა - ინფრასტრუქტურაც აანყვეს და დღეს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავთ.

თუნდაც სლოვენიის მაგალითზე, შეიძლება ქართული კალათბურთის განვითარებაზე მსჯელობა. შეიძლება ზოგი რამ გამომრჩეს, ან ვინმესთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ ესაა ჩემი მოსაზრება და თავზე არავის ვახვევ...

პირველი. ალბათ დამეთანხმებით, რომ საქართველოში დღეს თაობები იკარგება. შეიძლება რომელიმე გენერაციიდან ერთი ან ორი ბავშვი გამოჩნდეს, დიდი კალათბურთი ითამაშოს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია... თაობა დაკარგულად მაშინ არ ჩაითვლება, როცა ამა თუ იმ ასაკში 3-4 თანაბარი ბავშვთა გუნდია და ნაკრების მწვრთნელს მათგან საუკეთესოების ამორჩევა უჭირს. სწორედ ასეთი სიტუაცია იყო ჩემს პატარაობაში - საოცარი მონაცემების მქონე **ვატო ნაცვლიშვილი, ლევან ქარაბაკი, დავით ბერძენიშვილი, ირაკლი ხოშტარია,** მე და კიდევ არაერთი ნიჭიერი მოთამაშე ერთ თაობას წარმოვადგენდით.

ბავშვების აღზრდა ეს ერთგვარი ბიზნესია - დღეს ერთს გაზრდი და გაუშვებ, ხვალ ორი უნდა გაუშვა, ზეგ - სამი და მაზეგ პენსიაში დამშვიდებული გახვიდე. მაგრამ ამ ბიზნესის აწყობის მთავარი მტერი ასაკის გადაკეთებაა. იმისთვის, რომ ერთი კალათბურთელი კარგად გაიყიდოს, 2-3 წელს აკლებენ. ის შეიძლება მართლა ნორმალურ ევროპულ გუნდში წავიდეს, მაგრამ თუ მისი ამპლუის სხვა, უფრო ნიჭიერ მოთამაშეს ასაკის გადაკეთების საშუალება არა აქვს, ხელოვნურად დაპატარავებულის ჩრდილში მოექცევა, დაიკარგება და კალათბურთზეც ხელს ჩაიქნევს. ჩემი აზრით, მწვრთნელი, რომელიც ასაკს გადააკეთებს, ლიცენზიის ჩამოთრმევით უნდა ისჯებოდეს...

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა - ჩამოუყალიბებელი მოთამაშეების უცხოეთში გადინება. მაგალითად, ხორვატიაში, 21 წლამდელ ახალგაზრდას საზღვარგარეთ არ უშვებენ. სლოვენიაში ლიმიტი 18-წლამდელებზე ვრცელდება. საქართველოს ფედერაციის კანონმდებლობაზე ზოგადი წარმოდგენა მაქვს. თუკი ადრეულ ასაკში გადაწყვეტს წასვლას, მგონი, 5 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს. ეს კარგია, თუმცა უფრო მეტი სიმკაცრეც შეიძლება - თუ, ვთქვათ "ბარსელონა" ეპატიჟება, ის 30 ათასსაც თავისუფლად გადაიხდის, თუ არა, მაშინ ან საქართველოში დარჩენა ურჩევნია, ან ამერიკის რომელიმე კოლეჯში წასვლა.

ბავშვთა კალათბურთში სიტუაციის გამოსწორება საქართველოში გაცილებით მეტ სკაუტსა და მწვრთნელს დააინტერესებს. ამ თემაზე მომდევნო თავში ვისაუბრებ.

მეორე. NBA-ში მოასპარეზე ექსიუგოსლავები, **კუკოჩი, დანილოვიჩი, ჩაბარკაპა, დივაცი** და სხვები ზაფხულს სამშობლოში ატარებენ. ეს ჯერ ერთი, მათ ინტერესებშია - მშობლიურ ქალაქზე უკეთ სად დაისვენებ?! მეორეც - თანამემამულე ახალგაზრდებს მათთან ურთიერთობით დიდი სტიმული ეძლევათ და მესამე - სამშობლოში ძლიერი მწვრთნელები და მენეჯერები ჩაჰყავთ.

ეს უკანასკნელნი ეცნობიან ამა თუ იმ ქვეყნის საკალათბურთო ტრადიციებს, პოტენციალს და უშუალოდ აკვირდებიან ნიჭიერ მოთამაშეებს. ხოლო როცა მათით რომელიმე სერიოზული კლუბი დაინტერესდება, მწვრთნელს რჩევისთვის მიმართავენ... ბევრმა შეიძლება არც იცის, რაოდენ დიდი გავლენა აქვს ძლიერი სპეციალისტის რეკომენდაციას.

მენეჯერების მოპატიჟება გაცილებით იოლია - მათაც აინტერესებთ ახალი და პერსპექტიული ბაზრის შესწავლა-ათვისება. სლოვენიაში პირველად რომ ჩავედი, ორი ლიცენზირებული აგენტი დამხვდა - **დუკანი,** რომელიც "ჩიკაგო ბულზს" წარმოადგენდა, ხოლო მეორის, რომელიც "ინიდანა პეიზერსთან" თანამშრომლობდა, გვარი არ მახსოვს. სლოვენიელებს ერთმანეთის გატანა სისხლში აქვთ - საჭიროების შემთხვევაში ნაცნობებში გადარეკვას **რაშო ნესტეროვიჩიც** არ ერიდება და ყოველივე ამან შედეგი მალე გამოიღო - დღეს სლოვენიელებს NBA-ში 5 აგენტი ჰყავთ, 60-ათასდოლარიანი ხელფასით... "რეალისა" და "ბარსელონას" სლოვენიელ სკაუტებზე ხომ საუბარი აღარაა. მათზე რითი არიან ნაკლებები, ვთქვათ, **დავით უსტიაშვილი,** ან **გია კაზანჯიანი?** პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთი-ორი ქართველი სკაუტი რატომ არ უნდა მოქმედებდეს?

მესამე. მეორე ნაბიჯის გადადგმა ვერ მოხერხდება, თუ სამშობლოში ჩამოსულ ლეგიონერს ნორმალური პირობები არ დახვდება. როგორ ფიქრობთ, ქართველ კალათბურთელებს ამერიკაში დარჩენას ზაფხულის საქართველოში გატარება არ გვირჩევნია? ჩამოვიყვანთ ინდივიდუალურ მწვრთნელებს, მათთან ერთად პროფესიულად ვივარჯიშებთ, შემდეგ მონატრებულ ხინკალსა და მწვადს მივირთმევთ...

მაგრამ საწვრთნელი პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის ელემენტარული პირობები მაინც გვჭირდება - კონდიციერებული დარბაზი და საშხაპე, ცხელი წყლით. ერთ ზაფხულს რომ ჩამოვალთ, მეორესთვის დარბაზს ხელსაც შევავლებთ...

მეოთხე. დავით უსტიაშვილისა და გია კაზანჯიანის გვერდით სიტყვა "სკაუტი" ვახსენე. მაგრამ ისინი დღეს სამწვრთნელო საქმიანობას ეწევიან და პერსპექტიულ სპეციალისტებადაც ითვლებიან. უცხოეთიდან ძლიერი სპეციალისტების ჩამოყვანა, პირველ რიგში, მათი კვალიფიკაციისთვისაა საჭირო. მაგრამ სადღეისოდ არსებული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად ქართველი მწვრთნელების უცხოეთში სტაჟირება აუცილებელია. თუნდაც NBA-ს რომელიმე გუნდში კალათბურთის ფედერაციიდან მწვრთნელის მივლინება პრობლემა არ იქნება. ამ საკითხში დახმარება მეც შემიძლია და სხვა ქართველ ლეგიონერებსაც.

მწვრთნელთა კვალიფიკაცია კალათბურთის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. საქმე იქამდე უნდა მივიდეს, რომ რომელიმე ჩვენიანის ასაყვანად კლუბის მესვეურებმა რეკომენდაციისთვის უცხო სკაუტს კი არა, ქართველ მწვრთნელს დაურეკონ.

მეხუთე. მხოლოდ მწვრთნელები ვაკუუმს ვერ ამოავსებენ. იმისთვის, რომ საქართველო მსოფლიომ სრულფასოვან საკალათბურთო ქვეყნად აღიქვას, აუცილებელია კლუბების ევროსარბიელზე გამოჩენა.

ჩვენთვის, ისევე როგორც სხვა პატარა ქვეყნებისთვის, მიზანი მოთამაშეთა ექსპორტი უნდა იყოს, ამიტომ მილიონდოლარიანი ბიუჯეტის გუნდს ისევ 300-ათასიანი სჯობს. ოღონდ ასეთი 4-5 უნდა გვყავდეს - ორი თბილისში, თითო ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში...

ეს ფანტასტიკური თანხა ნამდვილად არ არის და თუ სპონსორები დაინახავენ, რომ მწვრთნელი ევროპულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ბავშვთა კალათბურთშიც კარგი მდგომარეობაა და პოტენციალიც არსებობს, არც ფულის ჩადებას მოერიდებიან, არც გუნდის ევროტურნირებზე გაყვანას. ხოლო ერთ-ორ მოთამაშეს რომ გაყიდიან, კიდევ უფრო დაინტერესდებიან...

სლოვენიის "ოლიმპიას" თამაშებზე 3-5 ათასი ქომაგი დადის, შარფებით, დროშებით, გუნდის სხვა ატრიბუტებით. ყოველივე ამის გაყიდვა დამატებით შემოსავალს იძლევა. ევროთასებზე მოთამაშე ქართული კლუბის მატჩებს, დარწმუნებული ვარ, ხუთი ათასამდე გულშემატკივარი დაესწრება და თუ გუნდი 2-3 წელი ერთ დონეზე შენარჩუნდება, ქომაგობის კულტურაც დაიხვეწება, ატრიბუტიკაც კარგად გაიყიდება და საერთოდ, ინფრასტრუქტურა განვითარდება.

ეს სხვა გუნდის სპონსორისთვის მაგალითად გამოდგება და...

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად მათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან გიგილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახვლედიანის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა